ბუნოვ
REGION
ფასი 2 ლარი
№24 2018 მარტი

ნინო ბოლქვაძე: ძალა თავისუფლებაშია, ძალა ევროპაშია...

კუროროზი ბახმარო იერსახეს იცვლის

გაასოცხლე გული - გულის მდგრადი განვითარებისთვის

ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა გთავაზობთ ამბულატორიულ სერვისებს, დიაგნოსტიკურ მომსახურებას, გადაუდებელი დახმარების სამსახურს (ემერჯენსი), სტაციონარულ მკურნალობას ქირურგიულ და თერაპიულ დეპარტამენტებში

მისამართი: თბილისი, დ. უზნაძის ქუჩა №103
შპს ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა
ტელ: 0322 95-80-14

გეთსიმანია 2-3

ქართლის სამეფო - ჯავჯასიის ძლიერი სახელმწიფო 4-6

„შურსა და ცილზე ამაღლებული... 7-9

ქართველ სპელეოლოგთა უნიკალური აღმოჩენა 10-11

გავრცელებული მითები და ანტიდასავლური პროპაგანდა 12-13

ჩოხატაურელობა უკავშირდება ბავშ-ვობას, ყრმობას და სიამაყეს 14-16

გააცოცხლე გურია - რეგიონის მდგრადი განვითარების პირველი ეტლეკა 17-18

ეროვნული პარკი - საერთაშორისო ბრენდი 23-24

ბახმარო 24-25

ქართული ჯურორტოლოგიის პოტენციალი და თბილისის ბალნეოლოგიური ჯურორტი - მისი ფლაგმანი 26

საქართველო ევროპულ მეღვინეობას უერთდება 27

იაკობ მარმა პირველმა გააცნო ევროპელებს ქართული ღვინო... 28

საქართველოში გავრცელებული ფუტკრის დაავადებები 29-30

მშენებლის პროფესია ტრადიციად იქცა... 31-32

ლინიკა მედალფას ჰოსპიტალური ქსელი 33-34

თერმული დაზიანებების დროს რეკონსტრუქციულ-აღდგენითი პლასტიკური ქირურგიის ფუძემდებელი და რაციონალიზატორ-გამომგონებელი 35-37

ბიჭიკო ასკურავა - მკურნალი, მზის შვილი, გურული... 38-39

გურული ანეკდოტები 40

მთავარი რედაქტორი და გამომცემელი
ლელა სურმავა

ტელ: 558 25 65 50

ელფოსტა: **Guriaregion14@mail.ru; lelasurmava@mail.ru**

ძვირფასო მკითხველებო!

მოგვაწოდეთ პუბლიკაციები, მოთხრობები, ჩანახატები, ლექსები, ისტორიები, იდეები, გაგვიზიარეთ თქვენი პრობლემები და მოგვიყევით საინტერესო ამბები. გაითვალისწინეთ, ჟურნალში განთავსება ფასიანია.

ჟურნალი თავისუფალი პრესის პრინციპით ხელმძღვანელობს.

რედაქციაში შემოსული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი, ხოლო სარეკლამო ტექსტზე პასუხისმგებლობა რეკლამის შემკვეთს ეკისრება.

გეთსიმანია

მაცხოვრის სამ მოციქულთან ერთად გეთსიმანიაში მისვლა და იქ ლოცვა ბევრი მნიშვნელოვანი ასპექტის მომცველია. რატომ წაიყვანა მაცხოვარმა გეთსიმანიის ბაღში მხოლოდ ის სამი მოციქული, რომელიც თაბორის მთაზე იახლა თან? იმიტომ რომ მათ უკვე იცოდნენ ქრისტეს ღვთაებრიობის შესახებ. ახლა მისი უძლურება უნდა ეხილათ, სხვა მოციქულები თუ მოძღვრის ღვთაებრიობის მისაღებად არ იყვნენ მზად, მით უმეტეს – მისი უძლურებისა. თუკი მოძღვარში საკვირველი სიდიადის დანახვამ ღვთაებრიობამდე ვერ აამაღლა ისინი, მასში უძლურების დანახვა რწმენის დაკარგვის საშიშროებას ქმნიდა.

– **რა აუცილებელი იყო მათი წაყვანა? ვინმეს ხომ უნდა გაეცხადებინა ქრისტეს ლოცვის ამბავი, რადგან ამის შემდეგ მაცხოვარი შეიპყრეს, ამ ყოველივეს კი, ვერ შეიტყობდით.**

გეთსიმანიის მთავარი მოვლენა მაცხოვრის ლოცვაა. ლოცვის დაწყებამდე იგი მოციქულებს მიმართავს, – **„შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდიდმდე“**. შემდეგ იწყებს ლოცვას, კარგად ჩანს, რომ მას ემძიმება იმ გზის გავლა... რამ განაპირობა მისი ამგვარი შიში და ძრწოლა?! ეშმაკის მცდელობამ? ეშმაკმა მას ხომ პირველი გამოცდისას ვერაფერი დააკლო, ნუთუ ახლა შეეძლო ყოვლად უცოდველი ქრისტეს ცდუნება. განა რას შესთავაზებდა ახალს, რომ ეცდუნებინა იგი? ეშმაკის ყოველგვარი ცდუნება ხომ უკუაგდო ქრისტემ **„წარვედ ჩემგან მართლუკუნ, სატანა... და მაშინ დაუტევა იგი ეშმაკმან“.**

ქრისტეს ლოცვიდან კარგად ჩანს, მან იცის მოსალოდნელი ჯვარცმის შესახებ – **„მამაო ჩემო, უკუეთუ შესაძლებელ არს, თანაწარმხედინ ჩემგან სასუმელი ესე“.** იგი ხომ ღმერთია, იცის მომავალი, ეშმაკი ვერ ვნებს. რა აძრწუნებს? შეიძლება ვივარაუდოთ, ეს სწორედ მოახლოებული ჯვარცმის ტკივილია. მართლაც, ვინ არ შეძრწუნდება იმ საშინელი ტანჯვის მოახლოებით? რა განაპირობებს მის ამგვარ სულიერ ტკივილს? ცხადია, იმ წუთებში იგი ფიზიკურ ტკივილს არ უჩიოდა. სწორედ, რომ სულიერი ტკივილი ჰქონდა.

მაცხოვრის სულიერ ტკივილს ადამიანი ვერასოდეს გაიზიარებს, მაგრამ სულიერი ტკივილის მიზეზთა დადგენა შესაძლებელია.

პირველი მიზეზი კაცობრიობის ცოდვათა გამო გამოწვეული ტკივილია. მას ხომ მთელი სამყაროს ცოდვა საკუთარ თავზე უნდა ეტვირთა. უწმინდეს არსებას ცოდვა და ბინძურება უნდა გადაფარვოდა და ამგვარად უნდა მისულიყო ჯვრამდე. **„მისი მომავალი ვნებებისა და სიკვდილის ფიალა აღვსილი იყო კაცთა მოდგმის ცოდვებით, სჯულის წყევითა და ზეციური მრისხანებით“** გადმოგვცემს ხერსონის მთავარეპისკოპოსი ინოკენტი. სწორედ ამისთვის არ მოევლინა, რომ კაცობრიობა გამოეხსნა?! თვითონვე ცდილობს ამ სასმისის თავის არიდებას? რასაკვირველია, არა, კიდევ არსებობს ტკივილის დამამძიმებელი მიზეზები.

მეორე მიზეზი ისევ კაცობრიობას უკავშირდება, მაგრამ არა – მთლიანს. იმ წუთებში ყველაზე მეტად განიცდის დაცემულ კაცთა ტკივილს, რადგან მათთვის მოსული და განხორციელებული, მათთვის მსახური და სიკეთის მქმნელი, მათთვის დამაშვრალი და მქადაგებელი, უარყოფილ იქნა, ახლა კი მისი სიკეთის გამო უნდა შეიპყრან თავისი მოწაფის გაცემის დახმარებით და ჯვარზე გააკრან უამრავი ადამიანის მონაწილეობით. ამიტომ ითხოვდა სასუმელის არიდებას, არ უნდოდა მის წვალებაში ვინმეს ბრალი დასდებოდა და საბოლოოდ სული წარეწყმიდათ? რადგან ბოლოს ხომ ეუბნება მოციქულებს – **„დაიძინეთ ამიერითგან და განისუენეთ. აჰა ესე რა მოახლოებულ არს ჟამი და ძე კაცისაჲ მიეცემის ხელთა ცოდვილთასა. აღდეგით, წარვიდეთ ამიერ. აჰა ესე რა მოიწია მიმცემელი ჩემი“**.

აღნიშნული ორი მიზეზი მისი კაცობრიობასთან მიმართებით გამოწვეული ტკივილია. არსებობს უფრო ღრმა – მესამე მიზეზი, რის გამოც იგი სასუმელის არიდებას ითხოვს. ეს უკვე მისი შინაგანი ბუნების გამოძახილია. ორი ბუნების მქონე ქრისტე დიდი განსაცდელის წინაშე დგას. მასში ბუნებრიობა უნდა დაირღვეს, ღვთაებრიობა ადამიანურს უნდა განეშოროს. მისი ძლევამოსილება უსუსურობით უნდა შეიცვალოს. ღმერთმა უნდა დატოვოს იგი, რათა ადამიანურმა ბუნებამ თავისი უსუსურობით დათრგუნოს ეშმაკის, როგორც წმინდა ირინეოს ლიონელი ამბობს, – **„ღვთის სიტყვა სატანას ადამიანური ბუნებით ამარცხებს“.**

ეს არის მისი მწუხარების მთავარი მიზეზი, როდესაც მორწმუნე ადამიანი ღვთის მადლს კარგავს, ყველაზე უბედურია. ხოლო როდესაც საკუთარ ბუნებრივ მდგომარეობას უმაღლეს სიწმინდეს მოაკლებ და მის გარეშე დარჩები, რა ითქმის?!

ქრისტე უნდა მოკვდეს, მაგრამ იგი რომ მოკვდეს, მადლის გარეშე უნდა დარჩეს, სხვაგვარად ვერ მოკვდება. მადლის გარეშე დარჩენა კი უდიდესი ტკივილია და მისთვის არაბუნებრივია. რასაც მიანიშნებს ჯვარზე წარმოთქმული მისი სიტყვები – **„ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! რაჲსათვის დამიტევებ მე?“** ის, რომ ღმერთმა გეთსიმანიაშიც დატოვა, ანგელოზის მოვლინებითაც წარმოჩნდება – **„და ეჩუენა ანგელოზი ზეცით, განაძლიერებდა მას“.** რატომ სჭირდება ანგელოზი, ვისშიც ღმერთია? რადგან მას ეს ვნება მხოლოდ ადამიანურობით უნდა ეტარებინა, თავისი წმინდა მდგომარეობით ყოველთვის მარტივად გადაიტანდა.

ამიტომ მარტო ჯვარცმა გეთსიმანიის გარეშე არასრულფასოვნად წარმოაჩენს მის ვნებას. ჯვარზე სისხლი ჭრილობებმა გამოიწვია, ხოლო ზეთისხილის მთაზე – შინაგანმა სულიერმა ტკივილებმა – **„და იქმნა ოფლი მისი, ვითარცა ცუარი სისხლისაჲ გარდამომავალი ქუეყანასა ზედა“.**

რთულია ითქვას, როგორ და რამდენად მოხდა ქრისტესში ადამიანობისა და ღვთაებრიობის დაშორება, უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტეს ადამიანური ბუნება ღვთის პიროვნებად ყოფნას ყოველთვის განაგრძობს.

ამ უდიდესი განსაცდელის დროს, მნიშვნელოვანია ქრისტეს კაცობრივი ბუნების მიმართება ღვთაებრივ ბუნებასთან. ჩვენ ვიცით, რომ ქრისტე სრული ღმერთი და სრული ადამიანია. ხოლო ღვთაებრივი განგებულობა და ნება, როგორც უწმინდესი და უმაღლესი, ყოველთვის აღესრულება მისი კაცობრივი ბუნებით, გეთსიმანიაში კი ღმერთის

ნებისა აღსრულება თითქოს უძნელდება... ქრისტეში მიმდინარე ამ შინაგანი ბრძოლით მისი კაცობრივი ბუნების რეალობას კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი. ღმერთში არ არის გაორება და ბრძოლა. იგი უცვლელია, როგორც არსით, ასევე თვისებით, ამიტომ ვერ შებრკოლდება თავისი ნების აღსრულებაში.

ქრისტეს კაცობრივი ბუნება შეძრწუნებულია მომავალი სასუმელით. ეს შეძრწუნება მისი ნების ღვთაებრივ ნებასთან თანხმობიდან მომდინარეობს. მან გონებით იცის, რომ ღმერთს კაცობრიობის გამოხსნა სხვაგვარად – ჯვარცმის გარეშეც შეუძლია, ადამიანური უძლურებით თითქოს ამ ტკივილის არიდებას ცდილობს – **„მამაო ჩემო, უკუეთუ შესაძლებელ არს, თანაწარმხედინ ჩემგან სასუმელი ესე; ხოლო არა ვითარ მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ“** ღმერთი პასუხს არ სცემს, მისი ადამიანური ნება ხვდება, რომ ღმერთს მისი თხოვნისაებრ არ ესათნოება და მეორედ სხვაგვარად მიმართავს, – **„მამაო ჩემო, უკუეთუ ვერ შესაძლებელ არს სასუმელი ესე თანაწარსვლად ჩემდა, რაჲთამცა არა შევსუა იგი, იყავნ ნებაჲ შენი“.** არც ამჯერად ისმის პასუხი, ჯერ კიდევ მიმდინარეობს საკუთარ თავთან ჭიდილი. მესამე მიმართვა მთლიანი მინდობაა ღმერთისადმი, საკუთარი უძლურების გამოძახილის გარეშე, რასაც მოჰყვება ნიშანი ანგელოზის მოვლინების სახით. ამგვარად, თითოეულ ქრისტიანს გვმართებს, ჩვენი უსუსურობისა და უძლურების ფონზე გამოვლენილი ძალდატანების შედეგად, უფლის ნებისადმი დამორჩილების სურვილით აღვივსოთ. მას ერთი სურვილი ჰქონდა – ღვთის ნებისადმი სწრაფვა. მას ღმერთთან განშორების სურვილი არ აქვს, თითქოს ეს არის გაორების მიზეზი – მუდმივად ღვთის ნების აღსრულების ნება და მუდმივად ღმერთთან თანამყოფობა. ღმერთთან თანამყოფობის სისავსეს გარკვეული ჩრდილი მიადგა. მაგრამ მან ეს დანაკლისი ღვთის ნების სრული მორჩილებით მიიღო – **„სული გულმოდგინე არს, ხოლო ხორცი უძლურ“.**

ეს სიტყვები მიმართულია გეთსიმანიაში მყოფი ქრისტეს სამი გამორჩეული მოწაფისადმი. აღნიშნული მდგომარეობა არც ჩვენთვის არის უცნობი, ეს გარკვეულ წილად ქრისტეს განცდილი მდგომარეობის გამოხატულებაც არის, რადგან მისი კაცობრივი სხეული მის სულში მიმდინარე ბრძოლის მონაწილეა, ოფლი სისხლის სახით გარდამოვიდა. მისი სულიც გულმოდგინეა, მაგრამ ამ გულმოდგინებას მისი ყოვლადპატიოსანი სხეულით შემოსვა, ღვთის ნების აღსრულების დროს, გარკვეულ სიმძიმეს სძენს.

იღუმენი დიონისე გვიმრაძე



თბილისში, ვაჯის რაიონში ელიზბარ მინდელის ქუჩაზე მიმდინარეობს წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის ტაძრის მშენებლობა. გთხოვთ, შეიტანოთ თქვენი წვლილი, ერთად ავაშენოთ ღვთის სახლი. წინასწარ გიხდით მადლობას.

ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი გიორგი უგრეხელიძე

GE94LB0115137832317000
LBRTGE22
სს ლიბერთი ბანკი

GE64BG0000000670704800
BAGAGE22
სს საქართველოს ბანკი

GE73TB7344136080100005
TBCBGE22
სს თიბისი ბანკი

ქართლის სამეფო – კავკასიის ძლიერი სახელმწიფო

ძვ. წ. III ს. ქართლის (იბერიის) სამეფო იმდროინდელ კავკასიაში უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა... გავლენიანი მოკავშირის, სირიის სელევკიანების სამეფოს მხარდაჭერით, ფარნავაზმა გარეშე მტერს სასტიკი მარცხი აგემა, ქვეყანა მომხვდურთაგან გაწმინდა, ხელისუფლება განიმტკიცა და ენერგიული ღონისძიებებით სახელმწიფოს მშენებლობას მტკიცე ბალავარი ჩაუყარა. მანვე შეუცთომლად შეაფასა ჩრდილოეთიდან მომდინარე საფრთხე, მართლაც, ჩრდილოკავკასიის სტეპებში მომთაბარე სკვითურ-სარმატული ტომები და ჯერ კიდევ პირველყოფილ-თემური წყობილების პირობებში მცხოვრები მთიელები (დურძუკები და სხვა „კავკასიანები“, როგორც მათ „ქართლის ცხოვრება“ უწოდებს) განვითარებული და მდიდარი ბარისათვის საშიშნი იყვნენ. ამიტომაც ფარნავაზმა ნათესაური კავშირი შეკრა მათთან, კავკასიონის სტრატეგიული უღელტეხილები დაიჭირა და ციხესიმაგრეებით განამტკიცა. „და ესე ყოველი აღასრულა ფარნავაზ სიბრძნითა და სიქუელითა, სიმხნითა და სიმდიდრითა“, – წერს მემატიანე.

ფარნავაზისდროინდელი ქართლის სამეფოს საზღვრები, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი, არც მისი მემკვიდრეების, საურმაგისა და მირვანის დროს შეცვლილა. ხსენებული მეფეები თავიანთი დიდი წინაპრის ერთგული მიმდევარნი იყვნენ. ერთიც და მეორეც, როგორც ამას „ქართლის ცხოვრება“ აღნიშნავს, „მსახურებდა... მეფესა ასურასტანისასა“. ქართლის სამეფოსთან ამგვარი ურთიერთობა სელევკიანებისთვისაც ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო, რადგან ჩრდილოეთით მდებარე მთაგორიანი ქვეყნის დამორჩილება და უშუალოდ საკუთარი სამეფოს ფარგლებში მოქცევა მათ არ ხელეწიფებოდათ, ხოლო ზურგში ერთგული მოკავშირის ყოლა სირიის სელევკიანთა სამეფოს მესვეურებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო.

ქართლის მეფეები არც ჩრილოკავკასიელ მეზობლებთან ურთიერთობის დარეგულირების სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ივიწყებდნენ. მაშინ, როცა ქვეყნის საზღვრების ხელყოფას მხოლოდ ნათესაური კავშირი ვერ აჩერებდა, მომხვდურთა დასაოკებლად გადამჭრელი და ქმედითი ღონისძიებები ტარდებოდა.

მირვანის მეფობისას „დურძუკთა დაივიწყეს სიყუარული ფარნავაზისი და საურმაგისი; და გარდამოვიდეს... მოტყუევნეს კახეთი და ბაზალეთი“. მათ ჭართალეთს მყოფნი „კავკასიანნი“ შეუერთდნენ. მაშინ მეფე მირვანმა „შემოკრიბა ყოველნი სპანი, მხედარი და ქუეითი“ და თავად უწინამძღვრა ლაშქარს. იგი „ვითარცა ჯიქი სიფიცხითა, ვითარცა ვეფხვი სიმხნითა, ვითარცა ლომი ძახილითა“ პირადი სიმამაცით აღაფრთოვანებდა მეომრებს.

დურძუკნი უკუიქცნენ. „შევიდა მირვან დურძუკეთს და მოაოხრა“. და რაც მთავარია, გაამაგრა უღელტეხილი და „შეაბნა კარნი ქუტკირითა“. ჩრდილოელი მეზობლები ისევ დაშოშმინდნენ.

ამასობაში იმდროინდელ მსოფლიოში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა, რამაც ძალთა განლაგება წინა აზიაში ძირეულად შეცვალა.

ძვ. წ. III ს. შუა ხანებში დაიწყო სელევკიანების სირიის დიდი სამეფოს დაშლა. მას ჯერ ბაქტრია და სხვა შუაზიური პროვინციები ჩამოცილდა; ძვ. წ. 247 წ. დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა პართია, სადაც არშაკიანთა დინასტია დაფუძნდა.

ძვ წ. II ს. დასაწყისში გაძლიერებულმა რომის რესპუბლიკამ აღმოსავლეთისაკენ იწყო სვლა და მცირე აზიაზე თავისი პრეტენზიები განაცხადა. აქ მათი მეტოქე სელევკიანების სამეფო იყო, რომელმაც იმდროისათვის უახლესი ტექნიკით აღჭურვილ და კარგად გაწვრთნილ რომაულ ლეგიონებს ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ძვ. წ. 190 წ. მაგნეზიასთან ბრძოლაში სელევკიანი ანტიოქოს III სასტიკად დამარცხდა რომაელებთან და ძვ. წ. 188 წ. ზავით იძულებული გახდა ტავროსის ქედის ჩრდილოეთით მდებარე სამფლობელოებზე უარი ეთქვა.

სელევკიანების მარცხით, უპირველეს ყოვლისა, სომხებმა ისარგებლეს. სტრაბონი მოგვითხრობს, რომ ანტიოქოს III სარდლებმა ზარიადრემ და არტაქსიამ (არტაშესმა) თავი მეფეებად გამოაცხადეს. ერთი სოფენეში (მდ. ევფრატზე), მეორე კი არტაქსატის (არტაშანი მდ. არაქსზე) მიდამოებში გამეფდა. სომხური სამეფოებიდან განსაკუთრებით ძლიერი იყო არტაშეს I (ძვ. წ. 189-161 წწ.) მიერ ჩამოყალიბებული სახელმწიფო – დიდი არმენია.

ძველი ბერძენი გეოგრაფოსი და ისტორიკოსი დაწვრილებით აღწერს ამ მოვლენებს. ახლადშექმნილმა სომხურმა სამეფოებმა მეზობლების მიწების მიტაცების ხარჯზე გაზარდეს თავიანთი სამფლობელოები. არტაქსიამ იბერებს – პარიადრეს კალთები, ხორზენე და გოგარენე, რომელიც მტკვრის გადაღმა არის, ხოლო ზარიადრემ ხალიბებსა და მოსინიკებს კარენიტი და ქსერექსენე ჩამოაჭრა.

უნდა ითქვას, რომ ხალიბთა და მოსინიკთა ქართველური ტომები ქართლის (იბერიის) სამეფოს შემადგენლობაში არ შედიოდნენ, თუმცა განვმარტავთ, რომ „კარენიტი“ არზრუმის, ანუ კარინის, ზეგანია, „ქსერექსენე“ კი მდ. ევფრატის ზემო წელზე (დერჯანი) მდებარე პლატო.

რაც შეეხება არტაშეს I მიერ ქართლის სამეფოსაგან ჩამოჭრილ პარიადრეს კალთებს, ხორზენეს და გოგარენეს, ამ პროვინციების ადგილმდებარეობა კარგად არის ცნობილი.

პარიადრეს (პარხალის ანუ პონტოს ქედი) კალთები გულისხმობს შუა საუკუნეების პროვინციებს ტაოსა და ბა-

სიანს (არაქსის ზემო წელი).

ხორზენე მდ. ევფრატის სათავეებსა და ჭოროხებს შორის მოქცეული ტერიტორიაა, რომელსაც სხვა ბერძენი ავტორი აპიანე (IIს.) ხოტენეს სახელით მოიხსენიებს. საფუძვლიანი ვარაუდით, ხორზენე ჭოროხის შუა წელზე განთავსებულ ტაოსა და მტკვრის სათავეებსაც (შუა საუკუნეების ქართული პროვინცია კოლა) მოიცავდა. ამას ამტკიცებს ტოპონიმი ხორზიანეს ველი, რომელიც ამ რეგიონში დღემდეა შემორჩენილი.

გოგარენე ანუ ქვემო ქართლი გულისხმობს ტერიტორიას მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ჯავახეთიდან (დღევ. ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონები) ჰნარაკერტის ციხესიმაგრემდე. ეს უკანასკნელი იგივე ქართული ხუნანია, ციხექალაქი, რომელიც მდებარეობდა მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მდ. ბერდუჯის, ანუ ძეგამჩაის, მახლობლად, მდ. თაუზის შესართავთან.

ზემოთქმული კიდევ ერთხელ ეჭვმიუტანლად ადასტურებს, რომ არტაშეს I მიერ ქართლის სამეფოს ტერიტორიების დაპატრონებამდე ეს მიწები ქართული სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. სწორედ ამას მოწმობს სტრაბონისეული გამოთქმა: ამათ (არტაქსიამ და ზაროადრემ) გაზარდეს ქვეყანა იმის ხარჯზე, რომ მეზობელ ხალხებს ჩამოაჭრეს ტერიტორიები.

ამგვარად ფაქტია, რომ ძვ. წ. II ს. პირველ ნახევარში ქართლის სამეფოს სახელმწიფო ტერიტორია სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით შეიკვეცა. დროებით დაიკარგა ქართული ისტორიული მიწები; ტაო, სპერი, კოლა და გოგარენე. ქართლის სამეფოს ანექსირებულ ტერიტორიაზე, კერძოდ გოგარენე – გუგარქში, არტაშეს I დაარსა სომხეთზე დაქვემდებარებული პოლიტიკური ერთეული – საპატიახშო, რომლის მმართველად, ანუ პიტიახშად, ადგილობრივი ქართველი წარჩინებული, ვინმე მიჰრდატი დანიშნა. ამას მოწმობს სომეხი ისტორიკოსის მოვსეს ხორენაცის ცნობა. რომ არტაშესმა „ქართველთა დიდ პიტიახშს მიჰრდატს მიანდო ჩრდილოეთის მთებისა და პონტოს ზღვის გამგებლობა“.

ამ დროისათვის შეიცვალა ქართლის სამეფოს აღმოსავლეთი საზღვარიც. იგივე სტრაბონი გადმოგვცემს, რომ „მტკვარი, რომელსაც სათავე არმენიაში აქვს. პირდაპირ შემოდის (იბერიის) დასახლებულ დაბლობში, იერთებს არაგოსს (არაგვს), რომელიც კავკასიონის მთიდან მოედინება, სხვა წყლებსაც და ვიწრო ჭალებით ჩადის ალბანეთში“. ამას გარდა, სტრაბონის თქმით, სომხეთის შემადგენლობაშია პროვინცია „კამბისენე, სადაც იბერიელებსა და ალბანელებს ესაზღვრებიან არმენიელები“. ე.ი. დასახელებულ ხალხებს შორის ეთნიკური და ამდენად პოლიტიკური საზღვარიც კამბისენეს (კამბეჩოვანი. გვიანდელი ქიზიყი) ტერიტორიაზე გადის. ამასვე ადასტურებს იგივე ავტორის კიდევ ერთი ცნობა, რომლის მიხედვითაც „შესასვლელი იბერიიდან ალბანეთში არის უწყლო და ოღროჩოღრო კამბისენეზე, რომელიც მდინარე ალაზონიოსთან (ალაზანთან) არის“. აუცილებელია, რომ აქ მდ. ალაზნის მარცხენა სანაპიროც, ანუ ისტორიული ჰერეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილიც. ამას ამტკიცებს სტრაბონისეული ფრაზა: კავკასიონის „ზოგი ტოტი მოემართება სამხრეთისაკენ, გარს ერტყმის იბერიას“. უეჭველია, კავკასიონის ქედის ამ განშტოებათაგან ერთ-ერთი დღევანდელი ცივ-გომბორის ქედია. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ მიწები, რომლებიც ამ ქედის ჩრდილოეთითაა, ქართლის (იბერიის) კუთვნილებაა.

სამხრეთ-დასავლეთით ქართლის სამეფოს ტერიტორიის ერთი ნაწილი – კლარჯეთი, შავშეთი და აჭარა – მეფე აკეს (ძვ. წ. 180-160 წწ.) დროს გაძლიერებულმა ეგრისმა დაიკავა. სტრაბონი აღწერს „მოსხიკეს“ ანუ „მოსხების ქვეყანას“ და ამბობს, რომ ის სამად არის გაყოფილი. „ერთი მისი ნაწილი აქვს კოლხებს, მეორე იბერებს და მესამე არმენიელებს“. სტრაბონისეული „მოსხიკეს“ ტერიტორია მოიცავდა მდ. მტკვრის ზემო დინების აუზს და მდ. ჭოროხის ხეობას მთლიანად. აქედან გამომდინარე, თუ სტრაბონის ზემოთ მოტანილ ყველა ცნობას შევაჯერებთ, ნათელი გახდება, რომ სომხეთის წილი მესხეთი-მოსხიკე არის „პარიადრეს კალთები და ხორზენე“ (ე.ი. შუა საუკუნეების სპერი, ტაო, კოლა), კოლხებს (ეგრისის სამეფოს) ეკუთვნოდა კლარჯეთი, შავშეთი, აჭარა, ხოლო იბერებს (ქართლის სამეფოს) რჩებოდა არტაანი, ჯავახეთი, სამცხე.

დასუსტებულმა ქართლის სამეფომ დასავლეთით არგვეთის ტერიტორიაც დაკარგა, რომელიც ეგრისის სამეფომ დაიბრუნა. ამას მოწმობს სტრაბონის ცნობა, რომლის მიხედვითაც, ციხე-ქალაქი „სარაპანისი“ (შორაპანი) კოლხიდის (ეგრისის) კუთვნილებაა.

რაც შეეხება ეგრისის სამეფოს, ძვ. წ. II ს. შუა ხანებისათვის მან დამოუკიდებლობა აღიდგინა და, როგორც ზემოთ ვნახეთ, ქართლის სამეფოსაგან ტერიტორიებიც მიისაკუთრა. ის სამხრეთ-დასავლეთით გაფართოვდა, მაგრამ ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან გარკვეული მიწები დაკარგა. სტრაბონი გვაუწყებს, რომ ქალაქები დიოსკურია (სოხუმი) და პიტიუნტი (ბიჭვინთა) კოლხიდაში, ანუ ეგრისში, მდებარეობს, მაგრამ ჰენიოხთა ტომი, რომლის განსახლების არეალი სამხრეთ-აღმოსავლეთით სწორედ ბიჭვინთამდე ვრცელდებოდა, ეგრისის სამეფოს შემადგენლობაში უკვე აღარ შედიოდა.

ძვ. წ. II საუკუნის მიწურულს ქართლის სამეფოს სამხრეთ-დასავლეთით მნიშვნელოვანი მოვლენები დატრიალდა. პონტოს სამეფოს ტახტზე მითრიდატე VI (ძვ. 111-63 წწ.) ავიდა. მან ჩრდილოშავიზღვისპირეთში ბოსფორის სამეფო დაიმორჩილა; იგივე ბედი გაიზიარა სოფენეში მდებარე არმენიამ. სულ ცოტა ხანში მითრიდატე VI-მ თავისი აგრესია დასუსტებული კოლხიდის წინააღმდეგ მიმართა, რაც ეგრისის სახელმწიფოებრიობის დაკარგვით დასრულდა.

ამ პერიოდში გაძლიერდა არტაშანის „დიდი არმენიის“ სამეფო, რომელსაც ტიგრან II (ძვ. წ. 95-56 წწ.) განაგებდა. ამ უკანასკნელმა და მითრიდატე VI-მ სამხედრო-პოლიტიკური კავშირი შეკრეს, რომელიც დინასტიური ქორწინებითაც განამტკიცეს: ტიგრანმა მითრიდატეს ასულზე იქორწინა. მოკავშირეებმა თვალი აღმოსავლეთსა და ცენტრალურ მცირე აზიას დაადგეს. ამასობაში მითრიდატე VI-მ სამხრეთშავიზღვისპირეთის ბერძნული ქალაქებიც დაიქვემდებარა. შექმნილი ვითარება რომსა და სიძესიმამრს შორის შეტაკებას გარდაუვალს ხდიდა.

მალე რომსა და პონტოს სამეფოს შორის ხანგრძლივი სამხედრო დაპირისპირება დაიწყო. მითრიდატე VI-მ სამი ომი გამართა რომის წინააღმდეგ. ეს ომები ისტორიაში „მითრიდატეს ომების“ სახელით არის ცნობილი. ამ ომებში პონტოსა და სომხეთის მოკავშირეებად ქართლისა და ალბანეთის სამეფოებიც გამოდიოდნენ. ბრძოლები ცვალებადი წარმატებებით მიმდინარეობდა. ძვ. წ. 66 წ. პონტომ, ფაქტობრივად, შეწყვიტა წინააღმდეგობა. იმავე წელს პომპეუსს ტიგრან II დანებდა. მან რომთან ზავი დადო, შემოერთებულ ოლქზე უარი თქვა და ფულადი კონტრიბუციის გადახდაც იკისრა. სომხეთმა „რომის მოკავშირისა და მეგობრის“ სტატუსი მიიღო, რაც რომისადმი პოლიტიკურ დაქვემდებარებას ნიშნავდა.

ახლა პომპეუსის მიზანი პონტოსა და სომხეთის მოკავშირის, ქართლის სამეფოს დასჯა იყო. გარდა ამისა, რომაელთა განსაკუთრებულ ინტერესს იპყრობდა ძველ სამყაროში ცნობილი სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რომელიც ჩინეთიდან და ინდოეთიდან შუა აზიის გავლით, მდ. ბაქტრითა და მდ. ოქსით, კასპიის ზღვასა და მდ. მტკვრის ხეობაში შემოდიოდა. აქედან კი ხმელეთით ქ. ფაზისამდე (ფოთამდე) აღწევდა.

ძვ. წ. 65 წ. პომპეუსი ქართლში შეიჭრა. მეფე არტაგი ძლევამოსილი რომაული ლეგიონების წინააღმდეგ მარტო აღმოჩნდა. თავგანწირული ბრძოლის მიუხედავად იბერები დამარცხდნენ. პომპეუსმა ჯერ არმაზციხე აიღო, შემდეგ კი სევსამორა (წიწამური). არტაგმა რომაელ სარდალს მძევლებად შვილები გაუგზავნა, ძვირფასი ძღვენიც მიართვა და გამარჯვებულისგან ზავი ითხოვა.

ქართლის სამეფოს დამორჩილების შემდეგ პომპეუსი ლიხის მთის გადასავლეთით ეგრისში ჩავიდა. იმდროინდელი ეგრისი სკეპტუხიებად იყო დაშლილ-დაქუცმაცებული, თუმცა რომაელმა სარდალმა ფაზისისკენ ბრძოლით გაიკაფა გზა. ეგრისიდან, სომხეთის გზითა და კამბეჩოვანზე გავლით, პომპეუსმა ახლა ალბანეთზე ილაშქრა, მეფე ოროისი დაამარცხა და რომს დაუმორჩილა. ასეთ მდგომაროებაში შეხვდა ქართლისა და ეგრისის სამეფოები ქრისტეშობას.

ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე წინა აზიაში ორი დიდი დამპყრობელი – რომი და პართია – დაუპირისპირდა ერთმანეთს. მათი ინტერესები სომხეთშიც გადაიკვეთა. ამ მწვავე ბრძოლებმა სომხეთი დიდად დაასუსტა. ქართლის სამეფოს მესვეურებმა შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია მარჯვედ გამოიყენეს. 35 წ. პართელი დიდებულები აჯანყდნენ და სამეფო ტახტზე მითრიდატეს დასმა გადაწყვიტეს. ეს უკანასკნელი იმჟამად იმპერატორ ტიბერიუსის კარზე იმყოფებოდა. მისი გამეფება იბერთა დახმარებით უნდა მომხდარიყო, რისთვისაც ქართლის მეფეს მითრიდატეს სომხეთის ტახტს დაჰპირდნენ.

ქართლის მეფემ არ დააყოვნა და ლაშქარი, რომელსაც თავისი ვაჟი ფარსმანი უსარდლა, სომხეთისკენ დაიძრა. იბერებმა სომხეთის დედაქალაქი არტაშანი დაიჭირეს. სომხეთის სამეფო ტახტზე ქართლის მეფე მითრიდატეს მეორეს ვაჟი, სახელად მითრიდატე, დასვეს. პართის მეფემ დიდძალი ჯარი გამოაგზავნა სომხეთში გაბატონებულ იბერთა გასადევნად. ლაშქარს პართელი უფლისწული ოროდი სარდლობდა.

ქართლის სამეფო კარგად მომზადებული დახვდა მტერს. იბერებმა, რომელთა ხელშიც იყო კავკასიონის გადმოსასვლელები, თავიანთი მომხრე სარმატები გადმოუშვეს, პართელთა დასახმარებლად დაქირავებულებს კი გზები შეუკრეს. ქართლის სამეფო ჩრდილოეთის საზღვრებს მტკიცედ აკონტროლებდა და ჩრდილოაღმოსავლეთის მიმართულებითაც თავის პოლიტიკურ ზეგავლენას თანდათან კავკასიონის ცენტრალური ქედის გადაღმა ავრცელებდა.

ბრძოლის მსვლელობისას ერთმანეთს პირისპირ შეხვდნენ სარდლები იბერიელი ფარსმანი და პართელი ოროდი. იმარჯვა ქართლის უფლისწულმა. მძიმედ დაჭრილი ოროდი ჯერ ცხენმა გაიტაცა, შემდეგ კი მცველებმა გაარიდეს ბრძოლის ველს. პართელები, რომელთაც თავიანთი სარდალი მოკლული ეგონათ, უკუიქცნენ. ბრძოლა იბერიელთა ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. ქართლმა არამც თუ დაიბრუნა სომხეთის მიერ მიტაცებული ქართული მიწაწყალი, არამედ რომსა და პართიას შორის სომხეთისათვის გამართულ ბრძოლაში თავადაც აქტიურად ჩაერთო. მალე სომხეთში გამეფებულ მითრიდატესა და მის ძმას, ქართლის მეფე ფარსმანს შორის ურთიერთობა დაიძაბა. როგორც ჩანს, მითრიდატემ დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება დაიწყო. ფარსმანმა ძმა რომაელთა ღალატში დაადანაშაულა და თავისი ვაჟის, რადამისტის, ხელით მოიშორა. სომხეთში რადამისტი გამეფდა, სამი წელი იმეფა. თავისი სისატიკით სომხეთის დიდებულები აიმხედრა, რომლებმაც ის ტახტიდან ჩამოაგდეს. რადამისტმა ქართლში გაქცევით უშველა თავს. შემდგომში რამდენჯერმა სცადა სომხეთის ტახტის დაბრუნება, როდესაც იმედი ამოეწურა, მამის სიცოცხლეშივე ქართლის ტახტის დაპატრონება განიზრახა. ქვეგამხედვარი შვილი ფარსმანმა სიკვდილით დასაჯა.

ზემოთქმული მოწმობს, რომ I ს. 30-60-იან წლებში ქართლის სამეფომ პირვანდელი საზღვრები დაიბრუნა (ძვ.წ. IV-III სს.). ამგვარად, „მოსხიკე“ (მესხეთი), რომლის ერთი ნაწილი სტრაბონის დროს სომხეთს ეჭირა, მეორე კი – კოლხებს, I ს. შუა ხანებისათვის კვლავ ქართლის სამეფოს შემადგენლობაშია. ტაშირიც (გვიანდელი ქართული წყაროების ქვემო ქართლი) – მტკვრის შუა დინების მარჯვენა ნაპირის აუზი – დებედა-ჩაის სათავეებიანად ქართლის სამეფოს ეკუთვნის. ქართლის სამეფოს აღმოსავლეთი საზღვარი ალბანეთთან აღმოსავლეთისაკენ არის გადაწეული. სახელმწიფოს ჩრდილოეთის საზღვარი კავკასიონის მთავარი ქედის გასწვრივ გადის. მდ. თერგის სათავეები ანუ ქართული პროვინციები ხევი და თრუსო – ქართლის სამეფოს ეკუთვნის, „კავკასიის კარი“ და აქ არსებული ციხესიმაგრე კვლავ იბერიის საზღვრებშია. ქართლის სამეფოს შემადგენლობაშია ლიხის ქედის დასავლეთით მდებარე არგვეთიც. II ს. პირველი ნახევარი ანტიკური ეპოქის ქართლის სამეფოს ძლიერების ხანაა. ამ დროს, II ს. 30-50-იან წლებში, ქართლის სამეფო ტახტზე ზის ფარსმან II, რომელსაც ქართული საისტორიო ტრადიცია „ფარსმან ქველს“ უწოდებს. მის დროს ქართლის სამეფოს დაბრუნებული აქვს ძირძველი მიწები, სამხრეთისაკენ და სამხრეთ-დასავლეთისაკენ კიდევ უფრო აფართოებს საზღვრებს, რამაც რომის გაღიზიანება გამოიწვია. რომის იმპერატორ ადრიანესა და ფარსმან ქველს შორის დაძაბული ურთიერთობა ჩამოყალიბდა. ქართლის ეს მართლაც გამორჩეული და სახელოვანი მეფე ტოლს არ უდებდა და თანასწორად ეკიდებოდა იმდროინდელი მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოს იმპერატორებს. ამისათვის ის ოსტატურად იყენებდა ჩრდილოკავკასიის ველებზე მომთაბარე ალანებს, მტკიცედ აკონტროლებდა კავკასიონის სტრატეგიული მნიშვნელობის გადმოსასვლელებს და შიშის ზარს სცემდა რომის აღმოსავლეთის პროვინციებს.

რომისათვის ქართლის სამეფოსთან ურთიერთობის დალაგება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა. სწორედ ამიტომ იმპერატორმა ანტონინუს პიუსმა (138-161 წწ.) რომში მეუღლით, ვაჟიშვილითა და წარჩინებულთა თანხლებით ჩასულ ფარსმან იბერიელს „გაუდიდა სამფლობელო“. დიახ, იმპერატორი იძულებული იყო, ეცნო ქართლის სამეფოს შორს გაწეული საზღვრები, რამაც რომისათვის ესოდენ სასურველი მშვიდობა მოიტანა და მისი მრისხანე მეტოქე დააშოშმინა.

ამრიგად, ფარსმან ქველის დროს ქართლის სამეფომ არათუ აღიდგინა თავისი ისტორიული (ძვ. წ. IV-III სს.) საზღვრები, არამედ, სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით კიდევ უფრო განავრცო ის.

ზაზა აბაშიძე

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

...შურსა და ცილზე ამაღლებული...

ბარათები მავთულსიქითა სამყაროდან...

სალამი ძვირფასო და პატივცემულო ლევან!

გილოცავთ საყვარელ სამშობლოში დაბრუნება-დამკვიდრებას. გისურვებთ ჯანმრთელ, ხანგრძლივ და ბედნიერ სიცოცხლეს თქვენი დიდი და მრავალმხრივი შემოქმედების კეთილად წარმართვით. უსაზღვროდ გვახარებს მეც და ყველა მეგობარს თქვენი სამართლიანი დაბრუნება სამშობლოში. ყველა დარწმუნებული ვართ, რომ შეგექმნებათ საჭირო პირობები საყვარელი საქმის წარმატებით და ნაყოფიერად გაგრძელებისათვის. გზიდან გამოგზავნილი პატარა ბარათი მივიღე. დიდი მადლობა არდავიწყებისათვის. თქვენი წასვლის შემდეგ ჩვენს ცხოვრებაში ღირშესანიშნავი და მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. ახალმა ამნისტიამ ძლიერ აგვიფორიაქა მიყუჩებული უიმედობა. ჩვენს მეგობრებში დიდი მღელვარებაა და ყველას დიდი წყურვილი აქვს სამშობლოში დაბრუნებისა. უნდა ითქვას, რომ ამნისტია ძალიან ფართო და მნიშვნელოვანი ხასიათისაა, მაგრამ სამწუხაროდ, ზოგიერთი მუხლები არ მოჰყვა შიგ. მე უკვე მივიღე მეუღლისაგან დამამშვიდებელი და სანუგეშო წერილი – სულით ნუ დაეცემი, შემდეგ ამნისტიაში შენც მოჰყვებიო. ვნახოთ, იმედიც კარგია. გასულ კვირას გავიცანი ფრიდონ ტუხაშვილი და ნიკო მღებრიშვილი. იმათ ეხება და მიდიან. აგრეთვე მიდიან ბევრი სხვებიც. მგონი მათ შორის ვანოც. ალექსანდრე მაღლაფერიძეს დიდი იმედი აქვს, მათ შორის ილია ბოჭორიშვილსაც. ამტკიცებენ, რომ ჩვენც ყველას შეგვეხებაო. ვალიკო და დავითი ძალიან შეწუხებულები არიან. ბ-ნო ლევან, უღრმეს მადლობას გწირავთ ემზარისთან (ცნობილი მწერალი და მეცნიერი ემზარ კვიტაიშვილი) შეხვედრისათვის. ის ძლიერ კმაყოფილია და გახარებული თქვენი გაცნობით. ვნახოთ, თუ შეძლებს გამოიჩინოს უნარი, რომ ისარგებლოს თქვენი რჩევით და მითითებით. ძლიერ გთხოვთ, არ აპატიოთ არავითარი ჩავარდნები და ნაკლოვანებები. თუ მას აქვს რაიმე კეთილი მონაცემები ლიტერატურული მუშაობისათვის, გთხოვთ ორიოდე სიტყვით მომწეროთ თქვენი შთაბეჭდილებები მისი ლიტერატურული პოტეციალის შესახებ.



ლევან გოთუა

ჩვენ ყველას დიდად გვაინტერესებს თქვენი ახლანდელი მდგომარეობა. როდის განახლდება ძველი დადგმები და რა პირობებშია ახლების საქმე, როდის დაისტამბება „გმირთა ვარამი“. გასულ კვირას ვალიკომ თამარისაგან მიიღო სამი ნოველა. მან ჯერ არ მათხოვა. პირველად მე უნდა წავიკითხოო. მეორე რიგში ვარ ჩაწერილი. ბ-ნო ლევან, თუ მოახერხოთ პატარა წერილის გამოგზავნა, გთხოვთ გადასცეთ ჩემს მეუღლეს და ის გამომიგზავნის. ამასთანავე, გთხოვთ პატარა ბარათი ჩადევით თამარის და ნიკო კალაძის სახელზე. მათ სურთ თქვენთვის სურათების გამოგზავნა და არ იციან, რომელი სურათი უფრო გსურთ. გთხოვთ, გადასცეთ ჩემი გულწრფელი სალამი და კეთილი სურვილები ქ-ნ თინას და თქვენი ოჯახის ყველა წევრს. მოგიკითხეს გულთბილი სიყვარულითა და ნახვის ნატვრით აქაურმა მეგობრებმა. დღეს ვორკუტაში მზიანი დღეა. დილით ცოტა ყინვა იყო.

ახლა ნახვამდის. გისურვებთ ბედნიერებას.

თქვენი დავით კვიტაიშვილი
28 სექტემბერი, 1955 წ.
ვორკუტა

ძვირფასო ძმაო ლევან!

უსაზღვროდ გამახარა და გამამხნევა თქვენმა მეტად გულთბილმა და მეგობრულმა წერილმა. მიიღეთ ჩემგან უღრმესი მადლობა და ღრმა სურვილები თქვენი ჯანმრთელობისა და ნამდვილად ბედნიერი ცხოვრებისა საყვარელ სამშობლოში. დიდად გამამხნევა და იმედებით ამივსო გული იმ ამბავმა, რომ გეძლევათ საშუალება ნაყოფიერი და მოსვენებული შრომისათვის. მე წინა წერილში გეკითხებოდით ზოგიერთი რამეების შესახებ. თქვენმა წერილმა ყოველმხრივ დამაკმაყოფილა. აქ ჩვენთან ახალი ჯერობით არაფერია. რამდენიმე ქართველი წამოვიდა – წერეთელი, ბუცხრიკიძე და ოდილავაძე. ბევრი კიდევ ელოდება დიდი მოუთმენლობით. ბენომ, ჟორამ და მიშა რუხაძემ ძილი დაკარგეს პასპორტისა და წამოსვლის მოლოდინში. ადრე გათავისუფლებული და მიმაგრებული ხალხის გაშვება ჯერ არ დაუწყიათ, მხოლოდ ბანაკებიდან უშვებენ პატარ-პატარა ჯგუფებს. გარეთ მყოფი ხალხის საქმეებს მოსკოვიდან ჩამოსული კომისია არჩევს და ამბობენ პირველი ნოემბრიდან დაიწყება თანდათანობითი გაშვებაო. გუშინ ზურაბს ვესაუბრე. მან დამარწმუნა, რომ ჩვენი კატეგორიის ხალხს ეს ამინისტია არ ეხებაო. ასე რომ, ჩვენში ჩაქრა პირველი დღეებით გამოწვეული იმედების ნაპერწკლები და დავმორჩილდით ბედს.

მოსკოვიდან დაბრუნდა იგორ დობროშტანი, ჩემთან მოვიდა სამსახურში. პირველად თქვენი ამბავი მკითხა. გაუთავისუფლებიათ და მიუციათ სუფთა პასპორტი. ახლა აქ საცოლე ყოლია ბანაკში, ცდილობს იმის განთვისუფლებას და წამოსვლას. 23 ოქტომბერს შემოვიდა ჩემთან ექიმი ჯვარიშვილი დასამშვიდობებლად, ამინისტიით გათავისუფლდა და წავიდა. დამიტოვა პა-

ტარა სურათი და ბარათი თქვენთვის, რომელსაც ამ წერილთან ერთად გიგზავნით. თქვენი ნოველები წავიკითხე – აგრეთვე ბევრმა წაიკითხა. ახლა კოლია და თამარი კითხულობს. ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. „უგზო ქარავანმა“ ცრემლები მადინა. ძალიან მძლავრია „კრწანისის სევდა“; შესანიშნავია კაცხის სვეტის საიდუმლოც – განსაკუთრებით იმით, რომ თქვენ ყოფილხართ ამ გასაოცარი ექსპედიციის ინიციატორი და ერთ-ერთი ხელმძღვანელი. მოუთმენლად ველოდებით ახალი გამოცემების ხილვას. ბ-ნო ლევან, უღრმეს მადლობას გწირავთ ემზარის მიღებისათვის. თქვენი აზრი მის შესახებ ჩემი მასულდგმულებელია და თუ მან შეიგნო ეს ბედნიერება, რომ მას საშუალება მიეცა მიიღოს თქვენგან მითითებები, რჩევები და სასარგებლო კრიტიკა, მაშინ დავიჯერებ, რომ ის შეძლებს გაერიოს კაცების რიცხვში.

ჯერჯერობით კი თქვენი აზრი მის შესახებ იმდენად მამხნევებს, რომ ვფიქრობ, გავუძლებ რამდენიმე წელს კიდევ ჩემს ასეთ მდგომარეობაში ყოფნას.

დიდ მადლობას გითვლიან მოგონებისათვის იოსები, ბენო, კოლია, თამარი, მიტო, შალვა, დავითი, შოთა შავგულიძე და მთხოვეს გადმოგცეთ ტკბილი სალამი და გულწრფელი მოკითხვა. შოთამ გთხოვათ, ჯერჯერობით ნუ შეწუხდებით წიგნების გამოგზავნაზეო (ზურაბს მიუცია ლიტერატურა).

ძვირფასო ლევან, გთხოვთ გადასცეთ ჩემი გულწრფელი სალამი თქვენი ოჯახის წევრებს, ვინატრი თქვენს ხანგრძლივ სიცოცხლეს, მტკიცე ჯანმრთელობას და ჭეშმარიტ ბედნიერებას.

თქვენი დავით კვიტაიშვილი
26.10.56 წელი

რაც დავიწყებას არ მიეცემა

XX საუკუნის 50-იანი წლები საქართველოს ისტორიაში უმძიმეს პერიოდად დარჩა, თუმცა დაიწყო ერთგვარი ლიბერალიზაციის რეპრესიული პოლიტიკის შერბილების პროცესი. შინაგანი პროტესტის დიდი მუხტის დაცლა 1954 წლიდან მიმდინარეობს და 1956 წელს პიკს აღწევს. იოსებ სტალინის სახელის შებღალვის მძლავრი საპროტესტო ტალღა უნდა მოვიაზროთ, როგორც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული მანიფესტაცია, ეროვნული ღირსების დასაცავად წარმართული მძლავრი პროტესტი. სწორედ ასე აღიქვა საბჭოთა ხელისუფლებამ ქართველი ერის გამოსვლები და 1956 წლის 9 მარტს სისხლში ჩაახშო, რეპრესიული მანქანა კვლავ გაძლიერდა, თუმცა ხელისუფლების ამგვარი ქმედების შედეგად, ქართველი ერის შინაგანი საპროტესტო მუხტი კიდევ უფრო გაიზარდა და ეროვნული ცნობიერების გამოღვიძების პროცესი დააჩქარა.

50-იანი წლების დასაწყისი ის დროა, როცა ჯერ კიდევ აკრძალულია მიხეილ ჯავახიშვილი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, გადასახლებაში იმყოფება ლევან გოთუა. „ხალხის მტრად“ მონათლულ რეპრესირებულ მწერალთა ნაწარმოებებს ქართველი ახალგაზრდობა მალულად კითხულობს.

ლიბერალიზაციის პროცესის დაწყებამ რეპრესირებულ ქართველ მოღვაწეთა რეაბილიტაცია დააჩქარა. საბედნიეროდ, 1955 წლის სექტემბერში საქართველოს დაუბრუნდა ვორკუტის საკონცენტრაციო ბანაკში გადასახლებაში მყოფი ლევან გოთუა. ქართველი ხალხის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის, საპროტესტო მოძრაობამ თანდათან მოიკრიბა ძალა. „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ ბატონ ლევან გოთუას საქართველოში ჩამოსვლა არ სურდათ, მაგრამ ცნობილია, თუ როგორ მოახერხა ეგრეთ წოდებული თავისუფალი პატიმრობიდან თავის დახსნა. საქართველოში ყინული ლღვებოდა და ბატონი ლევანის დაჟინებულ მოთხოვნას სამშობლოში დაბრუნების შესახებ ანგარიში გაუწიეს.

საქართველოში დაბრუნებისთანავე ის აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას შეუდგა. ქართველი საზოგადოება, როგორც სამშობლოს გულანთებულ პატრიოტს, სიყვარულით შეეგება და მისი შემოქმედების მიმართ დიდი ყურადღება გამოიჩინა, მაგრამ ოფიციოზისთვის ბატონი ლევანი მაინც ყოფილ პოლიტიკურ პატიმრად რჩებოდა, რაც მეტად საგრძნობი 1956 წლის 9 მარტის რეპრესიების შემდგომ უნდა ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, ქართველ ახალგაზრდობაში მისი შემოქმედებისადმი ინტერესი უფრო გაიზარდა.

1960 წელს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა ბატონ ლევან გოთუას პიესა „სამსახეობა რაინდისა“ დადგა. ჩვენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ღვინის ტექნოლოგიის ფაკულტეტის IV კურსზე ვსწავლობდით. ერთ-ერთმა თანაკურსელმა გიორგი შათირიშვილმა, შემდგომში იყალთოს ღვინის ქარხნის დირექტორმა და იყალთოს შოთა რუსთაველის სახალხო უნივერსიტეტის და იყალთოს აკადემიის დამაარსებელმა მარჯანიშვილის თეატრში სპექტაკლი „სამსახეობა რაინდისა“ ნახა და ძალიან მოეწონა. მეორე დილით შთაბეჭდილებები გაგვიზიარა და დაჟინებით სთხოვა ჩვენს თანაკურსელს, ენგურ კირთაძეს, შემდგომში ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, სერგო დურმიშიძის სახელობის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის წამყვან მეცნიერს, სპექტაკლი ენახა და დაეწერა რეცენზია. თავდაპირველად, ბატონმა ენგურ კირთაძემ თავი შორს დაიჭირა, მკითხველი იფიქრებს – სად ღვინის ტექნოლოგია და სად თეატრმცოდნეობა და ხელოვნებათმცოდნეობაო, მაგრამ გიორგი შათირიშვილმა იცოდა მისი პოტენციური შესაძლებლობები, ჰუმანიტარული ნიჭი, ამიტომ არ მოეშვა. გიორგი არაჩვეულებრივი ალღოსა და ორგანიზატორული ნიჭის პატრონი გახლდათ, ის შემოქმედებითი უნარით გამოირჩეოდა, კარგად იცნობდა ქართულ ლიტერატურას. მას ბატონ ლევან გოთუასათვის საღამოს მოწყობა ჰქონდა ჩაფიქრებული, სადაც ენგურ კირთაძე მოხსენებით უნდა გამოსულიყო. ენგურ კირთაძეში ის პიროვნება დაინახა, რომელიც შესძლებდა, ღირსეულად შეეფასებინა ბატონი ლევანის პიესა – „სამსახეობა რაინდისა“. ენგურ კირთაძემ სპექტაკლი ნახა, შემდეგ საქართველოს მწერალთა კავშირში მარჯანიშვილელთა სპექტაკლის განხილვას დაესწრო, თეატრმცოდნეობაში


თეიმურაზ ღლონტი

გაეცნო სპეციალურ ლიტერატურას და შეადგინა მოხსენება, სადაც ბატონ ლევან გოთუას პიესა და მარჯანიშვილელთა სპექტაკლი მაღალ პროფესიულ დონეზე იყო განხილული.

ენგურმა გაგვაცნო თავისი ვრცელი რეცენზია, რომელიც 32 ნაბეჭდი თაბახი იყო. ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ საღამოს მოწყობაზე შორს დაიჭირა თავი, თუმცა შემდეგ სტუდენტთა სურვილს ანგარიში გაუწია. მოითხოვეს მოხსენების ტექსტის გაცნობა, რომელსაც პარტიულ-კომკავშირული ფილტრი უნდა გაევლო, რაიმე პოლიტიკურად საშიში და მიუღებელი არ გაპარულიყო. ასევე რეცენზია უნდა შემოკლებულიყო. შეხვედრა სტუდქალაქის სააქტო დარბაზში შედგა. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ ბატონი ლევან გოთუა, მარჯანიშვილის თეატრის მოღვაწეები – ქალბატონი ვერიკო ანჯაფარიძე, თეატრის პარტკომი მსახიობი გიორგი ტატიშვილი, სპექტაკლში მონაწილე რამდენიმე წამყვანი მსახიობი, ინსტიტუტის ხელმძღვანელობა. შესავალი სიტყვის შემდეგ ენგურმა მოხსენების კითხვა დაიწყო. რადგან მოხსენების შემოკლება რომ მოითხოვეს, ეს ბატონ ლევანს ყურადღებიდან არ გამორჩენია, ამიტომ წამყვანს რეცენზიის სრულად წაკითხვა სთხოვა. ბატონ ლევანს თხოვნა შეუსრულეს. შემდეგ ენგურმა განიხილა სპექტაკლის მიმდინარეობა, მსახიობების ოსტატობა და ბერიკების თეატრის აღდგენას მხარი აქტიურად დაუჭირა.

მოხსენების შემდეგ გამართულ კამათში პირველი სიტყვა ქალბატონმა ვერიკო ანჯაფარიძემ ითხოვა. მსახიობმა მომხსენებლის გამოსვლას მაღალი შეფასება მისცა. იგივე აზრი გამოთქვეს გიორგი ტატიშვილმა და სხვებმა. განსაკუთრებით აღფრთოვანებული იყო ბატონი ლევან გოთუა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნაწარმოების ასეთი პროფესიული შეფასება არსად მოუსმენია. პატივისცემის დასტურად, შეხვედრის შემდეგ გიორგი შათირიშვილი და ენგურ კირთაძე სახლში მიიწვია. ენგური კიდევ რამდენჯერმე შეხვდა ბატონ ლევანს. საუბარში გადაწყდა, წარმოდგენილი მოხსენების მოკლე ვარიანტი სტატიის სახით ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ წარედგინათ, რომლის რედაქტორი ნოდარ გურაბანიძე იყო. ისინი ერთმანეთს შეხვდნენ, რედაქტორმა ნამუშევარი მოიწონა, მხოლოდ მოითხოვა, რომ ბერიკების თეატრის აღდგენის იდეის მხარდაჭერა სტატიაში არ შეეტანათ. ასეთი ჟესტი ბატონ ლევან გოთუას წინააღმდეგ წასვლას ნიშნავდა, ენგური არ დათანხმდა და სტატია უკან წამოიღო. როდესაც ეს ამბავი მწერალმა გაიგო, რა თქმა უნდა, არ გაკვირვებია, რეცენზიის ავტორის პრინციპულობა კი მოეწონა – მეც ასე მოვიქცეოდიო, – ბრძანა ბატონმა ლევანმა. გარკვეული პერიოდი გახმაურებული რეცენზია მარჯანიშვილის თეატრის ლიტერატურულ ფონდში და ბატონი ლევანის პირად არქივში ინახებოდა, თუმცა ამდენი ხნის შემდეგ მათი კვალი დაიკარგა.

გულდასაწყვეტია, რომ მოხსენების ტექსტს ვერსად მივაგენით. როცა ბატონმა ჯუმბერ ჯიშკარიანმა ლევან გოთუას საიუბილეო თარიღთან დაკავშირებული კრებულის გამოცემის შესახებ იდეა გაგვანდო, მყისიერად 55 წლის წინ გამართული შეხვედრა გაგვახსენდა. ბატონი ჯუმბერი დაინტერესდა და გვთხოვა, კრებულისთვის მოხსენების ტექსტი, უკიდურეს შემთხვევაში 1960 წელს ჩატარებული საღამოს შესახებ მოგვემზადებინა წერილი, ენგურ კირთაძეს მივმართეთ, მან ბატონ ლევანთან ურთიერთობისა და დაუვიწყარი ღონისძიების მნიშვნელოვანი დეტალები გაიხსენა. გვთხოვა, როგორც დამსწრეს და მონაწილეს, მის მიერ მოთხრობილი პერიპეტიების მოშველიებით, დაგვეწერა წერილი.

მართალია, იმ საღამოს სულისჩამდგმელი გიორგი შათირიშვილი იყო, მაგრამ საღამოს ტონისა და დონის შემქმნელი ენგურ კირთაძე გახლდათ. დასანანია, რომ ენგურმა არ გაიზიარა ბატონი ლევანის სურვილი – შემდგომი საქმიანობა თეატრმცოდნეობის მიმართულებით გაეგრძელებინა. ბიოლოგიურ მეცნიერებამ ენგურ კირთაძის სახით კარგი მეცნიერ-მკვლევარი შეიძინა, მაგრამ ხელოვნებათმცოდნეობამ, კერძოდ, თეატრმცოდნეობამ დაკარგა დიდი პოტენციის მქონეხელოვნებათმცოდნე მეცნიერი.

55 წლის წინ ბატონ ლევან გოთუას შემოქმედებისადმი მიძღვნილი დაუვიწყარი საღამოს მნიშვნელობა დღემდე განუზომელია. ის, რომ შემოქმედებითი შეხვედრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ქართველი სტუდენტების ინიციატივით ჩატარდა, იმის დასტურია, თუ როგორი მაღალი იყო ეროვნული ცნობიერება და შემოქმედებითი პოტენციალი, ჰუმანიტარული თუ ტექნიკური პროფილის ახალგაზრდები თავისუფალ აზრს ღიად გამოხატავდნენ და დიქტატს ვერ ეგუებოდნენ.

თეიმურაზ ღლონტი
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,
მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო
აკადემიის ნამდვილი წევრი,
ალავერდის მონასტრის მარნის ენოლოგ-კონსულტანტი

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

ლელა სურმავა

ბატონო ჯუმბერ, გილოცავ 80 წლის იუბილეს! ამბობენ, მაღალი მნვერვალები ქვეყანას ზეციურთან ახლოებს!.. მთავარი მნვერვალი, ბახმარო, ჩვენ ხომ თქვენთან ერთად დავიპყარით, გაუკვალავი თოვლი უშიშარი ნაბიჯებით, თამამად გავიარეთ, ექსტრემალურ ვითარებაში ინარჩუნებდი სიმშვიდეს და კეთილგონივრულ რჩევებს მთაზობდი. სიქმის მიმართ ერთგულება იშვიათი და თანდაყოლილი ნიჭია. დღემდე შეუპოვრად იბრძვი, სიტყვით ბრძოლა მხოლოდ დიდბუნებოვან ადამიანებს შესწევთ. გამორჩეული ხელნერა გაქვს, პუბლიკაციებში მთავარ სათქმელს ირასდროს ერიდები!.. სამაგალითო ჟურნალისტთან ურთიერთობა ჩემს მეხსიერებაში საუკეთესო მოგონებად დარჩება. მიყვარხარ, დღეგრძელობას გისურვებ.

ლელა სურმავა
ჟურნალ გურიაREGION რედაქტორ-გამომცემელი

ქართველ სპელეოლოგთა უნიკალური აღმოჩენა

ქალაქ წყალტუბოს ზონის სოფელ ყუმისთავში, სახელგანთქმული ჯურორტიდან ექვსი კილომეტრის მანძილზე აღმოჩენილია ჯარსტული მღვიმე

ჩვენში ხშირად გაიგონებთ, **– რა საოცრებაა, რა მშვენიერია, რა სასწაულია, ენით გამოუთქმელია და კალმით აუწერელია პირდაპირ!** და მართლაც, ჩვენს ირგვლივ ბევრი ისეთი რამ არის, რისი აღწერაც ძნელია, ისეთი რამ, რაც საკუთარი თვალით უნდა ნახო და შეაფასო... უთუოდ ასეთ სასწაულს უნდა მივაკუთვნოთ წყალტუბოს მახლობლად ამას წინათ აღმოჩენილი მღვიმე, თავისი უნიკალური მიწისქვეშა დარბაზებით, კილომეტრნახევარი გვირაბით, რომელშიც ნახავთ საოცრად მრავალფეროვან სამყაროს...

ამ დღეებში მღვიმეში იყო და მთელ ანსამბლს დეტალურად გაეცნო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე, რომელსაც ახლდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. მგელაძე, ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ე. მალაზონია.

მრავალფეროვან მიწისქვეშა ანსამბლში თექვსმეტი დარბაზია. მღვიმე აღმოაჩინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის სპელეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელსაც **ჯუმბერ ჯიშკარიანი** მეთაურობდა. ექსპედიციას აქტიურად ეხმარება ცნობილი ალპინისტი, სსრ კავშირის სპორტის ოსტატი გივი ყალაბეგიშვილი.

აი, რა გვითხრა ექსპედიციის ხელმძღვანელმა ჯუმბერ ჯიშკარიანმა.

– ინსტიტუტის სამეცნიერო ექსპედიციებმა სხვადასხვა დროს აღმოაჩინეს და შეისწავლეს 500-ზე მეტი მღვიმე, შახტი და უფსკრული, მაგრამ ახალი ათონის მღვიმის შემდეგ ჩვენს სპელეოლოგებს ასეთი წარმატებისთვის ჯერ არ მიუღწევიათ. აღმოჩენილი მღვიმე, რომელსაც პირობითად წყალტუბო დავარქვით, კიდევ დიდხანს საიდუმლოებით მოცული დარჩებოდა. ჩვენი ექსპედიციის წევრებს თამაზ ქობულაშვილს, ვახტანგ კაპანაძეს, ამირან ჯამრიშვილს, კოტე ნიჟარაძეს და მე რომ არ შეგვეღწია მიწისქვეშა საოცარ სამყაროში, რომელიც საუკუნეთა მანძილზე უცნობად რჩებოდა. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ აგრეთვე კარტოგრაფი ნარგიზა გამცემლიძე და ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ქეთევან მიქაბერიძე.

მღვიმის მთავარი შესასვლელი ოდითგანვე ცნობილი იყო ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის, რომლებიც მას **წკვარამს** უწოდებდნენ. ეს შესასვლელი დიდი ხანია იზიდავდა სპეციალისტთა ყურადღებას, მაგრამ ყველაფერი მთავრედებოდა სამოცი მეტრი სიგრძის გვირაბის დათვალიერებით, რომელიც თურმე განგებას **საიმედო დარაჯად** დაუყენებია ამ მღვიმისათვის და ისეთი უმძიმესი სალი კლდის ლოდებით დაუკეტია დარბაზების მისასვლელები, რომ მღვიმეში შეღწევას მხოლოდ მისი ბინადარნი – ღამურები თუ ახერხებდნენ.

პირველ ბედნიერ დღეს – 1984 წლის 15 ივლისს, ექსპედიციის მონაწილეებმა რომელთა უმთავრესი იარაღი მხოლოდ გამბედაობა და მეშახტის ნათურები იყო 39 სანტიმეტრი სიმაღლის ვიწრო ხვრელით შეაღწიეს მღვიმის პირველ დარბაზში.

სიხარულით აღსავსე სპელეოლოგებმა გზა განაგრძეს წყვდიადისა და დუმილის სამყაროში. ყოველი წინაადმდეგობის დაძლევა ახალ-ახალი, ერთმანეთისაგან განსხვავებული დარბაზების აღმოჩენით მთავრდებოდა. პირველ დღეს თავდადებული მუშაობის შემდეგ გამოიკვლიეს შვიდი დარბაზი.

რამდენიმე დღის შემდეგ მღვიმე დაათვალიერეს პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გივი აბზიანიძემ და საქალაქო აღმასკომის საბჭოს თავმჯდომარემ მირზა ქორქაშვილმა. მღვიმის დასათვალიერებლად ჩამოვიდნენ აგრეთვე ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი თამაზ კიკნაძე და ცნობილი ჩეხი სპელეოლოგი პაველ მიტერი.

აღმოჩენის ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა. სპელეოლოგებს ადგილობრივი მცხოვრებნი დაეხმარნენ.

დაუყოვნებლივ შეიქმნა ორი დამკვრელური ბრიგადა, რომელთაგან თითოეული წერაქვებითა და ძალაყინებით შეირაღებული ოცი კაცისაგან შედგებოდა. ამ ბრიგადებს სათავეში ჩაუდგნენ ცხუნკურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იმედო ტყაბლაძე და სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე გურამ სვანიძე. უწინარე ყოვლისა, საჭირო გახდა ცალკეულ დარბაზებს შორის გასასვლელი დერეფნების გაფართოება. ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს ამ საქმეში „საქგუმბრინის“ მაღაროთსამმართველოს (დირექტორი ლევან გურგენიძე) სამთო მაშველთა ბრიგადამ კონსტანტინე ბალანჩივაძის მეთაურობით, – ***ადგილობრივ მცხოვრებთა დახმარებით შეუძლებელი შეძლო, როგორც იტყვიან, შიშველი ხელით ამოკვეთეს მრავალი გასასვლელი და საფეხური. შიშველი ხელით იმიტომ, რომ აქ ასაფეთქებელი სამუშაოები დაუშვებელია.*** განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სოფელ ყუმისთავის მცხოვრებლებმა, ცნობილი ნოვატორი მესიმინდის გიორგი ტყაბლაძის ოჯახის წევრებმა, მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის მეოთხე კურსის სტუდენტმა ნუგზარ გამყრელიძემ, კოლმეურნეებმა გოჩა მაღლაფერიძემ, მიხეილ შალამბერიძემ, ზაურ, გიგლა, თამაზ და ინდიკო ტყაბლაძეებმა და სხვებმა.

მსურს, აღვნიშნო წყალტუბოს ელექტრომეურნეობის დირექტორი ანზორ შვანგირაძე, **ბურლაკების** ბრიგადების წევრები და სოფელ ქვილიშორის მცხოვრებლები, რომლებიც სპეციალური თოკებით იყვნენ შეირაღებულნი. მათ მღვიმეში გაიყვანეს დიდი კვეთის ელექტროკაბელი კილომეტრნახევარ სიგრძეზე. ამის მეოხებით შესაძლებელი გახდა მძლავრი ელექტრონათურებითა და პროჟექტორებით ქვესკნელის გაჩირაღდნება.

იმ კოლექტივებს შორის, რომლებმაც თავი გამოიჩინეს მღვიმის **ათვისებაში**, უნდა დავასახელოთ წყალტუბოს სამეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობის დირექტორის მოადგილე გენადი დოლაბერიძე, სპეციალური საექსპედიციო ბრიგადა, რომელმაც ნაპრალებზე გასასვლელად მოაწყო ათობით საფეხური, კიბე და ხიდი. თავი იჩინა ადგილობრივ მცხოვრებთა პატრიოტულმა თაოსნობამ, მათ ათ დღეში მღვიმის ასათვისებლად და გასაწმენდად უსასყიდლოდ 50 000 მანეთის სამუშაოები შეასრულეს.

საინტერესოა ჩეხი სტუმრის აზრი ახალი აღმოჩენის თაობაზე – **აი, ეს არის ნამდვილი მღვიმე! იგი ჩეხოსლოვაკიის ცნობილ აქტელეკს მაგონებს, მაგრამ წყალტუბო თავისი განუმეორებელი დარბაზებით, მრავალფეროვანი მორთულობით, გაცილებით მდიდარია. ყოველი სპელეოლოგი ლოცულობს, აღმოაჩინოს თუნდაც ერთი ასეთი მღვიმე, მაგრამ ეს ძალზე იშვიათად ხდება, რადგან ბუნება ძუნწად თმობს თავის საიდუმლოებას. გამორიცხული არ არის, რომ საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ ეს მღვიმე თავის სიტყვას იტყვის როგორც მღვიმეთწარმოქმნის და ნალექთწარმოქმნის თეორიაში, ისე საერთოდ თანამედროვე სპელეოლოგიის ისტორიაში. ვულოცავ ჩემს ძვირფას კოლეგებსა და მეგობრებს ამ გამარჯვებას...**

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია დიდი მუშაობისა, რომლის შედეგადაც მღვიმე მსოფლიო სტანდარტების დონეზე უნდა აღიჭურვოს, ამას სოლიდური კაპიტალდაბანდება და დიდი დროც სჭირდება.

აღმოჩენილი თექვსმეტი დარბაზი მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან მასშტაბითაც და გაქვავებული ჩამონაღვენთების განუმეორებელი მრავალფეროვნებითაც. ***ყველაზე ლამაზ დარბაზს, რომელიც გამოირჩევა სტალაქტიტებისა და სტალაგმიტების სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით, რუსთაველის სახელი ეწოდა. ეს დარბაზი თითქოს მართლაც ეხმიანება „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტებს. აქ თითქოს ხედავ როსტევანის უმდიდრეს სასახლეს, რომელიც წააგავს მხატვარ მიხაი ზიჩის ცნობილ ილუსტრაციას, აქვე წარმოგიდგებათ ქაჯეთის ციხის პანორამა...***



გაოცებას იწვევს კოსმოსური სიუჟეტების დარბაზი. თითქოს მთვარის პეიზაჟი მოჩანსო, ხედავ კოსმოდრომს, რომელზეც აღმართულია სასტარტოდ გამზადებული კოსმოსური ხომალდი... ამ დარბაზს **კოსმონავტების დარბაზი** ეწოდა. მღვიმის აღმოჩენის დღე დაემთხვა კოსმოსში იმ ეკიპაჟის მუშაობას, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ ვლადიმერ ჯანიბეკოვი, სვეტლანა სავიცკაია და იგორ ვოლკი კოსმონავტებთან ლეონიდე კიზინთან, ვლადიმერ სოლოვიოვთან და ოლეგ ატკოვთან ერთად. უკვე იშვა აზრი, ამ დარბაზში მოეწყოს სპეციალური მუდმივმოქმედი გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იქნება გაგარინის ეპოქის ამსახველი ექსპონატები.

თავისი ორიგინალობითა და მორთულ-მოკაზმულობით ერთმანეთს ტოლს არ უდებენ ***აფხაზეთის, ქუთაისის, წყალტუბოს, ხსოვნის, აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის დარბაზები.*** გამოირჩევა ორი დარბაზი – ***გამარჯვებისა და მშვიდობის*** დარბაზები. ისინი ყველაზე დიდი და მდიდრულია მთელ მღვიმეში. აქ, ბოლო დარბაზში მოეწყობა ნავებით სეირნობა სამასი მეტრი სიგრძის ტბაში, გაიხსნება ბარები და სუვენირების მაღაზიები.

სულ ერთი თვე გავიდა, რაც **სიცოცხლე** დაიწყო მღვიმე **წყალტუბომ**. ქალაქ-კურორტის სიახლოვე ხელსაყრელია ეკონომიკური თვალსაზრისით. მღვიმის მდიდრული მორთულობა და მიდამოების ზღაპრული სილამაზე აუცილებელს ხდის საჭირო სამუშაოთა დაუყოვნებლივ განხორციელებას. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია, ამ საქმეს ექსპერიმენტის სახით, სათავეში ჩაუდგნენ წყალტუბოს აგროსამრეწველო გაერთიანება და მისი ერთ-ერთი სამშენებლო ორგანიზაცია, რომლებიც პასუხს აგებენ სამუშაოთა წარმოებისათვის.

შოთა ღვინიანიძე
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, 1984

გავრცელებული მითები და ანტიდასავლური პროპაგანდა

ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრი

1905 წელს გურიაში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს ქალმა ხმის მიცემის უფლება პირველად მოიპოვა. თავისუფლებისკენ სწრაფვა გურულების დამახასიათებელი თვისებაა. პოლიტიკის მიმართ ისინი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ. ჩვენმა რესპონდენტმა ნინო ბოლქვაძემ მოღვაწეობის არეალი გააფართოვა, ქვეყნის ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის შესახებ არაერთ საინფორმაციო კამპანიას აწარმოებს. ნინომ თსუ-ს ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი დაამთავრა, ამერიკათმცოდნეობის მიმართულებით მაგისტრის ხარისხი მიიღო. მოგვიანებით ნიდერლანდებში გაემგზავრა, მაასტრიხტის უნივერსიტეტში ევროპის საჯარო პოლიტიკის სფეროს დაეუფლა. პროფესიით ლინგვისტმა მომავალი კარიერა საერთაშორისო ურთიერთობებს დაუკავშირა. მუშაობდა საერთაშორისო ორგანიზაციებში და დიპლომატიურ მისიებში. 2017 წლიდან საქართველოს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრს ხელმძღვანელობს. ნინო ცნობილი გურულის, მომღერალ ზაურ ბოლქვაძის ქალიშვილია. მამის ნიჭი გამოყვა, კარგად მღერის, უცხოელებიც მოხიბლა. ამბობს, – თავს არ ვზოგავთ, ოლონდ ნატოში მიგვიღონო – იცინის. ჰყავს მეუღლე დავით ონიანი და ერთი წლის მარიამი. ნინო საინფორმაციო ცენტრის საქმიანობაზე მოგვითხრობს.

– რას ნიშნავს თქვენთვის გურია?

– მამა ოზურგეთელი იყო, დედა სოფელ ბახვიდან, როგორც ყველა ბავშვი, მეც სასკოლო არდადეგებს მშობლიურ კუთხეში ვატარებდი. მეგობრებს დღემდე გურული დიალექტით ვესაუბრები. მომწონს გურულების სხარტი გონება, ყველა სირთულეს იუმორით ხვდებიან, ცოტა ფიცხი ხალხია, თუმცა სწრაფად ავიწყდებათ... ასე რომ, იქ არის ჩემი ფესვები, წარსული და საუკეთესო მოგონებები.

– რა არის ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის მთავარი დანიშნულება?

– საინფორმაციო ცენტრის მიზანია, ნატოსა და ევროკავშირის მიმართ შეცვალოს ადამიანების დამოკიდებულება. საქართველოს მთავრობა, საერთაშორისო საზოგადოება და ჩვენი დასავლელი პარტნიორები სტრატეგიული კომუნიკაციის მიმართულებით აქტიურად ვმუშაობთ, ვაცნობიერებთ რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებს. ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე ადამიანებს სწორად უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია, თუ რა სიკეთეს მოუტანს ქვეყანას ნატოში და ევროკავშირში გაწევრიანება, რატომ არის კარგი მნიშვნელოვანი სტრუქტურების შემადგენელ ნაწილად ვიქცეთ. რაც მთავარია, გავაღრმაოთ დასავლური ღირებულებების ცოდნა. ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი ყოველთვის გამოირჩევა აქტიურობით, ჩვენი ორგანიზაციის ძალისხმევით და უცხოელი პარტნიორების თანადგომით საზოგადოება ინფორმირებულია. გვსურს, საქართველოს ყველა რეგიონში გაიზარდოს წვდომა. საინფორმაციო ცენტრში ქვეყნისთვის აქტიურ ფაზაში მოვედი, აპრილში გაიმართა ნატოს დღეები, შემდეგ ევროპის დღეები, ახალ საქმიანობაში სწრაფად ჩავერთე, შეჩვევის დრო არ მქონდა, სისხარტე გამოვიჩინე, ალბათ გურული ხასიათი დამეხმარა-იცინის.

– რა ინფორმაცია უნდა მიიღოს საზოგადოებამ ნატოზე და ევროკავშირზე?

– მთავარია, ჰქონდეთ სწორი წარმოდგენა დემოკრატიული მმართველობის შესახებ. დასავლელი პარტნიორები ძალიხმევას არ იშურებენ, საქართველო გახდეს სტაბილური, ეკონომიკურად ძლიერი, მშვიდობიანი და დემოკრატიული სახელმწიფო. საინფორმაციო ცენტრის მიზანია ადამიანების ინფორმირება, მაღალი მხარდაჭერის გარეშე, ევროპულ და ევროატლანტიკურ კურსს ვერ შევინარჩუნებთ, ყველაფერი წყალში ჩაგვეყრება.

– რუსეთის უძლეველობის ყველას ერთნაირად არ სჯერა, თუმცა რთული მემკვიდრეობა გვერგო, როგორ უნდა შევებრძოლოთ?

– მძიმე ისტორიული გამოცდილება გვაქვს, მარტო ჩვენი პრობლემა არ არის. დღეს, მთელ მსოფლიოში, მათ შორის ძველ დემოკრატიებში – ევროპის ქვეყნებში, ამერიკაში რუსული პროპაგანდა მძლავრობს. ძირძველ დემოკრატიულ სისტემებში გამოზრდილ ადამიანებსაც კი დემოკრატიული მმართველობის და ისთებლიშმენტის მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება აქვთ...

– რას ეფუძნება დასავლური ფასეულობები?

– დემოკრატიულ მმართველობას, ადამიანის უფლებების დაცვას, კანონის უზენაესობას. სტაბილურ დემოკრატიულ ქვეყნად ჩამოყალიბების პროცესი ახლა მიმდინარეობს, ხანმოკლე ისტორია გვაქვს. დემოკრატიული მმართველობა გულიხმობს ტრანსფარენტულობას, ყველა პრობლემის გამჭვირვალედ განხილვას, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როცა ხალხი ქუჩაში გამოდის, აპროტესტებს, უკმაყოფილების ტალღა რუსეთისთვის ხელსაყრელია, ხშირად დეზინფორმაციულ კამპანიას აწარმოებს.

– როგორ უნდა შეიცვალოს ადამიანების ცნობიერება?

– თანამედროვე რუსული პროპაგანდა არ ეწევა იდეების პოპულარიზაციას, მათ ხომ იდეა არ აქვთ... ვერ დაგარწმუნებს, თითქოს რუსეთში ევროპულ ქვეყნებზე უკეთესად ცხოვრობენ, საზოგადოებაში დემოკრატიული სისტემის მიმართ აღვივებს უკმაყოფილებას, უნდობლობას, ნიჰილიზმს. ცდილობს, გახლიჩოს ევროპული საზოგადოება, ეს იქნება მემარჯვენე, თუ მემარცხენე მიმდინარეობები, მხოლოდ ერთი მიმართულებით არ მოქმედებს, ბევრ წერტილს აჩენს, პროტესტი შიგნიდან ღვივდება და მათ წისქვილზე ასხამს წყალს!..

– როგორ მუშაობს საქართველოში რუსული პროპაგანდა?

– მათ იციან, ღიად რუსული პროპაგანდა არ იქნება პოპულარული, ამიტომ ცდილობენ, პრორუსული ნარატივებით შენიღბონ, რუსული გზავნილები ქართველებს ისე მიაწოდონ, რომ მისაღები იყოს. ულტრანაციონალურ, თითქოს პატრიოტულ ნარატივებს ბევრი აქტორი და მონაწილე ჰყავს – მედიასაშუალებები, სოციალურ ქსელში დეზინფორმაციები არა მარტო რუსულ, არამედ ყველა ენაზე ვრცელდება. პოლიტიკური პარტიები, ორგანიზაციები მუშაობენ რუსულ პროპაგანდაზე. ხშირად ასეთი გზავნილებით ინიღბება, მაგალითად, არ უნდა ვიყოთ არც პროდასავლურები და არც პრორუსულები,

შეხვედრა საზაფხულო სკოლის მოსწავლეებთან

ნატო – საქართველოს სახალხო დიპლომატიის ფორუმი

არამედ მხოლოდ პროქართველები, წმინდა პროკრემლისტური პროპაგანდა გარწმუნებს, თითქოს დასავლეთი და რუსეთი საქართველოსთვის ორივე ცუდია, რაც სიცრუე არის. რუსეთთან ურთიერთობამ ომები და ნგრევა მოგვიტანა. დასავლეთმა ქვეყნის მიმართ არა მარტო პოლიტიკური მხარდაჭერა გამოხატა, დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან ევროკავშირმა საქართველოს ორ მილიარდზე მეტი ფინანსური დახმარება გაუწია. ყოველ წელს ას მილიონ ვეროზე მეტ დახმარებას ვიღებთ, ცალკე პროექტებია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის. ასოცირების ხელშეკრულებაში სხვადასხვა სექტორული მიმართულებებია, ყველა დარგს მოიცავს და ადამიანებისთვის კონკრეტული შედეგი მოაქვს. ასოცირების დღის წესრიგი არ უნდა აღვიქვათ, როგორც ჩვენი საშინაო დავალება, გაწერილი ვალდებულებების შესრულებაში ევროკავშირი გვეხმარება ექპერტიზით და ფინანსურად. ქართული კულტურა ევროპული კულტურის ნაწილია, ჩვენ ოდითგანვე ვისწრაფვით ევროპულ ოჯახში დამკვიდრებას, საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, პოეტები საქართველოს ევროპული კულტურის ნაწილად მიიჩნევდნენ. ასევე ნატოსთან ურთიერთობით გაიზრდება ქართველი სამხედროების პროფესიული და ტექნიკური მომზადების დონე, ამაღლდება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა. მთავარია, ადამიანების ინფორმირება, რომ სასურველ შედეგს მივაღწიოთ.

– ვინ არის თქვენი მიზნობრივი აუდიტორია?

– ყველა ასაკის ადამიანი, აქცენტი ახალგაზრდებზე გადავიტანეთ, ვთანამშრომლობთ წამყვან უნივერსიტეტებთან, იმართება ერთობლივი ღონისძიებები, სემინარები, საჯარო ლექციები. სიახლეებს უფრო სწრაფად ითვისებენ, ვიდრე ასაკოვანი ადამიანები, რომლებსაც დღემდე საბჭოთა ნოსტალგია აქვთ, რეგიონებში ადამიანების განწყობა არ იცვლება... საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთი საბჭოთა დანაშაულობებს არ სწავლობს, კაცობრიობის წინაშე ჩადენილი სისასტიკისთვის არავინ დასჯილა. შეიძლება ფიქრობენ, 1937 წლის რეპრესიებს და დახვრეტას ისინი იმსახურებდნენ. ამიტომ სწორი ინფორმაცია უნდა მივაწოდოთ.

– ქართული დემოკრატია მყიფეა, ნელ-ნელა ვითარდება...

– რა თქმა უნდა, ბოლო ოცდაცხრა წლის მანძილზე გამოიარა ტერიტორიული და სამოქალაქო ომები, ეკონომიკური სიდუხჭირე. ადამიანებს არ აქვთ სრულყოფილი წარმოდგენა, რატომ არის კარგი დემოკრატიული მმართველობა. დასავლელი პარტნიორების დახმარებით საქართველო უნდა იყოს დასავლური ტიპის დემოკრატიული, ეკონომიკურად ძლიერი, სტაბილური, მშვიდობიანი სახელმწიფო. რაც მთავარია, ადამიანებმა ყველა სიკეთე თავიანთ თავზე იგრძნონ.

– რა კონკრეტული აქტივობები გაქვთ რეგიონებში?

– საინფორმაციო ცენტრის ბიუროები ფუნქციონირებს ბათუმში, გორში, ზუგდიდში, ქუთაისში, თელავში, ახალქალაქში, თიანეთში. 2018 წელს ვფიქრობთ ქსელის გაფართოებას. გვსურს, ჩვენი წარმომადგენელი გურიაშიც გვყავდეს, რეგიონული წარმომადგენლობები არის ჩვენი საკოორდინაციო ორგანო, დაგეგმილი გვაქვს საინფორმაციო კამპანიები, ახალი პროექტები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, თუ ექსპერტებთან შეხვედრები. ძალისხმევას არ ვიშურებთ, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებლებს ჰქონდეთ ინფორმაცია, თუ როგორ თანამშრომლობს საქართველო ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან. საინფორმაციო კამპანიაში ჩაერთო გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებლები. ჩვენი აუდიტორიაა პედაგოგები, სტუდენტები, ადგილობრივი მეწარმეები, სათემო ლიდერები, სასულიერო პირები, ჟურნალისტები, ფერმერები. მიზნობრივ აუდიტორიას ვყოფთ ჯგუფებად, კამპანიის დროს მთავარი კომპონენტი არის მითების გაქარწყლება, ტრენინგზე ერთ სესიას მითებს ვუთმობთ, ვესაუბრებით, თუ როგორ მუშაობს რუსული დეზინფორმაცია, ნატოსა და ევროკავშირის წინააღმდეგ მითები სპონტანურად არ ვრცელდება, ეს არის ქვეყნის წინააღმდეგ მტრულად განწყობილი სახელმწიფოს გააზრებული ქმედება. გამოვეცით საინფორმაციო ბროშურა „ცამეტი მითი ნატოს შესახებ“, პირველი სასწავლო სახელმძღვანელო ქართულ ენაზე „გზამკვლევი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ და სხვა.

– რომელ მითებს გამოჰყოფთ?

– ანტიდასავლური პროპაგანდის ნიადაგზე საზოგადოებაში გავრცელებული მითებია – საქართველოს, ნატოში გაწევრიანების სანაცვლოდ, მოუწევს უარის თქმა ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებაზე, სამშვიდობო მისიებში ქართველი ჯარისკაცები სხვის ომში იბრძვიან, ნატო არის აგრესიული და დესტაბილიზაციის მომტანი ორგანიზაცია, არც დასავლეთი, არც ჩრდილოეთი, საქართველოს საუკეთესო არჩევანი ნეიტრალიტეტია, ალიანსს არასდროს მოუგვარებია კონფლიქტი. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, ნატოში გაწევრიანებას ნატოს არანევრი ქვეყანა რუსეთი ხელს ვერ შეუშლის, ეს არის მათი დამოუკიდებელი არჩევანი. რეგიონებში მეტი სამუშაო გვაქვს, განსაკუთრებით უმცირესობით დასახლებულ ადგილებში, სადაც არ იციან ქართული ენა. გვეხმარებიან დასავლელი პარტნიორები, ვიზიარებთ მათ პრაქტიკულ გამოცდილებას, თუ როგორ ვაწარმოოთ ეფექტური სტრატეგიული კომუნიკაცია, შევებრძოლოთ ანტიდასავლურ პროპაგანდას, ყველა ვთანხმდებით, მთავარი იარაღი არის ცოდნა და სწორი ინფორმაცია!..

– 2017 წელი საკმაოდ დატვირთული იყო...

– დატვირთული და საინტერესო წელი გვქონდა. 400-მდე შეხვედრა, 28 000-მდე ადამიანს მივაწოდეთ ინფორმაცია ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, გავაფართოეთ რეგიონული წარმომადგენლობების ქსელი, 120 დედაქალაქში რეგიონში, რეგიონში 280-მდე სხვადასხვა ღონისძიება გაიმართა, მათ შორის ნატოს დღეები, ევროპის დღეები, ევროკავშირი-საქართველოს საინფორმაციო კამპანია, ნატო-საქართველოს სახალხო დიპლომატიის ფორუმი, განვახორციელეთ პროექტი – მოვხატოთ ათი ქალაქი ნატოს თემაზე, სამასამდე ღონისძიება სტუდენტებისა და მოსწავლეებისთვის, შევხვდით 18 000-მდე ახალგაზრდას, ჩვენს პროექტში ჩაერთნენ გამყოფი ხაზის მიმდებარედ, ეთნიკური უმცირესობით დასახლებული სოფლებიდან და სხვა რეგიონებიდან, გადავამზადეთ სამასამდე მასწავლებელი, საჯარო მოხელეები, ჟურნალისტები, სასულიერო პირები. 2018 წელს ისევ აქტიურად გავაგრძელებთ საზოგადოების ინფორმირებას ნატოსა და ევროკავშირის შესახებ.

– ნინო, წარმატებებს გისურვებთ.

– გმადლობთ.

ლელა სურმავა

შეხვედრა ოზურგეთის ერთ-ერთ სკოლაში

ჩოხატაურელობა უკავშირდება ბავშვობას, ყრმობას და სიამაყეს...

2017 წლის არჩევნებში ჩოხატაურელებმა ირაკლი კუჭავას გამოუცხადეს ნდობა, ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს კანდიდატმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. მისი მიზანია, დაწყებული რეფორმები და ინფრასტრუქტურული პროექტები ბოლომდე მიიყვანოს. მერის საქმიანობიდან ჩანს, რომ გუნდურობის პრინციპით მოქმედებს. ირაკლი კუჭავა თავის თანამოაზრედ თვლის ყველა იმ ადამიანს, ვისაც პატარა დაბისთვის უძგერს გული...

– ბატონო ირაკლი, ტრადიციული ოჯახიდან ხართ, თქვენ წინაპრებზე, მშობლებზე გვესაუბრეთ, რას ნიშნავს თქვენთვის ჩოხატაურელობა?

– ჩემი წინაპრები, დაახლოებით, 250 წლის წინ დასახლდნენ დღევანდელი ჩოხატაურის ტერიტორიაზე. იმ დროს ამ ადგილს ბირკნალა ერქვა. ბაბუა და ბებია პედაგოგები იყვნენ, დედაც პედაგოგია, ამჟამად პენსიონერი. მამა ათწლეულების განმავლობაში მუშაობდა საჯარო სამსახურში. ჩემთვის ჩოხატაურელობა უკავშირდება ბავშვობას, ყრმობას, სიამაყეს... ერთი სიტყვით მთავარ ემოციას.

– 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ხალხმა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერად აგირჩია, მმართველ გუნდს წინასაარჩევნოდ ასეთი გზავნილი ჰქონდა, – ძლიერი თვითმმართველობა ძლიერი საქართველოსთვის – რა დატვირთვა აქვს თქვენთვის ამ სიტყვებს?

– ჯერ კიდევ 2014 წელს ამირჩიეს, როგორც გამგებელი, 2017 წლიდან პირდაპირი წესით არჩეული მერი ვარ. ეს დიდი პასუხისმგებლობაა და კარგად მაქვს გაცნობიერებული. აქვე აღვნიშნავ, მომავალში კენჭისყრას აღარ ვაპირებ, ჩემი ამოცანაა დაწყებული რეფორმები, დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები ბოლომდე მივიყვანო და მომავალი მერის წარმატებას შევუწყო ხელი. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გადაწყვეტილება – მუნიციპალიტეტის მერების პირდაპირი წესით, თან 50%-იანი ბარიერით არჩევა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა. არჩეულ მერს, კანონით დადგენილ ფარგლებში, თვითმმართველობის უფრო ეფექტურად განხორციელების საშუალება აქვს. ძლიერი თვითმმართველობა ხელს უწყობს ქვეყნის მართვის ამ სეგმენტის დეცენტრალიზაციას, ინიციატივების გამოვლენას, ქვეყანას აძლიერებს.

– რა თვისებებით უნდა გამოირჩეოდეს საჯარო მოხელე? არჩეული თანამდებობა მეტ პასუხისმგელობას მოითხოვს?

– საჯარო მოხელეობა, მით უფრო მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, დიდი პასუხისმგებლობაა. თუ ეს საქმე არ მოგწონს, თუ არ გაქვს ამბიცია, შენი პოზიციიდან ხელი შეუწყო უკეთესობისაკენ სვლას და ადამიანებს თავი დაამახსოვრო, არ ღირს ამ სფეროში მუშაობა. უნდა შეგეძლოს გადაწყვეტილებების მიღება, მათ შორის კრიზისულ სიტუაციაში, ითვალისწინებდე სხვის მოსაზრებას, თუნდაც კრიტიკულს, თან თმენის ვალდებულებაც არ უნდა დაივიწყო.

– როგორია მუნიციპალიტეტის მერის ერთი სამუშაო დღე, დატვირთული გრაფიკი?

– საკმაოდ დატვირთული გრაფიკი მაქვს. მერიას ყოველდღიურად ბევრი მოქალაქე მიმართავს, როგორც წესი, ყველას მერთან უნდა შეხვედრა. ვცდილობთ, ადამიანები უპასუხოდ არ დავტოვოთ. ზოგჯერ პასუხი არ აკმაყოფილებთ, რადგან მათი თხოვნა ან ჩვენს ფინანსურ შესაძლებლობებს, ან კიდევ თვითმმართველობის კომპეტენციას აღემატება. ხშირად დავდივართ სოფლებში, ამას ემატება მიმდინარე საკითხები... ერთი სიტყვით ბევრი საქმეა.

– გუნდური პრინციპით მოქმედება გიადვილებთ მუშაობას, ვინ არიან თქვენი თანამოაზრეები?

– პოლიტიკაში, ისე როგორც ნებისმიერ სფეროში გუნდრობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ლიდერი უგუნდოდ ვერაფერს შეძლებს. ჩემი თანამოაზრეა ყველა, ვისაც ჩოხატაურისთვის უძგერს გული, ჩინოსანი იქნება თუ უჩინო. საბედნიეროდ, ასეთი ადამიანი ბევრია.

– ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს მწირი ბიუჯეტი აქვს, როგორ ანაწილებთ, რომელ მიმართულებებს გამოჰყოფთ?

– გეთანხმებით, ჯერ ისევ დაბალშემოსავლიანი ბიუჯეტი გვაქვს, მუნიციპალიტეტი ფინანსურად არათვით-

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი ირაკლი კუჭავა

კმარია, თუმცა, ბოლო სამი წლის განმავლობაში ჩვენი ბიუჯეტი გაორმაგდა, შესაბამისად, გაცილებით მეტ თანხებს ვხარჯავთ ჩვენი თანამოქალაქეების სოციალური პაკეტის დაფინანსებაზე, ისე როგორც ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. ბოლო წლებია, ჩოხატაურმა უკეთესობისკენ იცვალა სახე, ჩვენი თანამოქალაქეებიც საუბრობენ. რა თქმა უნდა, პრობლემური საკითხები ისევ ბევრია. სოფლების ცენტრებამდე გზები შედარებით მოწესრიგებულია, შიდასასოფლო და საუბნო მონაკვეთები უნდა დაიგოს. ბევრ სოფელს წყლის სტაბილურად მიწოდების პრობლემა აქვს. ამ მიმართულებით, წელს მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას ვგეგმავთ.

– განხორციელდა ა (ა) იპ რეორგანიზაცია, თოთხმეტის ნაცვლად ცხრა ფუნქციონირებს, რატომ დასჭირდა მუნიციპალიტეტის მერიას ამ გადაწყვეტილების მიღება?

– ა(ა)იპ-ების რეორგანიზაცია გარდაუვალი აუცილებლობით გამოწვეული პროცესი იყო. თვითმმართველობა შემოსავლების ზრდის კვალობაზე ვალდებულია, მოახდინოს ხარჯების ოპტიმიზაციაც. მსგავსი პროფილის ა(ა)იპ-ების გაერთიანება მართვის თავლსაზრისითაც უფრო ოპტიმალურია.

– გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში გაიმართა შეხვედრა, განიხილეს საკურორტო ზონებში არსებული მდგომარეობა, პრობლემური საკითხები, იმსჯელეთ მათი გადაჭრის გზებზე, რა წინადადებები გაგაცნოთ მცირე ბიზნესის წარმომადგენელთა საინიციატივო ჯგუფმა?

– გურიის გუბერნატორის – მერაბ ჭანუყვაძის ინიციატივით ასეთი შეხვედრა მართლაც გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ რეგიონალური უწყებებისა და თვითმმართველობების ხელმძღანელები, მცირე ბიზნესის წარმომადგენლები. განვიხილეთ საკურორტო ზონებში არსებული მდგომარეობა. მცირე ბიზნესი დაინტერესებულია, ინფრასტრუქტურის მოწესრიგებით, რაც შეიძლება მეტ სტუმარს უმასპინძლოს და შემოსავლები გაზარდოს. ჩვენც იგივე მიზანი გვაქვს, ამ მიმართულებით წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯების გაგადგმას ვგეგმავთ.

– ცენტრალური ხელისუფლება ზრუნავს, ქვეყანა სივრცითი მიმართულებით სწორად განვითარდეს. კურორტ ბახმაროს საბაზისო ინფრასტრუქტურა სახელმწიფომ უნდა მოაწესრიგოს, ჩოხატაურის მერია და საკრებულო პროექტის ერთ-ერთი პარტნიორია. რა ეტაპზეა მიმდინარე პროცესი?

– ქვეყნის სივრცითი მოწყობის სწორი და გეგმაზომიერი განვითარება საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის მიერ წარდგენილი ოთხპუნქტიანი გეგმის მნიშვნელოვანი კომპონენტია. ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ საქართველოს მთავრობის განკარგულება – **„ბახმაროს საკურორტო ზონის განვითარების ზოგიერთ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე“**. განკარგულებას კონკრეტული შედეგი მოჰყვა, დღეს გვაქვს კურორტის მიწათასარგებლობისა და განაშენიანების გენერალური გეგმა, რომელიც ინტერნეტშიც არის განთავსებული და ყველასათვის ხელმისაწვდომია.

– ერისთავის ციხე და დენდროლოგიური პარკი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ისტორიული ადგილი, ტურისტებისთვის მიმზიდველი უნდა იყოს, თუმცა სტატუსი არა აქვს მინიჭებული, ეზოში არსებული გორაბერეჟოულის ტექნიკუმის შენობა ამორტიზებულია, მერია და საკრებულო განიხილავთ მის აღდგენას?

– აღნიშნული ისტორიული და ბოტანიკური გარემო ჩოხატაურის სიამაყეა. გასულ წელს მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა დაათვალიერეს, ჩვენი მიზანია, ინვესტიციების მოზიდვა. ვთანამშრომლობთ მუნიციპალური განვითარების ფონდთან, ამ საკითხში აქტიურად არის ჩართული ჩვენი მაჟორიტარი დეპუტატი, პარლამენტის წევრი ნინო წილოსანი. მზადდება პარკის რეაბილიტაციის პროექტი, რაც შეეხება, ყოფილი ტექნიკუმის შენობას, ექსპერტების დასკვნით აღდგენას არ ექვემდებარება, თუმცა პროფესიული სასწავლებლის განთავსების მიზნით, მიმდებარე ტერიტორიაზე იგეგმება ახალი შენობის აშენება.

– ადგილობრივებს დაჰპირდით, 2017 წლის ოქტომბრის ბოლოს სტიქიის შედეგად დაზიანებულ ყველა ინფრასტრუქტურულ ობიექტს აღადგენთ, ასევე რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დააპროექტებთ და შეასრულებთ დამატებით სამი მილიონი ლარის სამუშაოებს. რომელ ინფრასტრუქტურულ პროექტს გამოჰყოფთ?

– დიახ, დავპირდით და შევასრულებთ... დაწყებულია საპროექტო სამუშაოები სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების აღსადგენად. 2,5 მილიონი ლარი მთავრობის განკარგულებით უკვე გამოიყო. პირველ რიგში აღვადგენთ

გუბაზეულის ხეობაში დანგრეულ ხიდებს და მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიულ ერთეულებში დაზიანებულ ინფრასტრუქტურას. ასევე რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდება ათობით პროექტი, გაგრძელდება დაბა ჩოხატაურის კეთილმოწყობა, დაიწყება ქვემოერკეთი-იანეულის მიმართულებით ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება, ასევე ბურნათი-წიფნარის მიმართულებით. 2018 წელს ვგეგმავთ საპილოტე პროექტს, რომელიც ჭაბურღილების მეშვეობით იმ სოფლების წყალმომარაგების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს, სადაც ჯერ ისევ პრობლემურია.

– როგორი ინტენსივობით მიმდინარეობს სოფლების გაზიფიცირების სამუშაოები?

– შედეგზე ციფრები მეტყველებს, ბოლო 4 წლის განმავლობაში ჩოხატაურში 3500-მდე აბონენტის გაზიფიცირება განხორციელდა. დაგვრჩა რამდენიმე მიმართულება, (ზომლეთი-ამაღლება; ქვენობნის თემი; საჭამიასერისა და კოხნარის თემი; სურებისა და ჩხაკაურა-ზოტის) პრიორიტეტები განსაზღვრული გვაქვს, იმედია, წელსაც გაზიფიცირების სამუშაოები ინტენსიურად გაგრძელდება.

– მომავალი წლის ერთ-ერთი გამოწვევა სოციალური სოლიდარობა და სიქველე უნდა იყოს. მუნიციპალიტეტის მწირი ბიუჯეტი არსებულ პრობლემებს ვერ გაუმკლავდება, სოციალურად შეჭირვებულების თანადგომა შეუძლებელია. კერძო ბიზნესის წარმომადგენლები გამოთქვამენ სურვილს, თქვენი მოკავშირეები იყვნენ?

– მიუხედავად იმისა, რომ სოციალურად შეჭირვებული ადამიანებისათვის დახმარების პაკეტი მუნიციპალიტეტმა თითქმის გააორმაგა, ყველა გაჭირვებულის თანადგომა მხოლოდ ბიუჯეტით შეუძლებელია, სოციალური სოლიდარობაც უნდა დაემატოს. ყველასთან ვთანამშრომლობთ, – მასმედიასთან, ბიზნესთან. რაც უფრო გაძლიერდება ადგილობრივი ბიზნესი, მით მეტს დაეხმარებიან.

– სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს წარმომადგენლებმა გამართეს ტყეთსარგებლობისა და ტყეთმოწყობის საპილოტე გეგმის წარდგინება, ტყის მართვაში ადგილობრივები უნდა ჩაერთონ, მიიღონ სრულყოფილი ინფორმაცია. რა მიაჩნიათ მთავარ პრობლემად?

– ტყეთსარგებლობისა და ტყეთმოწყობის გეგმა უკვე არსებობს, რომელიც დონორების მონაწილეობით შეიქმნა. 1988 წლის შემდეგ ასეთი გეგმა დღემდე არ მომზადებულა. სახარბიელო სურათი არ გვაქვს. წლიური შემატება შემცირებულია 20 000 მ3-ით. ხნოვანებითი განაწილებაც არათანაბარია, სიხშირე 0,5-ზე დაბალია, შემცირებულია წიფლის, სოჭის, ნაძვის გავრცელების ფართობები. ისეთი ჯიშები, როგორიცაა ბალამწარა, თუთა, პანტა, საერთოდ გამქრალია ჩვენი ტყეებიდან. ამ ფონზე გამოირჩევა ბახმაროს რეკრეაციული ზონა, სადაც ტყის თვითგანახლება მიმდინარეობს. სპეციალისტების აზრით, ჩვენს ტყეებში დიდი ბიომასაა დაგროვილი, პერსპექტიულია ისეთი საწარმოების შექმნა, რომლებიც სათბობად ვარგისი ბრიკეტებისა და პალეტების წარმოებაზე იქნება ორიენტირებული.

– ხშირად ხვდებით და ესაუბრებით ახალგაზრდებს. მიგრაციის მასშტაბი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტშიც გაიზარდა, სოფლები დაცარიელებულია, რაგორ დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში?

– ახალგაზრდებთან ურთიერთობა მეც და ჩემს კოლეგებსაც ვფიქრობ, კარგად გამოგვდის. ხშირად ვხვდებით, ვსაუბრობთ, არა მხოლოდ ღონისძიებებზე – ქუჩაშიც. ჩვენს შორის ბარიერი არ არსებობს, რამდენიმე კარგი პროექტის თანადამფინანსებლები ვართ, წარმატებული ახალგაზრდის საზღვარგარეთ შემოქმედებითი მივლინება დავაფინანსეთ. გეთანხმებით, მიგრაციის დონე, განსაკუთრებით ახალგაზრდებში მაღალია.

– ყველა ადამიანი მიცემული სიტყვის და დაპირების ერთგული უნდა იყოს, ბატონო ირაკლი, საკითხის გადაწყვეტის დროს, გურულისთვის ჩვეული სისხარტით რეაგირებთ. მერობის ვადის ამოწურვის შემდეგ, ასევე სწრაფად უპასუხებთ, – ჩოხატაურელებისთვის მიცემული სიტყვა და დაპირება შევასრულე?..

– დაპირებებს და სიტყვას მაშინ ვიძლევი, როცა საკითხის მოგვარება მაქვს გააზრებული. ამიტომ ბევრი რამ, რაც მითქვამს შესრულებულა. მთავარია, მერობის ვადის ამოწურვის შემდეგ ჩოხატაურელები ქუჩაში პატივისცემით შემხვდნენ და მომესალმონ. სხვა მიზანი და სხვა განზრახვა არ გამაჩნია...

– წარმატებებს გისურვებთ.

– ლელა, გმადლობთ.

ლელა სურმავა



გააცოცხლე გურია – რეგიონის მდგრადი განვითარების პირველი კვლევა

2017 წლის სექტემბერში, თბილისში ტურიზმის სამეცნიერო და პრაქტიკოსი ექსპერტების ასოციაცია AIEST-ის ორდღიანი კონფერენცია გაიმართა. ღონისძიებაზე ტურიზმის მდგრადი განვითარების ბიზნესმოდელები განიხილეს – ბუნება, კულტურა, დასვენება, ჯანმრთელობა, რელიგია, ზღვის, მთის, ღვინის პროდუქტი – ტურიზმი, როგორც ქვეყნის ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა, ბევრ ასპექტს მოიცავს და დიდი შემოსავალი მოაქვს ქვეყნისთვის. AIEST-ის მსოფლიო ორგანიზაციის პრეზიდენტის ჰარალდ ფეჰლანერის თაოსნობით ევროპის ქვეყნებში 250-მდე კვლევა ჩატარდა, სტრატეგიული განვითარების პროექტები წარმატებით განხორციელდა. ბატონი ჰარალდი გურიის ტურისტულ განვითარებას მასშტაბურად განიხილავს, – აკადემიური წრის, საჯარო და კერძო სფეროს კოორდინაცია, მოტივირებული ადამიანების გუნდი, სამოქალაქო საზოგადოება, ბუნების დაცვა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება – საქართველო უნდა იყოს მდგრადი განვითარების ცხელი წერტილი...

ჰარალდ ფეჰლანერი: საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, გურია ეკონომიკურად, ასევე ტურისტული მიმართულებით ნაკლებად განვითარებული და ცნობილი ადგილია. ამ გადმოსახედიდან, შესაძლოა მდგრადი ტურისტული პროდუქტის საინტერესო მაგალითად იქცეს... გადავწყვიტეთ, გურიის განვითარების პროექტის მომზადება, ჩაერთვებიან აკადემიური წრის წარმომადგენლები, გერმანელი და ქართველი სტუდენტები და ყველა დაინტერესებული პირი. გურია შავ ზღვასთან მდებარეობს, უახლოეს მომავალში სტრატეგიული დატვირთვა მიენიჭება. სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები, მაგალითად, ***ახალი აბრეშუმის გზის პროექტი*** არაპირდაპირ ზეგავლენას მოახდენს რეგიონის განვითარებაზე.

გურიაში ახალ წელს კალანდას ეძახდნენ...

– ვიკრიბებით წინასაახალწლოდ და გავდივართ ელანძე!.. *გააცოცხლე გურია* agile guria საინიციატივო ჯგუფმა კალანდა 2018 აღნიშვნა, გალოცვის რიტუალი, გადაძახილი, თოფის სროლა ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმში დაიწყო. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი ირაკლი კუჭავა სტუმრებს საკალანდო სუფრით და თოფურიძეების ღვინით გაუმასპინძლდა. ხალხურმა ანსამბლებმა – *გურია და ამაღლება* მწერლის კარმიდამოში და თოფურიძეების მარანში შეასრულეს ქართული ეკლესიის საგალობლები და გააცოცხლეს გურული ჰანგები...

ჩიჩილაკი სიცოცხლის ხის ნაირსახეობაა!.. ჯგუფის წევრები თხილის ჯოხისგან დამზადებული ატრიბუტით ბახმაროს გზას დაადგნენ... ქვეყნის ისტორიაში პირველად, კალანდა 2018 ზღვის დონიდან 2050 მეტრ სიამაღლეზე აღნიშნეს, – **თავი ნამდვილ ზღაპარში მგონია, გურულების შვეიცარიაში ვართ**, – ამბობს სოსო ერქომაიშვილი. კნუტ გერბერს, გაგა გოგიჩაიშვილს, ზვიად ელიზიანს, მათ მეგობრებს ზვიად მამალაძეს, კობა დუნდუა, ბაკურ ფართენაძეს, ლევან სიხარულიძეს, ნოდარ გიორგაძეს, მიუვალ გზაზე **ინგო შლუციუსი** დაეხმარა. გერმანელი ინვესტორი მეორე წელია ზამთრის კურორტზე იმყოფება. ექსტრემის მოყვარული სპორტსმენები, მოთხილამურეები მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან ესტუმრნენ... ზვიად მამალაძის კოტეჯში ღუმელი დაანთეს, სუფრას მიუსხდნენ, გალოცვის რიტუალის შემდეგ ზვიად მამალაძემ თოფი გაისროლა, **– ბახმაროდან გილოცავთ მთელ საქართველოს კალანდას, უფალმა დაგლოცოთ და გაგახაროთ!**

მეორე დღეს უცხოელ სტუმრებთან ერთად ის ადგილები მოინახულეს, სადაც გაუკვალავ თოვლში 2700 მ. სიმაღლიდან ექსტრემალი სპორტმენები ეშვებიან. ემოციურ განწყობას საქმიანი ელფერიც ახლდა, გურული მეწარმეების პროდუქციის – *სკიჯის სახლის ჩირი, კომპანია გურიელის საშობაო ჩაი, პრინცი გურიელი, რაუხის წვენები, ანასეული ოტკა, ღვინო ასკანელი ძმები, ჩხავერის ჭაჭა* – ***ქართული ნაწარმის რეკლამირება, რეგიონს აგროტურიზმის მიმართულებით გააცოცხლებს...***

ტურიზმი – ქვეყნის ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა

კნუტ გერბერი საქართველოში გერმანიის, კერძოდ ბავარიის რეგიონის სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენელია. მათი მიზანია, რეგიონებში შეიქმნას ცენტრი, ინვესტორებს და ყველა დაინტერესებულ პირს, მიაწოდონ სრულყოფილი ინფორმაცია. ცენტრის შექმნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტშიც არის დაგეგმილი. გადაწყვიტეს, რეგიონის მდგრადი განვითარების სტრატეგიის შემუშავება და ეკონომ-გეოგრაფიული კვლევის მომზადება. ბატონი კნუტის ძალისხმევით, გურიის რეგიონს სრულფასოვანი კვლევის შესაძლებლობა მიეცა.

გაგა გოგიჩაიშვილი, „ბრენდორ ქოლსალთინგის“ ბიზნეს კონსულტანტი და გააცოცხლე გურიას საინიციატივო ჯგუფის წევრი – კნუტ გერბერთან პარტნიორული ურთიერთობა გერმანიაში დაიწყო, ჩვენ გურიის სიყვარულიც გვაკავშირებს... მე და სოსო 2001 წლიდან ვმეგობრობთ, თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში ვგალობდით, ბოლო დროს ერთმანეთს არ შევხვედრივართ. კნუტ გერბერის ინიციატივით, რეგიონალური პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსის მოადგილემ კახა ტოტოჩავამ და მე მოვამზადეთ წერილი, სოსო ერქომაიშვილის ძალისხმევით, გუბერნიაში დროულად განიხილეს და დაამტკიცეს. სწორედ იმ დროს შევიტყვე, სოსოს გუბერნატორის მოადგილის თანამდებობა ეკავა. გურიის გუბერნატორის ოფიციალური მიწვევით და საკონსულტაციო კომპანია ***ბრენდორ ქონსალთინგის*** ორგანიზებით, ინგოლშტადტის (გერმანია) უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის მაგისტრა-

სოსო ერქომაიშვილი, ზვიადი მამალაძე, კობა დუნდუა, აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტები

ჰარალდ ფეჰლანერი, მერაბ ჭანუყვაძე, უცხოელი და ქართველი სტუდენტები

სოსო ერქომაიშვილი, გაგა გოგიჩაიშვილი, ზვიად ელიზიანი და კარლოს გერბერი

ტურის სტუდენტებმა, სადიპლომო ნაშრომის ფარგლებში, ჩაატარეს ტურისტული ადგილების პირველადი კვლევა. საველე სამუშაოები დაიწყო რეგიონზე ინფორმაციის შეგროვებით და მასალების გაცვლით. კვლევა ათი თვის მანძილზე გაგრძელდა. ნიშანდობლივია, არცერთ გერმანულ ტურისტულ გზამკვლევში, თუ რუკაზე გურია, როგორც რეგიონი არ იყო მოხსენიებული, ოზურგეთი წვრილი შრიფტით ეწერა. კვლევის ყველა ეტაპი უნივერსიტეტმა თავისი შესაძლებლობებით და ევროკავშირის დახმარებით დააფინანსა. ერაზმუსის პროექტის ფარგლებში, პარტნიორობა გაუწია სულხან-საბა ორბელიანის სახ. უნივერსიტეტმა. გერმანელმა და ქართველმა სტუდენტებმა ოთხივე მუნიციპალიტეტში, სპეციალური კითხვარების საფუძველზე, გამოკითხეს ადგილობრივები, ხელისუფლების წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები, ბიზნესმენები, ტურისტები და ასე შემდეგ. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ვესტუმრეთ ფოთს, ანაკლიას, ბათუმს... გურია შავ ზღვასთან მდებარეობს, მეზობელი რეგიონების ტურისტული პოტენციალის შესწავლა, დადებით ზეგავლენას მოახდენს რეგიონის განვითარებაზე. 2018 წლის იანვარში ინგოლშტადტის უნივერსიტეტმა მოგვაწოდა ანგარიში, რომელიც რეგიონის მდგრადი განვითარების სწორი დაგეგმვის საშუალებას გვაძლევს. მდგრადი განვითარებაზე საუბრის დროს, არ ვგულისხმობთ ერთ სეგმენტს და მიმართულებას, კომპლექსურად განვიხილავთ, თუ რა საგებელს მიიღებს რეგიონი და ადგილობრივები... დღეს, გურიას ეკონომიკური ზრდის დაბალი მაჩვენებელი აქვს, ჩვენი მიზანია, ნელ-ნელა გაიზარდოს!..

სოსო ერქომაიშვილი: საინიციატივო ჯგუფის წევრები ვაფუძნებთ გურიის რეგიონის მდგრადი განვითარების ფონდს, პროცესში ჩაერთვებიან ექსპერტები, კონსულტანტები, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, სამოქალაქო საზოგადოება, ბიზნესმენები, სასულიერო პირები. კვლევის საფუძველზე მომზადდება სტრატეგია, რეგიონის ეკონომიკური განვითარების მთავარი მიმართულება არის ტურიზმი, გეგმის მიხედვით, ყველა დაინტერესებულ პირს გავაცნობთ კონკრეტულ შეთავაზებებს. ეკონომიკური ფაქტორი ქვეყნის მომავალს განსაზღვრავს, ტურიზმიდან შემოსულ თანხებს ბიუჯეტის დაგეგმვის და შესრულების დროს, მთავარი ადგილი უკავია. შემოსავალი უნდა გაიზარდოს, რაც რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას შეუწყობს ხელს.

გაგა გოგიჩაიშვილი: შემდეგი ნაბიჯი არის თითოეული სოფლის დემოგრაფიული მდგომარეობის შესწავლა, ჩაერთვება ადგილობრივი ხელისუფლება, მათი ხელშეწყობით უნდა ვიცოდეთ, სოფლებს განვითარების რა პოტენციალი აქვთ. ეს იქნება სოციალური საწარმოს შექმნის იდეა, მცირე მეწარმეების იდენტიფიცირება, სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება, იქნებ სოფელში განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდები ცხოვრობენ, უნდა გამოვავლინოთ. ეტაპობრივად ყველა სოფელში მივალთ, გავესაუბრებით ადგილობრივებს, შევისწავლით მათ საჭიროებებს, მოვიპოვებთ ინფორმაციას, მოვისმენთ მათ აზრს, იმ გარემოში არიან ადაპტირებული, კარგად იციან, თუ რა სარგებელი მიიღონ. მთავარია, გურიის სოფლები გამოცოცხლდეს, მურაბას, ჩირს. თაფლს, ოტკას თუ სხვა პროდუქტს გურული გლეხები ოჯახისთვის ამზადებენ, უფრო მეტის წარმოებაც შეუძლიათ. ცენტრალურ ხელისუფლებას გავაცნობთ ჩვენს ხედვებს, შევთავაზებთ, სად უნდა განხორციელდეს ინფრასტრუქტურული პროექტები, დარწმუნებული ვარ, შემხვედრ ნაბიჯს გადადგდამენ. გერმანელმა ინვესტორმა ინგო შლუციუსმა ყველას დაგვანახა, რომ ბახმარო სერიოზული კურორტია. ბოლო ორი წელი ის ადგილები გამოაცოცხლა, დაასაქმა ადგილობრივები, მხოლოდ ადგილობრივ პროდუქტს ყიდულობს. ბახმაროს ზამთრის პერიოდში უვლის და პატრონობს. 2018 წელს ადგილობრივები ზამთრისთვის კოტეჯებს მოამზადებენ, კურორტი მეტ დამსვენებლებს მიიღებს. ინგოს მთავარ პრობლემად ენის ბარიერი მიაჩნია, რაც კომუნიკაციის პრობლემას ქმნის. სურს, მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ ახალგაზრდებს შეასწავლოს ტექნიკის შეკეთება და ასე შემდეგ. აუცილებელია პრაქტიკული საგანმანათებლო მიმართულების გაძლიერება, შეიქმნას ტურისტული სერვისების სასწავლო დაწესებულებები, კოლეჯები, საჯარო სკოლებში უცხო ენის შესწავლას მეტი ყურადღება დაეთმოს. მაგალითად, აჭარაში და ზოგადად საქართველოში პროფესიონალი გიდების დეფიციტია. ასე რომ, ეკონომიკური გამოცოცხლება, რაც მთავარია, გონივრული დრო გურულებს ხელშესახებ სიკეთეს მოუტანს...

სოსო ერქომაიშვილი: დავამთავრე საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი GIPA, ვარ ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელე, სამაგისტრო ნაშრომის თემა ავირჩიე ბახმაროს სამთო-სათხილამურო მიმართულებით განვითარება. როგორც საკანონმდებლო, ასევე ადგილობრივ დონეზე კვლევამ აჩვენა, შესაძლებელია, ბახმარო ტურისტებს წელიწადის ოთხივე სეზონზე მოემსახუროს. კალენდა 2018 მთავარი გზავნილია, – ზამთარში არა მარტო სპორტსმენებმა, არამედ დამსვენებლებმაც ისარგებლონ და დაისვენონ. **გააცოცხლე გურიას agile guria** აქტივობები გრძელდება... 2018 წლის გაზაფხულზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მდინარე ბჟუჟზე, ვაშლნარში საქართველოს კაიაკის ფედერაცია მესამედ მართავს კაიაკის ჩემპიონატს, ფედერაციის პრეზიდენტი კაკი კობიაშვილი ჩვენი საინიციატივო ჯგუფის წევრია, მოეწყობა ეკობანაკი, ექსტრემალური სპორტის სახეობას გაეცნობიან ახალგაზრდები, ჩემპიონატის ფარგლებში დაიგეგმება ტურისტული მარშრუტი გომის მთის მიმართულებით, კურორტი ალპურ ზონაში მდებარეობს, აქვს პოტენციალი ექსტრემალური და სათავგადასავლო მიმართულებით განვითარდეს. გურიის გუბერნატორის მერაბ ჭანუყვაძის ძალისხმევით, დაიწყო ინფრასტრუქტურული პროექტები – გზა, ელექტროენერგია, წყალმომარაგება. ასე რომ, გურიის განვითარების პროექტში გომის მთა თავის სიტყვას იტყვის... საინიციატივო ჯგუფის წამოწყებას კარგი სტარტი აქვს, უნდა ვიაქტიუროთ, რაც შეიძლება მეტი გურული და გურულების მეგობრები ჩავრთოთ. მთავარია, ტურისტები მოვიზიდოთ, შევინარჩუნოთ ლანდშაფტური გარემო და მომავალ თაობას განვითარებული კუთხე დავუტოვოთ!..

facebook: agile guria

ლელა სურმავა

ზამთარში ბახმარის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან სამასზე მეტი ექსტრემის მოყვარული სპორტსმენი და მოთხილამურე ესტუმრა

ჰომეოპათია და ქართული ტრადიციული მედიცინა

ჰომეოპათიის ქართული ტრადიციული მედიცინის ლიგის პრეზიდენტი, ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი თორნიკე ალაშვილი დაიბადა 1963 წელს ქალაქ ქუთაისში, 1988 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. ნ. ყიფშიძის სახელობის თერაპიის ინსტიტუტში გაიარა ინტერნატურის კურსი. 1989 წლიდან დაინიშნა რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ხალხური მედიცინის კაბინეტის გამგედ. 1990 წელს ჰომეოპათიაში გაიარა საკვალიფიკაციო კურსი. 1991-1994 წლებში მოისმინა პროფესორ ბენიშის ლექცია-სემინარები. 1994 წლიდან მუშაობდა თბილისის 13-ე პოლიკლინიკის ჰომეოპათიური განყოფილების გამგედ. 1996 წლიდან არის ჰომეოპათიური ლიგის წევრი. 2006-2009 წლებში გახლდათ ჰოლანდიელი ექიმ-ჰომეოპათების და ფსიქოთერაპევტების სასწავლო-პრაქტიკული კურსის კოორდინატორი. ბატონი თორნიკე არის ორმოცდაათზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის და მონოგრაფიის ავტორი. 2006 წელს აირჩიეს საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. 2009 წლიდან არის ჰომეოპათიისა და ქართული ტრადიციული მედიცინის კლინიკა *ოჯახის მკურნალის* დირექტორი.

მრავალმხრივ განვითარებული, ქრისტიანული მორალის ერთგული, არაორდინალური, ეროვნული ტრადიციების დამცველი, ქველმოქმედი და კაცთმოყვარე... დიდ ინტერესს იწვევს მისი ფერწერული ნამუშევრები, რომელიც ბუნების მოწყობისა და განვითარების ზოგად კანონზომიერებათა ფორმულას – **ოქროს კვეთას** მიუძღვნა. ოქროს კვეთის პროპორციების საფუძველზე, ევრაზიის გზაჯვარედინზე მდებარე კავკასია – საქართველო მიჩნეულია, როგორც გამორჩეულად გეოგრაფიული და კულტურული მოვლენა... ასევე საინტერესოა მის მიერ შექმნილი ქიმიური ელემენტების პერიოდული ტაბულის სივრცული 3D მოდელი, რომელიც თანდათან თავის ადგილს იმკვიდრებს სამეცნიერო წრეებში. ამ თემაზე ამზადებს მონოგრაფიას ***ნულოვანი ელემენტი – უსასრულობის ძალა.***

საქართველოს ისტორიული განვითარების ნამდვილი სურათის წარმოდგენა ქართული ტრადიციული მედიცინის გარეშე შეუძლებელია. უძველესი დროიდან კოლხურ მედიცინას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ჰიპოკრატე სწავლობდა შუმერულ და ეგვიპტურ მედიცინას, დაინტერესდა კოლხური მედიცინით, აფხაზეთში მან ორი წელი გაატარა, ქურუმებმა საიდუმლო არ გაანდეს, ჰიპოკრატე განაწყენებული წავიდა, რადგან დამალული იყო, ისტორიას არ შემორჩა და დაიკარგა, მათი აღდგენა დღეს დიდ ძალისხმევას მოითხოვს!..

***ოჯახის მკურნალი* – თქვენი ჯანმრთელობის სამსახურში...**

ჰომეოპათია ბოლო დროს საკმაოდ პოპულარულია. მედიცინის ერთ-ერთი მიმართულება მკურნალობს, როგორც მწვავე, ასევე ქრონიკულ დაავადებებს ორგანიზმში არსებული სასიცოცხლო რეზერვების მობილიზების, თვითგანკურნების ხარჯზე. წამლები მკაცრად შეირჩევა, – ინდივიდუალურად, ადამიანის კონსტიტუციის, ხასიათის, დაავადების პიროვნული სურათის, თანმხლებ, თუ გადატანილ დაავადებათა გათვალისწინებით და გენეტიკური მიდრეკილების ანალიზით.

მწვავე დაავადებების დროს – ფილტვების ანთება, წითელი ქარი, ბრონქიტი, ნევრალგიები და სხვა, ჰომეოპათიური მკურნალობა სწრაფად და ეფექტურად მოქმედებს, საშუალებას აძლევს, თავიდან აიცილოს ძლიერი ანტიბიოტიკებისა და ჰორმონალური პრეპარატების გამოყენება. ქრონიკული დაავადებების დროს, შეუძლია ავადმყოფი გამოჯანმრთელებამდე მიიყვანოს, ან ხანგრძლივ რემისიას მიაღწიოს!..

ბავშვთა მანუალური თერაპია, მანუალური მასაჟი საქართველოში პირველად კლინიკა **ოჯახის მკურნალში** დაინერგა. ეფექტურია ბავშვებში ცენტრალური ნერვული სისტემის დარღვევის დროს – ბავშვთა ცერებრალური დამბლა, კისერმრუდობა, ბარძაყის თავის თანდაყოლილი ამოვარდნილობა, ბრტყელტერფიანობა, კუნთების ასიმეტრია, კიფოზი, სქოლიოზი, ხერხემლის ზრდის შეფერხება, ხერხემლის დისკის თიაქარი და სხვა. ბავშვთა მანუალური თერაპია და სამკურნალო ფიზკულტურა აჯანსაღებს ბავშვების ორგანიზმს, აკაჟებს მათ იმუნურ სისტემას, აუმჯობესებს, როგორც გონებრივ მდგომარეობას, ასევე სხეულის ფიზიკურ და ფიზიოლოგიურ მონაცემებს. მოზრდილებში მანუალური თერაპია ჰომეოპათიასთან კომპლექსურ თერაპიაში ხშირად საშუალებას აძლევთ, ხერხემლის მალთაშუა დისკოზების დროს თავიდან აიცილონ ქირურგიული ჩარევა.

ჰომეოპათია გამოცდილია კომპლექსურ მკურნალობაში, კარგად ეთავსება ქართულ ტრადიციულ მედიცინას, სამკურნალო მასაჟს, მანუალურ თერაპიას, ფიზიო და ბალნეოთერაპიას, ფიზიკურ და სუნთქვით ვარჯიშებს,

კლიმატურ, კურორტოლოგიურ და სხვა ბუნებრივი მკურნალობის მეთოდებს.

ჰომეოპათია იმ დროს მოიპოვა პოპულარობა, როდესაც კლასიკური მედიცინა სიმპტომატიური გზით წავიდა. იგი ებრძვის ცალკეულ სიმპტომებს, არ კურნავს დაავადებებს, თავისი ფსიქოლოგიური და სომატიური გამოვლინებებით. მაგალითად, მაღალი არტერიული წნევის დროს, სთავაზობს წნევის დამწევს, შაქრის მომატების დროს, შაქრის დამწევს. ჰიპერტონია, შაქრიანი დიაბეტი და ყველა ქრონიკული პათოლოგიები კლასიკურ მედიცინაში განუკურნებელ ავადობათა რიცხვს მიეკუთვნებიან. ჰომეოპათია მართავს ორგანიზმის თვითგანკურნების მექანიზმს, აძლიერებს იმუნიტეტს და ჰორმონალურ სტატუსს, პაციენტის ემოციურ და მენტალურ სფეროს, ქრონიკული დაავადებების განკურნება რეალური ხდება...

კლინიკის ექიმები სამი ათეული წელია წარმატებით მოღვაწეობენ, ჰომეოპათიური მეთოდი გამოსცადეს ოსტეოქონდროზის და ხერხემლის დისკოზის სამკურნალოდ. საუკეთესო და გამოცდილი ექიმი-ჰომეოპათების, მანუალური თერაპევტისა და მასაჟისტის დახმარებით პაციენტის მდგომარეობა ოპერაციული ჩარევის გარეშე გაუმჯობესდა. კარგი შედეგი აქვთ ბავშვთა აუტისტური სპექტრის დარღვევების, მძიმე ნევროლოგიური, ალერგიული დაავადებების, ფსორიაზის დროს. ქართული ტრადიციული მედიცინა და ჰომეოპათია გამოიყენება ვირუსული C ჰეპატიტის, ალკოჰოლური ჰეპატიტის და ციროზის სამკურნალოდ. ჰომეოპათიური პრეპარატებით მკურნალობის შემდეგ სიმსივნით დაავადებულ პაციენტებს ტკივილები მოეხსნათ, მათი სიცოცხლე გახანგრძლივდა. ***ოჯახის მკურნალმა*** ამ მიმართულებით ნოუ-ჰაუ დანერგა. კანადის ალბერტის უნივერსიტეტმა შეიმუშავა ნივთიერება – ნატრიუმ დიხლორაცეტატი, რომელიც ქიმიოთერაპიული პრეპარატების ალტერნატივაა. კლინიკის ექიმებმა შექმნეს იგივე მეთოდით მოქმედი ჰომეოპათიური პრეპარატი აბების სახით NA დეცა, იყიდება ფარმა ბუმის აფთიაქებში (ვარკეთილი, ხომლელის 3ა, ნახალოვკა, დადიანის 144, გლდანი ხიზანიშვილის 41). ის შეიცავს დაპოტენცირებულ ნატრი დიქრორაცეტატსაც, მის ანალოგ ჰომეოპათიურ საშუალებებს, ასევე იმუნიტეტის ასამაღლებელ და სიმსივნის საწინააღმდეგო სხვა ჰომეპათიურ პრეპარატებს. მისი მიღება შეიძლება სხვა წამლებთან ერთად, დამატებითი კომპლექსური მკურნალობის დროს, ასევე დამოუკიდებლად. სამი ათეული წლის გამოცდილებამ აჩვენა, – ჰომეოპათიური მკურნალობა ებრძვის ისეთ დაავადებას, როგორიც არის იდეოპათიური თრომბოციტოფენია. პრედნიზოლონის მიღება და ელენთის ამოჭრა ხშირად უშედეგოდ მთავრდება. კლინიკა **ოჯახის მკურნალის** ექიმებს ასობით განკურნებული ბავშვი და მოზრდილი ჰყავთ. აუტოიმუნური პროცესების საწინააღმდეგოდ იყენებენ დეტოქსიკაციას, პრეპარატი ყველასთვის ხელმისაწვდომია PSP- ს სააფთიაქო ქსელში, ღვიძლის ბიომოლეკულას სახით. ტრომბოციტების ასაწევად კლინიკამ შექმნა თრომბოპენე (ფარმა ბუმი). ჰომეოპათიური კომპონენტები ებრძვის სიმსივნურ უჯრედებს, აძლიერებს პაციენტის იმუნიტეტს, სასურველ შედეგს აღწევს ისეთი დაავადების დროს, როგორიც არის თრომბოციტოფენია, კლასიკურმა მედიცინამ ეფექტური მკურნალობის მეთოდი ვერ შეიმუშა, რადგან რთულად სამართავია, პრეტნიზოლონის ინექციებს უკეთებენ, გაუარესების დროს ელენთას კვეთენ, თუმცა მძიმე მდგომარეობა არ იცვლება. ასეთი პაციენტები კლინიკის ექიმებს ხშირად მიმართავენ. თხუთმეტი წლის დაკვირვების შემდეგ შეარჩიეს ეფექტური პრეპარატები აუტოიმუნური დაავადების წინააღმდეგ, რომელიც ვერგოფის სახელით არის ცნობილი, შექმნეს პრეპარატი თრომბოპენე. თრომბოციტოპენიის მკურნალობის დროს მიმდინარეობს სისხლის და ღვიძლის გაწმენდა.

ჰომეოპათიური საშუალება თ. ალაშვილის რეცეპტით

გულის ბიომოლეკულა

50 მლ

სერია: 32011015
ვარგისია: 10. 2018

DPh DAVATI PHARMACEUTICALS

ინახება გრილ, სინათლისგან დაცულ ადგილას
დამზადებულია საქართველოში **შ.პ.ს. „დავათი"**-ს მიერ

კლინიკა ოჯახის მკურნალმა შექმნა სხვადასხვა პრეპარატები. იყიდება PSP-სა და ფარმა ბუმის აფთიაქებში. გულის ბიომოლეკულა კურნავს ათეროსკლეროზს, იშემიურ დაავადებებს, არითმიას, წნევას. ტვინის ბიომოლეკულა აღადგენს მეხსიერებას, გამოიყენება ტვინში სისხლის მიმოქცევის დარღვევის დროს. დეფაპროსტი არის მამაკაცებში წინამდებარე ჯირკვლის პათოლოგიების სამკურნალო საშუალება. აფრო – ქალებისა და მამაკაცებისთვის აფრო ზიზიაკია, მკურნალობს სექსუალურ დისფუნქციებს. გრიპფაზა – გრიპის და მწვავე რესპირატორული დაავადებების სამკურნალო და პროფილაქტიკური საშუალება. აქვთ მოლაპარაკება, ქალაქ სოფიაში შეიქმნას საქართველო-ბულგარეთის ფარმაცევტული კომპნია, ქართული ტრადიციული მედიცინის და ჰომეოპათიური წარმოების პრეპარატებს უკვე მსოფლიო ბაზარზე გაიტანს.

ოჯახის მკურნალის სამედიცინო გუნდმა სამი ათეული წელი მყარი ავტორიტეტი მოიპოვა. ჰომეოპათიური მკურნალობით მიღწეული წარმატება პაციენტებმა არა ერთხელ ირწმუნეს... XXI საუკუნეში ქართული ტრადიციული მედიცინა და ჰომეოპათია ქურუმების დამალულ საიდუმლოს საკუთარი განჭვრეტით აღრმავებს და ავითარებს.

ლელა სურმავა

მედიცინა

თბილისი

ოზურგეთი

ჩოხატაური

მახინჯაური

ლანჩხუთი

ჯასპი

თბილისის ჯლინიკა, ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №16
ოზურგეთის სამედიცინო ცენტრი, ქ. ოზურგეთი, ნინოშვილის ქ.№3
ჩოხატაურის სამედიცინო ცენტრი, დ. ჩოხატაური, თბილისის ქ. №10
მახინჯაურის მრავალპროფილიანი პოლიკლინიკა, ქ. ბათუმი, თამარ მეფის მესამე შესახვევი №17
ლანჩხუთის სამედიცინო ცენტრი, ქ. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. №136
ჯასპის სამედიცინო ცენტრი, ქ. ჯასპი, საჯაძის ქ. №27ბ

ეროვნული პარკი – საერთაშორისო ბრენდი

კურორტ ბახმაროში ენდემური და რელიქტური სახეობების სიუხვეა. მესხეთი-გურია-აჭარის ეკოკორიდორი ნაწილობრივ არის შესწავლილი. შესაძლებლობების რეალიზება დროულად უნდა დაიწყოს, დაცული ტერიტორიის შექმნას მოჰყვება სათანადო ინფრასტრუქტურა, გაიზრდება ტურისტების რაოდენობა. ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) კავკასიის ოფისის დირექტორის მოადგილე ნუგზარ ზაზანაშვილი ეროვნული პარკის მასშტაბურობაზე მოგვითხრობს.

ნუგზარ ზაზანაშვილი

– ეროვნული პარკი დაცული ტერიტორიის ერთ-ერთი სახეა, რომელსაც მართავს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში შემავალი დაცული ტერიტორიის სააგენტო. ეროვნული პარკი იქმნება ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის, შედარებით დიდი და ბუნებრივი მშვენიერებით გამორჩეული ეკოსისტემის დასაცავად, სასიცოცხლო და რეკრეაციული დანიშნულებისთვის. უცხოელებისთვის ეროვნული პარკი უკვე ბრენდია, XIX საუკუნიდან აშშ-ი და ევროპა ამ მიმართულებით წავიდა. საქართველოში პირველი ეროვნული პარკი 1973 წელს შეიქმნა (თბილისის ეროვნული პარკი). დღეს, ეროვნული პარკების საერთო ფართობი 27 024 083 ჰექტარია.

– ეროვნული პარკი გამოირჩევა მრავალფეროვნებით, ექვემდებარება ზონირებას...

– 1996 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „დაცული ტერიტორიის სისტემის შესახებ“, კანონი შეიქმნა საერთაშორისო კრიტერიუმების გათვალისწინებით. ეროვნული პარკის საერთაშორისო განსაზღვრებაში მითითებულია მისი მთავარი ფუნქციები – ბიომრავალფეროვნების დაცვა და ტურიზმის განვითარება. ეროვნულ პარკში შეიძლება მოეწყოს ბუნების მკაცრი დაცვის, ბუნების მართვადი დაცვის, ვიზიტორთა, აღდგენის, ისტორიულ-კულტურული ადმინისტრაციის, ტრადიციული გამოყენების ზონები.

– რამდენი ეროვნული პარკი გვაქვს?

– საქართველოში დაარსებულია თერთმეტი ეროვნული პარკი – ალგეთის, ბორჯომ-ხარაგაულის, ვაშლოვანის, თბილისის, თუშეთის, კოლხეთის, მტირალას, ყაზბეგის, ჯავახეთის, მაჭახელას და ფშავ-ხევსურეთის; ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა რაჭისა და მესხეთ-ერუშეთის (ჯავახეთს და აჭარას შორის) პარკების დაარსებაზე ვიკვლევთ. სამეგრელოში ეროვნული პარკის შესასძლებლობებს.

– ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF) დაცული ტერიტორიების შექმნის პროცესში აქტიურად მონაწილეობს. რა უპირატესობა აქვს ეროვნულ პარკს?

– ეროვნული პარკი უფრო მძლავრი და მოქნილი კატეგორიაა, არ არის მკაცრად დაცული ტერიტორია. მაგალითად, ტრადიციული გამოყენების ზონა ეწყობა ბუნების დაცვის და სამეურნეო საქმიანობისთვის განახლებადი ბუნებრივი რესურსების ტრადიციული გამოყენება. ზონაში დაიშვება თიბვა, ძოვა, საშეშე მერქნის მოპოვება. ადგილობრივები არ არიან შეზღუდული, აკრძალულია ხვნა-თესვა, სასოფლო-სამეურნეო ნაგებობების განთავსება, მსხვილი კომერციული საქმიანობა, მათ შორის სატყეო ბიზნესი. ეროვნულ პარკში ბრაკონიერობა კანონით ისჯება.

– რატომ წავიდა აშშ-ი და ევროპა ეროვნული პარკების მიმართულებით?

– XIX საუკუნეში აშშ-ში დაარსდა იელოვ სტოუნის პირველი ეროვნული პარკი. უცხოელებმა შეიმუშავეს კონცეფცია – ბუნება ადამიანებისთვის ხელმისაწვდომი გახდეს, არ ჩაკეტონ, დაცული იყოს ბუნებრივ პირობებში და ისარგებლონ სხვადასხვა სიკეთეებით – ესთეტიკური, რეკრეაციული, მოგზაურობა, დასვენება და ასე შემდეგ. პირდაპირი სარგებლობის გარდა, იზრდება ტურისტების რაოდენობა, ვიზიტორთა მომსახურებისთვის საჭიროა მომსახურების სერვისები – კვება, დასვენება, ცხენები. მთაში ისევ ადგილობრივები დასაქმდებიან. ეროვნულ პარკში სულ მცირე 20-25 სამუშაო ადგილი შეიქმნება, – დირექტორი, დაცვის და ვიზიტორთა სამსახურების უფროსები, რეინჯერები, რესურსების სპეციალისტები და სხვა. მაგალითად, გურიის მეზობელ რეგიონში აჭარაში, 2007 წელს დაარსდა მტირალას ეროვნული პარკი, ტურისტების რაოდენობა ყოველ წელს იზრდება.

–კურორტ ბახმაროში ეროვნული პარკის შესაქმნელად მასშტაბური სამუშაოები უნდა ჩატარდეს...

– ბახმარო ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია. დაცული ტერიტორია იქმნება მენეჯმენტის გეგმით, რომელსაც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი ამტკიცებს. არსებულ პარკში მენეჯმენტის პროგრამა დეტალურად არის გაწერილი. რაც შეეხება ახალ პარკს, უნდა მოეწყოს სათანადო ინფრასტრუქტურა, დაიგეგმოს ბილიკები, მოხდეს მათი მარკირება, გადასახადების მოწყობა, საკემპინგე ადგილები, სადაც კოცონს დაანთებენ, სანიტარული კვანძები, გარემო რომ არ დანაგვიანდეს, აშენდეს ახალი ადმინისტრაციული შენობა, რეინჯერთა და ვიზიტორთა თავშესაფრები, პარკის შესასვლელთან მოეწყოს კორდონები, რეინჯერებმა ბრაკონიერთა შესვლა აღკვეთონ. ვიზიტორთა ცენტრი უნდა აშენდეს ბახმაროში, ან ქვემოთ, სადაც ტურისტები მიიღებენ საჭირო ინფორმაციას და რჩევა-დარიგებას. პარკის ფუნქციონალური ზონირების დროს ადგილობრივები მიგითითებენ, სად უნდა გაავლოთ საზღვარი, სავარაუდო კონფლიქტებს თავიდან აიცილებ, თუ წინააღმდეგობა შეგხვდა, პარკი ვერ იმუშავებს.

– ეროვნული პარკის დაარსებას ფინანსური უზრუნველყოფა ესაჭიროება.

– ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF) და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვეხმარებით თანხების მოძიებაში. საკონსულტაციო მომახურების დროს, ვუწევთ ტექნიკურ დახმარებას. დაცული ტერიტორია არის მდგრადი განვითარების ინსტრუმენტი, საწარმოების და ჰესების მშენებლობა ნიშნავს ექსტენსიურ განვითარებას, დაცული ტერიტორიის დაარსება კი, აბალანსებს, იცავს ბუნებას, იზრდება ტურისტების რაოდენობა, ქვეყანას მიმზიდველს ხდის, რეგიონს დამატებით ღირებულებას ჰმატებს. მთავარია, ადგილობრივი

ხელისუფლების მონდომება და ხალხის კეთილგანწყობა. სამწუხაროდ, გურიაში არცერთი დაცული ტერიტორია არ გვაქვს.

– რა არის მიზეზი, ადგილობრივებს არ აქვთ ინფორმაცია?..

– გურიას არ ჰქონდა დაცული ტერიტორიას შექმნის ტრადიცია არ ჰქონია ბახმაროს უღელტეხილზე არსებული პონტოს მუხის ნაკრძალი XIX საუკუნის 50-იან წლებში გააუქმეს. პონტოს მუხა იქ ორი მილიონი წელი იყო და გადარჩა, თუმცა ფართობი შემცირდა, 300 ჰექტარისთვის რთულია სტატუსის შერჩევა. ბოტანიკური ტურიზმის განვითარებისთვის უნიკალური ადგილია, თუ ეროვნული პარკი დაარსდება, დიდ დაცულ ტერიტორიასთან ინტეგრირდება. კურორტის მთის შუა სარტყელში ხარობს თეთრად მოყვავილე როდოდენდრონი, უნგერნის შქერი, სუბალპურ სარტყელში იზრდება მედვედევის არყი, აქვე გვხვდება აღმოსავლური ნაძვი და კავკასიური სოჭი. გურია, აჭარა და მიმდებარე თურქეთი სამხრეთ კოლხეთის ნაწილია, ხარობს კოლხური რელიქტები. გურიის ტყეებში ყოველი მესამე ხე-მცენარე იშვიათი ჯიშია. საბედნიეროდ, ახალგაზრდებს უყვართ მოგზაურობა, მოსწონთ სათავგადასავლო ტურიზმი. მომავალი თაობა მეტ ინიციატივას და ინტერესს გამოიჩენს.

– ჩოხატაური ბახმაროს გზა, ნაბეღლავის მინერალური წყალი, საუკეთესო კლიმატური პირობების მქონე ბახმარო. ეროვნული პარკის დაარსება კურორტის პოტენციურ შესაძლებლობებს გაზრდის...

– რა თქმა უნდა, საერთაშორისო მნიშვნელობის ეროვნული პარკი იქმნება ბუნების დაცვის და ტურიზმის განვითარების მიზნით. დაგეგმარების პროცესში ჩაერთვებიან კონსულტანტები, აღირიცხება ყველა წყარო, ისტორიული ძეგლი, გეოლოგიური ღირსშესანიშნაობები, ბუნების ზოოლოგიური და ბოტანიკური მდგომარეობა, შეისწავლიან სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას, განვითარდება სამთო ტურიზმი, როდესაც უცხოელი ტურისტი შეიტყობს, ეროვნული პარკის გვერდით არის სათხილამურო ტრასები, უფრო მშვიდად გაემგზავრება. პარკის დაარების პროცესში მთელი ხეობა უნდა ჩაერთოს, ბუნებრივი სიმდიდრეები ადგილობრივებმა რაციონალურად გამოიყენონ. ყველა მიმართულებით ერთი მთლიანი ჯაჭვი შეიკვრება, ახლოს არის კლიმატური კურორტი ურეკი. ასე რომ, ბახმაროს აქვს პერსპექტივა იყოს ბრენდი და ქვეყნის სავიზიტო ბარათი.

ლელა სურმავა

ბ ა ხ მ ა რ ო



დილის ათი საათი იყო. შარაგზა და ვაკე გათავდა, აღმართს შევუდექით, მაშინვე ატყობთ, რომ საქმე გექნებათ ისეთ გზასთან, რომელსაც ადამიანის ხელი არ მიჰკარებია... მაშასადამე, მოკლებულია ყოველივე სიადვილეს მგზავრისათვის. ითვალისწინებთ, თუ რა ზომის ჯაფა უნდა დაადგეს თქვენს ფეხებს, ან კიდევ საცოდავ პირუტყვს, რომელიც იძულებულია თქვენი ტანი ზიდოს. პირველი ნაბიჯის გადადგმაზე მექისას ბუცეფალს სიმწრის ოფლი გადაასკდა თავის პატრონის სიმძიმისაგან, სიბრალულის გრძნობით აღვსილმა, ჩემი კოკია მექისას დავუთმე, მის ცხენის ზურგს მე მოვექეცი. მისი ლაჯებს ქვეშ აღარც კი გამოჩნდა საბრალო ცხოველი, მარტო ყურები უჩანდა. აკვნესდა, მაგრამ რა აკვნესდა!.. ქვის გულის პატრონსაც კი თვალებზე ცრემლებს მოჰგვრიდა სიბრალულისას. ცხენებს საქმეს, აღმართის გარდა, ისიც უჭირვებდათ, რომ ახალი ნაწვიმარი იყო და მოლიპულ გზაზე ფეხები წამდაუწუმ უცურდებოდათ. ზოგჯერ იძულებული ვიყავით, ფეხით გაგვევლო და ცხენები სალთად წაგვეყვანა; მხოლოდ მექისა, რომელსაც შესაფერისობისათვის „ცხრა-ფუთა“ დავარქვით, თავის კოკიას არ შორდებოდა.

გზა ტყე-ტყე მიდის, – ***რცხილა, წიფელი, წაბლი, ლეკუხა, ერთმანეთშია არეული, ყველას კი წიფელი სჭარბობს.*** ტყე მდიდარია, მაგრამ უგზოობის გამო ადამიანი ვერ სარგებლობს. მხოლოდ თავად მ. ნაკაშიძეს დაუწყია საკასრე მასალების ჭრა, რომელიც ჩალვადრებით ჩააქვს ძირს. სხვა მასალას აქედან ვერ ჩაიტანს კაცი, რადგან აქაურ საცალფეხო გზაზე მარტო ცხენი თუ გაივლის და ისიც გაჭირვებით, თორემ ურემი ვერას გზით ვერ მიუდგება აქაურობას. ამდენი სიმდიდრე მუქთად ლპება და ოხრდება ტყეში, ასევე ითქმის იმ ძვირფას ნაძვნარზე, რომლითაც დაფარულია აქაური მთების მაღალი ადგილები.

ალაგ-ალაგ სულ ვიწროვდება, სული ეხუთება გზას, ორ კედელს შუა მოქცეულს. თუ ცხენით შიგ შეხვედით, უკან დაბრუნება არ შეგიძლიათ. თუ წინ ცხენი შემოგხვდათ, გზას ვერ უქცევთ ერთმანეთს. განსაკუთრებით გასაჭირია ამ ალაგას გავლა, როცა ჯოგს მოერეკებიან. მწყემსებმა და საქონლის პატრონებმა ეს იციან და სათოფეზედ ყვირილს მოჰყვებიან. ამ ყვირილით წინიდან მომავალ მგზავრს აფრთხილებენ, არ დაიძრათ, სანამ ჩვენ არ გავალთო. ხშირად ამ ალაგას უბედურება დატრიალებულა, ეს გზა ამასთანავე კალაპოტიცაა მთის ნაკადისა. ღვარობის დროს მთელი კალაპოტი ივსება, მძლავრად მოდის, რაც და ვინც გზაში შემოხვდება, ფეხზე არ აყენებს და თავის მსხვერპლად ხდის ხოლმე.

კარგი და, როგორ-ღა დადიან ასეთი გზითო? – იკითხავთ, – დიდი გაჭირვებით, ნახევარი გზა ფეხით უნდა აიაროთ. ვისაც ფეხით სიარული არ შეუძლია და ცხენი არ ეცოდება, თავის დამაგრება მაინც უნდა იცოდეს უნაგირზე, იმიტომ რომ მთელი გზა ერთმანეთზე უვარგისი აღმართ-დაღმართებია. ხალხი მაინც დადის, განსაკუთრებით გაჭირვებული, ციებისაგან ილაჯ-გაწყვეტილი. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ბავშვებიც კი დაჰყავთ ამ გზით. ზოგს ზედ უნაგირზე დააკრავენ მაგრად, ზოგს ყუთებში ჩასვამენ, იქეთ-აქეთ დაჰკიდებენ ცხენსა და საპალნესავით აზიდვინებენ.

რაც უფრო ზევით ავდივართ, ნისლი განუყრელი თანამგზავრი ხდება, ხან ბამბასავით შიგ გავეხვევით, ხან ჩვენგან გაგოგდება და სადმე დაეკიდება ხეებსა. მშვენიერი გადასახედია ვაკისკენ – მოსჩანს ყვითელი ზოლი სულ მუდამ ამღვრეული რიონისა, თეთრი ლიანდაგი რკინიგზისა, ქუთაისი,

სენაკი, სამეგრელოს მთები, სამტრედია, ნაწილი იმერეთისა, მთელი გურია და ნახევარი სამეგრელო. გზაზე ბევრია წვავი და განსაკუთრებით მოცვი. სიარულისაგან ნერწყვგამშრალი მგზავრი ხარბად ეტანება მოცვსა, შეგიძლიათ იმდენი მიირთვათ, რამდენიც გნებავთ – უწყინარი ხილია.

გზა უარესად აღმართდება. ზედ ერთვის ლაფი, სიარული ჭირდება, რამდენჯერმე სასახლე ავაგეთ, უმეტეს ხანხ ფეხით მივდივართ, გარდა „ცხრა-ფუთასი“, წურბელასავით არ შორდება თავის კოკიასა, ისიც ქშინავს, სიმწრის ოფლი ასკდება, უჭირს ჩვენი მებარგულის როსინანტსაც, აქეზებენ, – **„ბედაური წინ!“ „ასთუმნიანო, გასწი!“** მაინც სიარულს უკლებს, აღონებს პატრონსა, ბოლოს შუადღის ხანს ავიტანეთ ბახმაროს შუა პუნკტს – **„თხემლნარას“**, აქ პატარა მინდორია და გვერდით წყაროცაა, საიდანაც უნდა მოდიოდეს მგზავრი – ქვევიდან ზევით, თუ ზევიდან ქვევით, ერთხელვე შემოღებული ჩვეულების თანახმად, აქ უნდა გაჩერდეს, შეისვენოს თვით და პირუტყვსაც შვება მისცეს. შესვენებით კი ისვენებენ, მაგრამ აქაურ წყალს მაინც არა სვამენ, მის მსმელს **„მუხლები მოეჭრება“** მაშინვე და ვერ ივლისო. ჩამოვხტით ყველანი, **„ცხრა-ფუთიანის“** ჩამოხტომა, კოკიას გაგორება და მოსართავების დაწყვეტა ერთი იყო. შეგვეშინდა, ეგ არის, კოკიამ ყორნები გაახარაო, – ვთქვით, თურმე ჩვეულებადა ჰქონდა მის რჯულსა, დაღლის შემდეგ უეჭველად უნდა გაგორდნენ თურმე. ცოტათი დავნაყრდით, ამასობაში ჩამოგვეწივნენ ჩალვადრები, რომელთაც საპალნეები მოჰქონდათ ფქვილისა, პურისა, ზოგს ბარგი აეკიდებინა მოაგარაკეთა.

ნახევარ საათს უკან ისევ შევუდექით გზასა. თანამგზავრნი ცხენებს არა შორდებოდნენ, თუმცა საცოდავი პირუტყვნი ბევრს ეწვალებოდნენ, ფეხები უკანკალებდათ, მთელი ტანი საპონის ქაფად ექცათ, მუცელი საბერველივით ებერებოდათ, მაგრამ მხედარი მაინც ზედ იჯდა. მაშ ცხენი რაღად მინდა, თუ მე ფეხით ვივლიო. ნამდვილი მტარვალია ადამიანი ზოგ შემთხვევაში... თითქოს ლმობიერების ნიშანწყალი დაეკარგაო.

ერთი საათიც და, ტყე უკან დავტოვეთ, ტიალზე (შიშველი ადგილი) გამოვედით. მთის სიომ დაგვბერა. იქავე, სომლიასთან, დუქანი გამოჩნდა. აქაც შევისვენეთ, ცივი, მთის წყაროს გემო ვნახეთ, შუბლი გავიგრილეთ და ისევ შევუდექით. ნისლი უფრო ხშირად გვეღობება წინ. ერთი მხარის მანძილზე არაფერსა ვხედავთ. შიგ ინთქება ხევები და შორს განმარტოვებით მდგარი ნაძვის ხეები. გზა უკეთესია, აღმართები ქრება, მიდამო ვაკდება. აქა-იქ, გზის პირას ქოხებია. შიგ დგანან **„მეჰაერენი“**, როგორც აქ ეძახიან ჰაერის გამოსაცვლელად ამოსულთა. იქვე ხვადაგი სძოვს, ყვავილთა შორის, რომელსაც ჩხრიალითა რწყავს მთიური ნაკადულები, წმინდა, კამკამი...

მრავალფეროვანი ყვავილებივის ფშვინვა საკმეველივით ადის ზეცას, სადიდებლად ბუნებისა, მისთვის საგალობელის სათქმელად, ყოველი ყვავილი, ყოველი ბალახი, ამ საოცნებო ნიადაგზე აღმოცენებული, რომელთაც გარშემო დარავჯებად მთები უდგანან, თავისკენ გიწვევენ, რომ გულში ჩაეხუტოთ, რომ სმენა დაგიტკბოთ სიყვარულის საგალობელითა. ძალიან ბოროტი უნდა იყოს ადამიანი, რომ აქ იყოს, აქაური ბუნების სიდიადეს, მის დაუსრულებელს და გასაოცებელ მშვენებას უყუროს და გული ნეტარების გრძნობით არ აღევსოს, რომ არ აღფრთოვანდეს ჩაგრული მოძმის შველის სურვილითა. ამ დროს ადამიანისათვის დაბრკოლება არ არსებობს, უძლურება რა არის იმან არ იცის, გინდათ სულ აქ იყოთ, ამ ოცნების სამეფოში, მთელი სიცოცხლე, მთელი საუკუნე ამ ბუნების წიაღში გაატაროთ. ისე გემძიმებათ აქაურობის მოშორება, როგორც ერთხელ გულში ჩაკრული საყვარელი არსების მოგლეჯა. ლურჯმოციალა ცა თავს დაგცქერით, შორიდან სალამსა და მხურვალე კოცნას გიგზავნით. მისი მომღიმარე, ალერსით სავსე თვალები იმასღა გეუბნებათ, რომ ამ ადგილას ძმობისა და სათნოების მეტი არა არის-რაო, ბოროტებას ადგილი არა აქვსო...

მშვენიერია, მშვენიერი აქაურობა, ისე მშვენიერი, ისე დიდებული, რომ სოცოცხლე რაც უნდა ძაღლუმადური იყოს ბარად, აქ გიყვარდებათ. ყოველ ნაბიჯზე ეპოტინებით ყვავილს, რომელიც აქ უფრო წმინდა, უმწიკვლო მშვენებით არის გაბრწყინვებული, ყოველ ნაბიჯზე ხელებსა ჰყოფთ ვერცხლის წყალივით მოლუკლუკე წყალს... ჰნეტარებთ სულითა და ხორცით, თვალსა ხუჭავთ, მახსოვრებას ძალას ატანთ, რომ დაგავიწყდეთ ბარი, ქალაქი თავისი უსიამოვნებითა...

ცოტაც გავიარეთ და მთის ფერდობზე გამოჩნდა ჯოგი ძროხებისა, კარვები მეჯოგეთა, მათ შორის ქოხები მოჰაერეთა და მათს გვერდით ხევები, ნაძვნარით დაფარული. ექვსი ვერსის სიშორიდან ბახმაროს სახლების სახურავებიც გამოჩნდა. სიმწარე გამოვლილის გზისა გვავიწყდება, დაღლილობა ჰქრება და მხნედ მივისწრაფვით ამ აღთქმის ქვეყნისაკენ... თვალსა გვტაცებს მის გარშემო შემორკალული მთის მწვერვალები, ლურჯმოციალა ცის ჩრდილით დაფარულები, რამდენიმე ალაგას გავედით მთიდან ქუხილით წამოსულ წყლებში, რომლებიც ბახვის წყალს ერთვიან და რომელსაც აქ ორი მხარე აქვს, გავიარეთ ბაისურა (ადგილსა ჰქვიან), შემდეგ ტყე ბუმბერაზ ნაძვებისა. აქა-იქ გაბნეულია ქოხები, ხელმოკლე მოჰაერეთა, აჰა, გავედით ბახვის წყალზე და ავატანეთ თვით ბახმაროსაც, რომელსაც მუქი ფერის ჩარჩოსავით შემოკრული აქვს ნაძვისა და სოჭის ტყე. შუაში 20 და 30 მხარის მანძილზე დაშორებით გაბნეულია მოაგარაკეთა ფიცრული სახლები, ორ-სამ თვალიანი, ფიცრულიანი, ბუხრებიანი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

თედო სახოკია
ეთნოგრაფი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე

ქართული კურორტოლოგიის პოტენციალი და თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი – მისი ფლაგმანი

ნიკოლოზ სააკაშვილი

როდესაც ვსაუბრობთ რომელიმე ქვეყანაზე, აუცილებლად ვაფასებთ ადამიანების, კულტურის, ისტორიის ზოგადი სილამაზითა და სიმდიდრეებით. არ შევუდგები სხვა ქვეყნების დახასიათებას, შევჩერდები საქართველოზე, ჩემს დედასამშობლოზე, ქვეყანაზე, რომელსაც ნებისმიერ ასპექტში, თუ ამის სურვილი და ძალიხმევა იქნება, შესაძლებელია, გახდეს მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანა, რომელსაც გააჩნია დიდი ხნის ისტორია, კულტურა. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი რელიგიით, ნიჭიერი ადამიანებით, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგება, ჩვენი სიამაყე არის ჩვენი ადგილმდებარეობა, კლიმატი, მთები, მდელოები, წყლები, ბუნებრივი სამკურნალო რესურსები, მინერალური წყლები, სამედიცინო ტალახი და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, ჩვენი საქართველო კურორტების ქვეყანაა და ამ ნიშნით ის შესაძლებელია გახდეს ამ დარგში მსოფლიო ლიდერი – ამის პოტენციალი გვაქვს.

როდესაც ვსაუბრობთ ქართულ კურორტოლოგიაზე, უნდა გვახსოვდეს მისი ფლაგმანი დედაქალაქი კურორტი – ევროპაში მეორე, მის უძველეს უბანში აბანოთუბანში – თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის სახით. მე რომ შევუდგე თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის და იმ ტერიტორიის აღწერას, მის ირგვლივ არსებული ისტორიის მოყოლას, ამას ალბათ ერთი საჟურნალო წერილი, თუ ინტერვიუ არ ეყოფა, იმდენად ბევრი რამ არის სათქმელი, უკვე ვმუშაობ წიგნზე, სადაც თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტს დეტალურად აღვწერ, მისი დაბადების დღიდან დღემდე, მისი რესურსის – თერმული წყლის დახასიათება, ჩვენებები, რომელიც უნდა გამოყენონ ადამიანის სამკურნალოდ, ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, რეაბილიტაციის მიზნით. აქვე მსურს, მოგიყვეთ, მსგავსი გეოგრაფიული მდებარეობით, მიკროკლიმატით, თერმული წყლით თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტს ბადალი არ ჰყავს და ტყუილად არ მოიხსენიება ევროპაში კურორტი დედაქალაქში – ბუდაპეშტთან ერთად, გარკვეული უპირატესობით – რაც არის მიკროკლიმატი.

როდესაც ვსაუბრობთ, ჩვენი კურორტი არის ქართული კურორტოლოგიის ფლაგმანი, მხედველობაშია ის, რომ ჩვენ ბაზაზე, გარდა სამედიცინო – სარეაბილიტაციო საქმიანობისა, ფუნქციონირებს კურორტოლოგ ექიმების და მასაჟისტების სამჭედლო, წარმოებს სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობა, სამედიცინო ტურიზმის, როგორც მიმდინარეობისათვის თეორიული თუ პრაქტიკული ხელშეწყობა.

ორიოდე სიტყვით რას ვმკურნალობთ ამ დაწესებულებებში – ყველაფერს, გარდა ურგენტული შემთხვევებისა, ონკოლოგიური, ინფექციური და ტუბერკულიოზური ნაზოლოგიებისა. ჩვენთან ინტენსიურად გამოიყენება თერმული, მინერალური წყლები აბაზანების სახით, სამედიცინო ტალახი, სამედიცინო მასაჟი, ფიზიოთერაპიული პროცედურები, ბალნეოთერაპიული პროცედურები, ხერხემლის წყალქვეშა და მშრალი დაჭიმვები – ეს კი მოითხოვს ფაქიზ, ჭეშმარიტ ექიმურ მიდგომას, აქ უნდა მოქმედებდეს პრინციპი – „არ ავნო“, რაც ხორციელდება კვალიფიციური ექიმების საშუალებით, მათ კარგად იციან, როგორ გამოიყენონ ზემოთ აღნიშნული ტიპის მკურნალობა. ხაზს ვუსვამ, – თუ არ იცი კურორტოლოგიის ფაქტორების სწორად მართვა, ეფექტი იქნება ნული.

ამჟამად კურორტი განკერძოვდა, პროფილი შენარჩუნდა და აგრძელებს თავის ფუნქციას. რაც შეეხება ქართულ კურორტოლოგიას – აქ სალაპარაკო ბევრია, რადგან თქვენი ჟურნალი ასე ვთქვათ გურული „გენისაა“, შევეხები გურიის კურორტოლოგიურ პოტენციალს, რომლის სწორი გამოყენება, მართვა, ინფრასტრუქტურის განვითარება შესაძლებელს გახდის არა მარტო რეგიონის ეკონომიკური განვითარების ქვაკუთხედს, რაც წარმოჩინდება სამედიცინო ტურიზმის განვითარებით. **ახლა კი ჩამოგითვლით იმ მარგალიტებს, რომლებიც გააჩნია გურიას – ურეკი, შეკვეთილი, გრიგოლეთი, ნაბეღლავი, ბახმარო და ასე შემდეგ.**

კომპლექსში ისეთ ისტორიულ ძეგლებთან, როგორიცაა ჯუმათის მონასტერი, ასკანის ციხე, უდაბნოს მონასტერი, შემოქმედის ეკლესია... ასე რომ, თქვენ, გურულებს და სრულიად საქართველოს აქვს დიდი პოტენციალი და პრეტენზია, იყოს მსოფლიო დონის სიმაღლეზე, ამისთვის კი, საჭიროა შრომა და განვითარება.

თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის გენერალური დირექტორი, თსსუ-ის სამედიცინო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ნიკოლოზ სააკაშვილი

საქართველო ევროპულ მეღვინეობას უერთდება

საფრანგეთში, ქალაქ ბორდოში ღვინის მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრში გაიხსნა გამოფენა საქართველო – მეღვინეობის აკვანი.

საქართველოსადმი მიძღვნილი „მოწვეული ღვინის ქვეყნის“ გამოფენათა ციკლის პირველი ექსპოზიციის აღსანიშნავად, შესასვლელში დიდი ზომის ქვევრი დაიდგა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მეღვინეობის ციტადელში – ბორდოში ღონისძიების გამართვას ისტორიული მოვლენა უწოდა.

მივესალმები საფრანგეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრს, ბორდოს მერს ალან ჟუპეს და ღვინის კულტურებისა და ცივილიზაციის ფონდის პრეზიდენტს სილვი კაზს. გაგაცნობთ უძველესი კულტურის ქვეყანას – საქართველოს, რომელსაც მეღვინეობის 8 000 წლის ისტორია აქვს. ქართული კულტურა გამსჭვალულია მეღვინეობის ელემენტებით. ღვინო გვხვდება ყველგან – მუსიკაში, პოეზიაში, ფრესკებში, ქართულ ორნამენტებში. ქვევრი ქართველების მრავალსაუკუნოვანი ოცნების გამოძახილია. „იუნესკომ“ თიხის ისტორიული ჭურჭელი კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანა. ქართველებისთვის ქვევრს დიდი მნიშვნელობა აქვს...

ქართული სუფრა არის სოციალური თანაარსებობის კიდევ ერთი წმინდა ქართული სახე, შედგება ოთხი მთავარი კომპონენტისგან – კერძები, ღვინო, სიმღერა და სადღეგრძელო. თამადა ნებისმიერი სუფრის მეთაურია. სუფრაზე დაცულია სადღეგრძელოების მკაცრად გაწერილი თანმიმდევრობა და წესი. ქართველები ზოგჯერ სუფრის წესებს უკეთ იცავენ, ვიდრე – საგზაო მოძრაობისას. ზოგჯერ ვფიქრობ, საქართველოში თამადობა პრემიერ-მინისტრობაზე წინ დგას – იცინის.

ქართველები ღვინოს სვამენ არა მარტო ამ ცხოვრებაში, არამედ შემდეგაც – არქეოლოგიური გათხრების შედეგად, სამარხებში აღმოჩენილია დიდი რაოდენობის ღვინის ჭურჭელი. ქართველები უძველესი ქრისტიანი ერია, ღვინო კი, ზიარების ძირითადი კომპონენტი არის.

ქართული ხალხური გამოთქმა „ვაზო, შვილივით ნაზარდო“ – მევენახეობის მიმართ გამორჩეულ სიყვარულსა და მზრუნველობაზე მეტყველებს. სამი წლის კვლევის შედეგად, შვიდი ქვეყნის წამყვანმა სპეციალისტმა დაადგინა, რომ საქართველო ღვინის სამშობლოა.

*ღვინის უძველესი ნარჩენები აღმოჩენილია საქართველოში, წამყვან ლაბორატორიებში ჩატარებული ექსპერტიზის მონაცემები, 8 000 წლის წინა პერიოდით თარიღდება. ვაზის უძველესი სახეობის წიპწები **Vitis Vinifera** საქართველოშია აღმოჩენილი და ამავე პერიოდით თარიღდება. მცირერიცხოვანმა ერმა თავის მიწაზე 500-ზე მეტი ვაზის ჯიში მოაშენა. სწორედ ამ დარგში გამოვიჩინეთ გამჭრიახობა. თიხის ჭურჭელი ყველა ქართულ ოჯახში იყო, მეც მათ რიცხვს მივეკუთვნები. როგორც წესი, ქვევრი ყელამდე მიწაშია ჩაფლული, რაც მასში დაყენებულ ღვინოს, ნიადაგის თვისებებიდან გამომდინარე, უნიკალურ არომატს სძენს.*

ქვევრი ქართული კულტურისა და ისტორიის სიმბოლო არის, მისი წარსული ფესვები მიწაშია, ხოლო მომავალი – ჯერ კიდევ დაღვინების პროცესში.

*საქართველო ევროპაში ბრუნდება, უერთდება ევროპულ მეღვინეობას... ფრანგი ერის, ბორდოს მცხოვრებლების და მუზეუმ **La Cita du Vin**-ის ადმინისტრაციის მიმართ გამოვთქვამთ მადლიერებას, საქართველოს არის პირველი ქვეყანა – „მოწვეული ვენაზი“, რომელიც წარადგენს და მთელ მსოფლიოს გააცნობს ღვინის განსაკუთრებულ სახეობებს.*

იაკობ მარმა პირველმა გააცნო ევროპელებს ქართული ღვინო...

მტევანდიდი გურიაში გავრცელებული წითელყურძნიანი აბორიგენული ჯიშია. ზემო გურიის რამდენიმე სოფელში – ფარცხმა, საჭამიასერი, დაბლაციხე მტევანდიდი ცნობილი იყო აკიდოს სახელწოდებით. გურიაში აკიდო ორმტევნიან რქას ნიშნავს. ასე რომ, აკიდო მტევანდიდის სინონიმად უნდა მივიჩნიოთ. მტევანდიდის სინონიმებად ითვლება ტერმინები დედალი მტევანდიდი (ბაღდადი), დიდმტევანა (ჩოხატაური) – თავის ნაშრომშიც ადასტურებს ე. ნაკაშიძე.


თემურ ღლონტი

მტევანდიდი, როგორც უხვმოსავლიანი და მაღალი ხარისხის საღვინე ჯიში გურიის აღმოსავლეთ ნაწილში ფართოდ იყო გავრცელებული. ვაზი მაღლარებად ჰქონდათ კულტივირებული, მოუვლელი ვენახი კარგად იზრდებოდა და უხვი მოსავლით გამოირჩეოდა. გადმოცემის თანახმად, მტევანდიდის მაღლარები ფართო მასივების სახით გაშენებული ჰქონდათ მოსაზღვრე აჭარაში, აჭარისწყლის ხეობის მარჯვენა ზოლში, ქედისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში.

მაღალი ხარისხის ღვინის დაყენებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ცნობილმა აგრონომ-პრაქტიკოსმა იაკობ მარმა. მეღვინეს მაღლარად ჰქონდა გაშენებული წითელყურძნიანი ვაზის ჯიშები – ჯანი, სხილათუბანი და მტევანდიდი. ადგილობრივი წესით მხოლოდ წითელ ღვინოებს აყენებდა.

იაკობ მარის ღვინოები პოპულარობით სარგებლობდა არამარტო ქუთაისის გუბერნიაში, არამედ რუსეთის იმპერიის ზღვისპირა ქალაქებში. მან პირველმა გააცნო ევროპელებს ქართული ღვინო.

ერმილე ნაკაშიძის ცნობით, სოფელ ბაღდადში, ასკანასა და ბახვში მტევანდიდის ყურძნისაგან აყენებდნენ მუქ, წითელი შეფერილობის ღვინოს, რომელიც გამოირჩეოდა სიმაგრით, არომატულობით, მდგრადობით, იყენებდნენ სამკურნალოდ, არ ჩამორჩებოდა კახურ ღვინოებს.

პოპულარული იყო საჯავახოში სხილათუბანისა და მტევანდიდი აკიდოს ყურძნისაგან დაყენებული ღვინო საჯავახურის სახელწოდებით.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩვენში გავრცელებულმა სოკოვანმა დაავადებებმა და ფილოქსერამ მტევანდიდის მაღლარები, სხვა აბორიგენული ჯიშების მსგავსად, მასობრივად გაანადგურა და აქა-იქ, მხოლოდ თითო-ოროლა ძირი გადარჩა.

მტევანდიდის მარცვალი მუქი ლურჯი (თითქმის შავი) ფერის და საშუალო სიდიდის, სქელკანიანი, საკმაოდ ხორციანი და წვნიანია. მტევანდიდზე მარცვლების მომწიფება არათანაბრად მიმდინარეობს, რაც ვაზის დამახასიათებელი ნიშანთვისებაა.

სავეგეტაციო პერიოდის საერთო ხანგრძლივობა კვირტის გაშლიდან ყურძნის სრულ სიმწიფემდე აღწევს 208-216 დღეს, ხოლო ფოთოლცვენის დასრულებამდე 236-240 დღეს.

ყურძენი შეთვალებას იწყებს 26-28 აგვისტოდან და მწიფდება ოქტომბრის დამლევს, ან ნოემბრის დასაწყისში.

მტევანდიდის ვაზის ზრდა-განვითარება საშუალო ან საშუალოზე ძლიერია. მოსავალი პირველ ნიშანს დარგვიდან, მესამე წელს იძლევა. იშვიათად მეორე წელსაც ივითარებს თითო-ოროლა არატიპიურ მტევანს, ხოლო სრულ მოსავალს მეხუთე წლიდან გვაძლევს.

მტევანდიდის გამძლეობა სოკოვან დაავადებათა, განსაკუთრებით კი, ნაცრის მიმართ დამაკმაყოფილებელია. მტევანდიდი ფილოქსერისადმი სუსტი გამძლეობით ხასიათდება.

ეკოლოგიური პირობების მიმართ მტევანდიდი არ იჩენს გამძლეობას. იგი წარმატებით ვითარდება, როგორც დაბლობ, ასევე შემაღლებულ, მთისპირა ადგილებში. პროდუქცია სხვადასხვა ადგილზე თითქმის განსხვავებულია. მაღალი ღირსების მქონე ჯიში საღ ყურძენს იძლევა მზით უხვად განათებულ სამხრეთით, ან სამხრეთ-აღმოსავლეთით დაქანებულ ნაკვეთებზე, იქ, სადაც ნოყიერი ნიადაგია და კალციუმის კარბონატების საკმაო რაოდენობას შეიცავს. დაბლობ და ნოყიერ ადგილებში მტევანდიდი უხვ მოსავალს იძლევა, მაგრამ პროდუქციის ხარისხი მნიშვნელოვნად დაბალია.

მტევანდიდის ჯიში ადვილად ეგუება, როგორც მოკლე, ისე გრძელ გასხვლას. ვენახების გაშენებისას ყურადღება უნდა მიექცეს შტამპის დაყენების სიმაღლეს და ვაზის ისეთ ფორმირებას, რომ უზრუნველყოფილი იყოს მზის სხივების და აერაციის ინტენსიური მოქმედება. მიზანშეწონილია, მტევანდიდის ფორმირება ამაღლებულ შტამპზე თავისუფალი სხვლის წესით 2-3 სანაყოფოს მიცემით ან ორმხრივ კორდონისებრი ფორმით და მათზე ორ-ორი საფორმო რგოლის შექმნით. დასაშვებია, ოლიხნარისებრი წესით, წარმატებითაგამოიყენება ფერდობ ადგილებში, სადაც მექანიზაციის გამოყენება ტექნიკურად შეუძლებელია.

მტევანდიდის მტევნის საშუალო წონა მერყეობს 196,0-დან – 235,5 გ-მდე, ხოლო საშუალოდ 207 გ უდრის. საშუალო მტევნის კლერტის წონა 3,2-4,0 გ-მდე აღწევს; მარცვლის წონა 95,5-96,2%, საშუალო მტევნის კანი 25,5-26,4%, ხოლო წიპწისა 4,0-4,8% შეადგენს. ასე რომ, კლერტის, წიპწისა და ჩენჩოს ნარჩენები საშუალოდ 33,7% შეადგენს, ხოლო წვენის გამოსავლიანობა – 66,3%. დიდი მტევნის წონა 382 გ უდრის, მცირე მტევნის – 150 გ.

ნ. კეცხოველის, დ. ტაბიძის და მ. რამიშვილის მონაცემებით, მტევანდიდის ღვინის ორგანოლეპტიკური თვისებები და ქიმიური შემადგენლობა ადასტურებს მის ტრანსპორტაბელობას და შენახვის დიდ უნარს. მტევანდიდი ფილოქსერის მიმართ ნაკლები გამძლეობით ხასიათდება, უნდა გავრცელდეს ნამყენების სახით, სათანადოდ შერჩეულ ფილოქსერაგამძლე ვაზის საძირეებზე.

თეიმურაზ ღლონტი

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი, ალავერდის მონასტრის მარნის ენოლოგ-კონსულტანტი, რჩეული ქართული მეღვინის საპატიო წოდების მფლობელი.

საქართველოში გავრცელებული ფუტკრის დაავადებები

საქართველოში გავრცელებულ ფუტკრის დაავადებებს შორის კვლავ აქტუალურია ვარვატოზი, ასკოსფეროზი და სიდამპლეები. მათ საწინააღმდეგოდ მეფუტკრეობის ყოფილი ინსტიტუტის ფუტკრის დაავადებათა შემსწავლელმა განყოფილებამ სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებები მინიმუმამდე შეამცირა. თავიდან აიცილა მოსალოდნელი ეკონომიკური ზარალი, რომელიც მეზობელი ქვეყნების მეფუტკრეობამ განიცდა.

ინვაზიური დაავადება ნოზემატოზი ძირითადად მთიან და ტყეებთან ახლოს განთავსებულ საფუტკრეებში იჩენს თავს, ბოლო ოცი წლის მანძილზე თითქმის არსად არ გვხვდება. ლაბორატორიაში სადიაგნოსტიკოდ შემოსული ნიმუშები არ გამოვლენილა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა (ხარაგაული, თეთრიწყარო, დუშეთი, შედარებით ახლო ტყეებთან ცივ ზონაში ტყეებთან ახლოს მდებარე საფუტკრეებში), რადგან ბოლო დროს დაავადების გავრცელების მთავარი ფაქტორი – ხანგრძლივი და ცივი ზამთარი აღარ არის. ჩვენს მიერ შემუშავებული პრეპარატის ნაზოლის წარმოება შეჩერებულია, თუმცა მზად ვართ, გამოვლენისთანავე საფუტკრეში გამოვიყენოთ ამ დაავადებასთან ბრძოლის ეფექტური, საზღვარგარეთ წარმოებული და დარეგისტრირებული პრეპარატები, როგორც საკვებთან, ასევე ფუტკარზე შეფრქვევით თანდართული დარიგებით.

ვენერა სტეფანიძვილი

პრესის, ტელევიზიის და რადიოს საშუალებით ხშირად გადაიცემა ქვეყანაში საყოველთაოდ გავრცელებული მმუსრავი დაავადების, ფუტკრის ვარვატოზზე, საკითხი შეეხო ტკიპა ვაროას ბიოლოგიას, დაავადების მიმდინარეობას, სამკურნალო ღონისძიებების გატარებას, ვეტერინარული სამსახურის, მეფუტკრეობის ინსტიტუტის, ადგილებზე ვეტერინართა და მეფუტკრეთა თანადგომას ქვეყანაში გატარებული ერთობლივი ღონისძიებებით მოსალოდნელი ეკონომიკური ზარალის თავიდან აცილებას, თუმცა ვაროატოზთან ბრძოლა არამარტო ჩვენთან, არამედ მთელ მსოფლიოში აქტუალურია.

დღეს, საქართველო დაავადებებთან ბრძოლის ეფექტურ საშუალებათა და პრაქტიკაში დანერგვის დეფიციტს არ განიცდის. ვარვატოზის გამოვლინების დროს, 1977 წლიდან საბრძოლველად მრავალი პრეპარატი გამოსცადეს. წარმოებაში დაინერგა ფენოტიაზინი, ფოლბექსი, შემდეგ მჟაუნმჟავა, კონცენტრირებული ჭიანჭველმჟავა, პერიცინი, რომლებმაც ვარვატოზის წინააღმდეგ ბრძოლაში დადებითი როლი შეასრულეს. გამოიცადა ფუტკარზე შესხურებით, დასხურებით, პრეპარატით გაჟღენთილი თერმული მუყაოს ფირფიტით, სკაში დაბოლებით, სითბური მეთოდით არომატული მცენარეების – აბზინდა, ბეგქონდარა, დაფნა, თამბაქო, პიტნა, ღვიო, ფარსმანდუკი, ჩაი, წიწაკა, მცენარეული ნედლეულლებიდან მიღებული KAC -81, თიმოლის ვაროაბრაუნინის, ბრძოლის ზოოტექნიკური და სხვა მეთოდების გამოყენებით, დაბალი აკრაციდული ეფექტურობის ზოგიერთის მიერ გამოვლენილი გვერდითი მოვლენების შედეგად პრაქტიკაში ვერ დამკვიდრდა.

მსოფლიო მასშტაბით ვარვატოზთან ბრძოლის სხვადასხვა მეთოდი გამოსცადეს, ყველაზე ეფექტურ საშუალებად კი, ქიმიური მეთოდი აღიარეს. ამა თუ იმ დაავადების სამკურნალოდ წარმოებაში გაშვებისთვის სხვა ქვეყნის ნებართვა, უფლების მოპოვება არ არის აუცილებელი. ისინი პირველობის შენარჩუნებისთვის საკითხის დადებითად გადაწყვეტას ხელოვნურად აჭიანურებდნენ, ან უარით გვისტუმრებდნენ. იძულებული გავხდით, დაწყებული საქმე შუა გზაზე მიგვეტოვებინა. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, აღნიშნული პრობლემა მოიხსნა. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა თავისუფლად გავაგრძელეთ, ჩვენი ყურადღება ისეთმა პრეპარატებმა მიიპყრო, რომლებმაც მაღალი აკარაციდულობით, გამოყენების იოლი ფორმით, თაფლის დაბინძურების გარეშე, წელიწადის ნებისმიერ სეზონზე გამოყენების სიხშირის მიუხედავად, ფუტკრის სხეულზე მყოფ ტკიპებზე აბსოლუტური მოქმედების შედეგად პრეპარატისადმი ტკიპების შეგუების სრული გამორიცხვით ხასიათდებოდნენ. ასეთია მცენარეთა დაცვის პრაქტიკაში გამოყენებული შვეიცარული წარმოების აკარიციდი, რომლის მოქმედი ნივთიერებაა ფლავალინატი. მისი წყალხსნარი 1988 წელს, მსოფლიოში პირველად, სხვა სფეროში, მეფუტკრეობაში ჩვენ გამოვიყენეთ. კვლევითი სამუშაოების შემდეგ 1993 წლიდან დავნერგეთ წარმოებაში. მისი ლეტალური კონცენტრაცია, როგორც მეფუტკრისთვის უსაფრთხო დედა, მუშა, მამალ ფუტკარზე და ბარტყის ორგანიზმზე, უსაფრთხოების მიზნით, ასევე ფლუვალინატის ნარჩენი რაოდენობის თაფლში ჩვენს მიერ შემუშავებული თხელფენოვანი ქრომატოგრაფიის მეთოდის დანერგვის შემდეგ მივიღეთ საქპატენტის საავტორო სასაგებლო მოდელი და სასაქონლო ნიშნის მოწმობები (2001) დაავადების სახელწოდებიდან გამომდინარე, ვაროკომი ვუწოდეთ. ვეტდეპარტამენტმა პრეპარატი 1998 წელს დაარეგისტრირა.

წარმატებით დაინერგა მეფუტკრეობის პრაქტიკაში ჩვენს მიერ შემუშავებული, 1993 წელს ვეტდეპარტამენტის მიერ დამტკიცებული ასკოსფეროზთან – ჩაკირულ ბარტყთან ბრძოლის საშუალება ასკო. წარმოებაში წარმატებით დაინერგა ჩვენს მიერ შემუშავებული ერთდროულად ორი დაავადების ასკოზფეროზთან და ვაროატოზთან ერთობლივი ბრძოლის საშუალება ასკოვარის სახელწოდებით. ის 2005 წელს დარეგისტრირდა. გამოგონებაზე საავტორო მოწმობა მივიღეთ. იგი კომბინირებული პრეპარატია და შედგება აკარიციდისა (ტკიპებთან საბრძოლველად) და ფუნგიციდისაგან (სოკოვანი დაავადებების გამოწვევის საწინააღმდეგოდ), 2012 წელს ხელახალი რეგისტრაცია გაიარა, მისი გამოყენებით საგრძნობლად შემცირდა ჩაკირული ბარტყის შემთხვევები. ლეტალობით მაღალი ეფექტურობა გამომაჟღავნა ტკიპთან ბრძოლაში, ამიტომ ასკოვარზე დიდი მოთხოვნაა.

2013 წელს საქპატენტმა მოგვანიჭა საავტორო და სასაქონლო ნიშნის მოწმობები, ფუტკრის ბარტყის ინფექციური დაავადების ამერიკული სიდამპლით დაავადებული ფუტკრის ოჯახის სამკურნალო ფხვნილზე, რომელიც შეფრქვევის გზით გამოიყენება. მას ვესტა ვუწოდეთ. აქვს როგორც ალიმენტარული, ისე კონტაქტური მოქმედებით ფუტკრის სრული გამოჯანმრთელების უნარი, რაც მეფუტკრეობაში სიახლეა და ანალოგი არ მოეძებნება. ვაროკომი, ასკო, ასკოვარი და ვესტა საქართველოშია დამზადებული, მისი ავტორი მე გახლავათ, საქპატენტის მიერ დაპატენტებულია საავტორო და სასაქონლო ნიშნის მოწმობებით.

შემუშავებულა და წარმოებაში ჩაშვებული ფუტკრის

ბარტყის ინფექციური დაავადებების ევროპული და ამერიკული სიდამპლეების სამკურნალო ფხვნილი ბაქტოციდი (ვ. სტეფანიშვილი) და ინტესტიფაგი (ნ. ყიფიანი) მათი გამოყენებით ადრეულ გაზაფხულზე შაქრის სეროფთან ერთად მასტიმულირებელი კვების დროს გამორიცხულია სასაქონლო პროდუქციაში ანტიბიოტიკების გადასვლა.

კახეთის რეგიონში 1971 წელს გამოვლენილი აკარაპიტოზი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტის მეფუტკრეობის ყოფილი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ფუტკრის დაავადებათა შემსწავლელი განყოფილების მეცნიერ-თანამშრომლების და კახეთის ვეტერინარი სპეციალისტების ძალისხმევით 2-3 წელიწადში 1973 წელს დაავადების ლიკვიდაცია მოხდა. მას შემდეგ 45 წელზე მეტი გავიდა, აკარაპიდოზი დაფიქსირდა მცხეთის, დუშეთის, ახმეტის, ქუთაისის, ზესტაფონის და წყალტუბოს რაიონებში. მისი გავრცელების საშიშროება გაჩნდა, აუცილებელია, სალიკვიდაციო და პროფილაქტიკური ღონისძიებები აკარაპის ვუდის და ტკიპა ვაროას მიმართ, რომლებსაც მრავალი პრეპარატი ეკუთვნის. მაგალითად, ფოლბექსი BA, აპისტანი, ფუმისანი, ეკოსტოპი, ეს უკანასკნელი ჩვენს ქვეყანაში აკარაპიდოზთან ბრძოლის და პროფილაქტიკის მიზნით შეუფერხებელი გამოყენების დროს ფირმა „იმპერვეტმა“ (ფუტკარას ჯგუფი) ბულგარეთიდან შემოიტანა და დაარეგისტრირა. დარწმუნებული ვართ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ვეტერინარიის დეპარტამენტის თანადგომით დაავადებას დავამარცხებთ.

მეფუტკრეობის ინსტიტუტი და სახელმწიფო დაქვემდებარებაში მყოფი ყველა სტრუქტურა გაუქმებულია, მათ შორის ქართული ფუტკრის საჯიშე მეურნეობები. ქვეყანაში მეფუტკრეობის დარგი კადრების დეფიციტს განიცდის, დაავადების საწინააღმდეგო ღონისძიებების გასატარებლად საჭიროა ახალ სამკურნალო საშუალებათა გამოვლინება და დროული რეაგირება, რადგან მეფუტკრეობის განვითარებას და დარგის შენარჩუნებას საფრთხე ემუქრება. სავალალო მდგმარეობაა მცენარეთა დაცვის სამსახურში პესტიციდების უკონტროლო გამოყენებაზე, სამრეწველო მეხილეობის მუნიციპალიტეტებში ხშირად იწვევს ქიმიურ ტოქსიკოზს, ან ინსტრუქციის დარღვევით წარმოებს ჰერბიციდების გამოყენება. ფუტკრის მიმართ მომრავლდა სხვადასხვა მავნე მწერი, მოყვავილე სარეველებზე ნექტრით თუ მტვერით სარგებლობის დროს ფუტკრების დაინვაზირებას იწვევს. ჩნდება სხვადასხვა დაავადება. სავალალო მდგომარეობაა მიაზებით გამოწვეული დაავადებისგან დასაცავად. ქვეყანაში მეფუტკრეობის განვითარების მიზნით, უნდა გატარდეს სტრუქტურული, ტექნიკური, საგანმანათლებლო თუ სხვა ღონისძიებები.

1. ამოქმედდეს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული 2002 წლის მეფუტკრეობის კანონი.

2. ქართული ფუტკრის გადასარჩენად, მკაცრად იყოს დაცული ნაკრძალად გამოცხადებული ტერიტორიები. აიკრძალოს სხვა ქვეყნებიდან ფუტკრის და მწერების შემოყვანა.

3. ჩატარდეს ფუტკრის ოჯახების სწორი აღრიცხვა. სტატისტიკური მონაცემები ფაქტობრივ მონაცემებს არ ემთხვევა. აუცილებელია, აღდგეს საინსპექტორო მომსახურება. დარგის განვითარებისთვის და ფუტკრის დაავადებათა საწინააღმდეგო პრეპარატების შესყიდვა.

4. მეფუტკრეობაში მოწესრიგდეს კადრების დეფიციტის საკითხი. ქვეყანაში არცერთი ინსტიტუტი არ ამზადებს მეფუტკრე-სპეციალისტს. უმაღლეს სასწავლებლებში არაპროფესიონალები ასწავლიან. საგანი არის ჩათვლითი და არა საგამოცდო.

5. შესაძლებლობის ფარგლებში აღდგეს ფუტკრის საჯიშე მეურნეობები, ან შეიქმნას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ფერმერული მეურნეობები. სახელმწიფო კონტროლის ქვეშ, აღკვეთილის დაარსებით, სათანადო მეთოდიკის გამოყენებით, დაიწყოს სელექციური დედების გამოყვანა. საქართველოს კლიმატური პირობები და გეოგრაფიული მდებარეობა ბევრ სირთულეს ქმნის.

6. ფერმერულ მეურნეობებში სარეალიზაციოდ გამოყვანილ დედებს, წინ უსწრებდეს რამდენიმე წლის პროდუქტიულობისა და ექსტერიერულ-ინტერიერული შემოწმებები, ქართული ფუტკრის საჯიშე მასალიდან გამოავლინონ რეკორდული ოჯახები. მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის დროს, ჩაერთონ შრომისუნარიანი და დიდი გამოცდილების მქონე სპეციალისტები.

7. ქვეყანაში დაიწყოს მეფუტკრეობისთვის აუცილებელი წვრილი და მსხვილი ინვენტარის წარმოება.

8. სახელმწიფო დონეზე ან სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად საამქროებს დაეთმოს ყურადღება. უკონტროლო ვითარების შედეგად, მოყვარული მეფუტკრეების მიერ დამზადებული ფალსიფიცირებული ფიჭები არ გახდეს დაავადებების გავრცელების წყარო.

9. აჩეხილი და ხანძრისგან დაზიანებული ტყეების და თაფლოვანი მცენარეების აღსადგენად იზრუნოს გამწვანების სამსახურმა. აუთვისებელ მიწებზე დაითესოს ფუტკრისთვის საჭირო უხვფოთლოვანი ყვავილობის მქონე თაფლოვანი მცენარეები, დაყვავილების შემდეგ მწვანე მასას მეცხოველეობაში გამოიყენებენ.

11. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტმა შეისწავლოს აკარაპიტოზის გავრცელების და დაავადებასთან ბრძოლის მეთოდი.

12. სოფლის მეურნეობის ვეტერინარიის დეპარტამენტმა საზღვარგარეთიდან შემოტანილი პრეპარატები საქართველოს კლიმატურ პირობებში შეამოწმოს.

13. ვეტერინარულ აფთიაქებში აიკრძალოს ფალსიფიცირებული, ვადაგასული და გაურკვეველი წარმოშობის არასერტიფიცირებული პრეპარატების შეძენა-რეალიზაცია.

14. განათლების სამინისტრომ იზრუნოს, უმაღლეს სასწავლებლებში მეფუტკრეობის დარგი ახლებური მეთოდით შეისწავლონ. ჩათვლითი საგანი სავალდებულო გახდეს.

15. ფინანსური პრობლემებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, განვითარებულ ქვეყნებთან კავშირი.

16. 2016 წლის სექტემბერში ყაზახეთში აპისლავიის ფესტივალზე შპს „იმპერვეტი“ საქართველოს სახელით წარმოჩნდა. საქართველო აპისლავიის წევრი ქვეყანაა. აპიმონდიაში გაწევრიანება კი, მეფუტკრეობის დარგის განვითარებას შეუწყობს ხელს.

ვენერა სტეფანიშვილი

ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის და შპს „იმპერვეტის“ (ფუტკარა ჯგუფი) კონსულტანტი

მშენებლის პროფესია ტრადიციად იქცა...

ავთანდილ კობიძეს თბილისში, სვანეთის უბანში (ძველი არდონი) მამარდაშვილის 49-ში ვესტუმრე, ქვევრი, საწნახელი, წისქვილი, ძველებური ბუხარი – კობიძეების მარანში გურია გავაცოცხლეთ... პატარა ავთანდილმა ქვევრი პირველად გარეცხა, ბაბუს ღვინის გადაღებაში ეხმარება.


ამირან კობიძე

კობიძეების ოჯახში მეოთხე თაობის მშენებელ-ინჟინრები იზრდებიან. დიდი ბაბუა რაფიელ კობიძე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერკეთის საბჭოში მუშაობდა. საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის 1937 წლის 4 ოქტომბრის დადგენილებით საბჭოთა ხელისუფლების დამხობის ბრალდებით გაასამართლეს და ათი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. რაფიელი ქალაქ კომში გადაასახლეს, პოლიტპატიმრები ცივ ზამთარს ტყეში ატარებდნენ, მძიმე პირობებემა მათი ჯანმრთელობა შეარყია, სახლში დაბრუნებულ რაფიელს ხელების კანკალი დაეწყო. 1950 წლის 7 ივნისს ისევ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ პროპაგანდა დააბრალეს და კუსტანიას ოლქში წაიყვანეს, რაფიელ კობიძემ თვრამეტი წელი გადასახლებაში გაატარა, მან რვა წლის ამირანი დატოვა, სამშობლოში დაბრუნებულს პირველი შვილიშვილი, ექვსი წლის ავთანდილი დახვდა. მოგვიანებით ორივე ბრალდებაში გამართლდა და რეაბილიტაცია მიიღო. მამის გადასახლებამ ამირანის ბავშვობას მძიმე დაღი დაასვა, მოზარდმა არა მარტო ოჯახის, მთელი კუთხის გაძღოლა იტვირთა!.. ამირანი 1927 წლის 7 იანვარს სოფელ ერკეთში დაიბადა, ინჟინერ-მშენებელს წარმატებული კარიერა ჰქონდა. ჩოხატაურის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა. იყო სოფელ ჩაისუბნის და ქვემო ერკეთის კოლმეურნეობების ინჟინერი, მუშაობდა წყალტუბოს კურორტმშენში ინჟინრად, ჩოხატაურის სოფლის მეურნეობის სამმართველოში საპროექტო ჯგუფის ხელმძღვანელ ინჟინრად. კურორტ ბახმაროს მშენებელი ინჟინერი, ჩოხატაურის სარემონტო კანტორის უფროსი. შინმოუსვლელთა სტენდის შექმნა მისი იდეა იყო, სოფლის მმართველის, პიმენ უჯმაჯურიძის დახმარებით პირველი სტენდი ერკეთში დადგეს. ამირანმა საოჯახო მეურნეობის მიმართ გამოიჩინა ინტერესი, იყო ცნობილი მეფუტკრე, მის მიერ მეფუტკრეობაში დანერგილი სიახლეები შესულია სხვადასხვა სახელმძღვანელოში.

ამირან კობიძე, ავთანდილ ტაბატაძე და კუკური ჯაში

ეთერ ტაბატაძე: ჩემი დედამთილი, ვალიდა კეკელიძე სოფელ ქვაბლიდან იყო, მთიან სოფლებს საშუალო სკოლა არ ჰქონდათ, ვალიდა ერკეთში გადავიდა, თავისი ნათლიის ბუდუას სახლში ცხოვრობდა. ამირანი და ვალიდა თანაკლასელები იყვნენ, ახალგაზრდები მალე შეუღლდნენ, ჭკვიანი ქალი იყო, სურდა, ამირანს უმაღლესი განათლება მიეღო, პირველი შვილი შეეძინათ, თბილისის ტექნიკური ინსტიტუტის სამმშენებლო ფაკულტეტზე ჩააბარა, წარჩინებული სტუდენტი იყო, შაბათ-კვირას ერკეთში ჩადიოდა, ოჯახს ყურადღებას არ აკლებდა. შრომისმოყვარე კაცი სამსახურს და საოჯახო მეურნეობას უთავსებდა, დილის ხუთ საათზე დგებოდა, ხმაურიანი საქმე იცოდა, ვალიდა ხშირად ეტყოდა, **– ამირან, ქვემოთ ჩადი, ეზოში ნუ ხმაურობ, ბავშვები არ გააღვიძოო** – თვალებზე ცრემლები მომადგა. სამსახურში წასვლამდე ერთი კაცის საქმეს ასწრებდა, სახლში დაბრუნებულს დრო რომ არ დაეკარგა, პერანგის მაქმანებს მანქანიდან გადმოსული იხნიდა, პიჯაკს გაიხდიდა და საოჯახო საქმიანობას აგრძელებდა. უყვარდა ქართული სუფრა, კარგად მღეროდა. ოთხი შვილი გაზარდეს – ავთანდილი, ტარიელი, ზოია და ქეთევანი. მშობლების მონდომებით ოთხივემ უმაღლესი განათლება მიიღო. თსუ-ს საინჟინრო-ეკონომიკურ ფაკულტეტზე ვსწავლობდი, ბავშვებს ხშირად დედამთილს ვუტოვებდი, მეზობლები აქეზებდნენ, **– ბავშვები სულ შენთან არიან. ვალიდა გაბრაზებული პასუხობდა, – ნენა, ღმერთმა კი მომკლას, ჩემი შვილიშვილები მე უნდა გავზარდო, აბა თქვენ ხომ არ მოგიყვანთო?!** ღვიძლის სიმსივნით დაავადდა, თბილისში წამოვიყავნეთ და აქ ვუვლიდით, ბავშვები საწოლში უწვებოდნენ და კოცნიდნენ, სულ საყვედურობდა, **– ბებია, ნუ მეხუტებით, იქნებ, იმფერი რაცხა მჭირს, არ გადმოგედოთო, – ბებო, შენ რაც არ უნდა დაგემართოს, უნდა მოგეფეროთო. როცა გარდაიცვალა, ერკეთში მეზობლის ქალმა მითხრა,** – ბებიის მიმართ ასეთი სიყვარული არ ჯერ მინახავსო. გვყავს სამი შვილი – ნინო, ამირანი და დავითი. ნინო ბავშვთა სტომატოლოგია, ჰყავს ორი ვაჟი – ირაკლი და ნიკა შაქარიშვილები, ორთავემ ბაბუას პროფესია აირჩიეს. ამირანის ქალიშვილებმა სალომემ და ანიმ საჯარო სკოლა წარჩინებით დაამთავრეს, უმაღლეს სასწავლებელში 100%-იანი სახელმწიფო დაფინანსება მიიღეს, წარმატებული ახალგაზრდები არიან. დავითი გვარის გამგრძელებლებს ავთოს და ანდრიას გვიზრდის, მეუღლის ფირმას ის ხელმძღვანელობს, ამირანი და დავითი წინაპრების კვალს გაყვნენ, მშენებელ-ინჟინრის პროფესია აირჩიეს. თბილისის ისტორიულ უბანში, ვერაზე, კოსტავას 50-ში გაიზარდნენ, ავთოს ისე უყვარს ბუხარი, მოახერხა და რვასართულიან საცხოვრებელ სახლშიც მოაწყო, ჲუმცა ბინა გაყიდა და შვილებს გაუყო.

ანა სამხარაძე: ბატონი ავთო ჩვენი უფროსი მეგობარი, საყვარელი ადამიანი, არაჩვეულებრივი მეუღლე, მამა და ბაბუაა. ცოლ-ქმარისთვის სტუმრის მოსვლა დღესასწაულია, ქალბატონი ეთერი კარგი მზარეულია, გემრიელ კერძებს ამზადებს... პროფესიით ვარ ექიმი-რადიოლიგი, რთული სამუშაო გრაფიკის შემდეგ სახლში დაბრუნება მიხარია, თბილი და მყუდრო გარემო მხვდება, ვაჟების დედა ვარ, მსურს, ერთმანეთის პატივისცემა, ოჯასის, მიწის, შრომის სიყვარული ისწავლონ. ამ ღირებულებებს ბავშვებს თეორიულად ვერ ასწავლი, კარგი მაგალითი ოჯახმა უნდა მისცეს. მო-

სიყვარულე ბებია და ბაბუა ჰყავთ, საუკეთესო თვისებებს იძენენ, გურიის სიყვარული ჩაუნერგეს, ერკეთში წასვლას მოუთმენლად ელოდებიან, შვილიშვილებს კომფორტული გარემო, რაც მთავარია, ჟანგბადით სავსე ჰაერი ხვდებათ...

ავთანდილ კობიძე: სოფელ ერკეთში დავიბადე და გავიზარდე, სკოლაში კარგად ვსწავლობდი, ინჟინერ-მშენებლის პროფესიას დავეუფლე, ჩემი ძმა ტარიელი სოფელ ერკეთში ცხოვრობს, ესე მგალობლიშვილის სახლი იყიდა, ჩემი კოლეგაა. მე მამის ფუძეზე დავრჩი, კობიძეების კერას არასდროს მოვატოვებ, სამი ჰექტარი მიწის ფართობი იჯარით ავიღე, გავერანებული ადგილები გავასუფთავე, ოთხ ჰექტარზე თხილის ნერგები გავაშენე, თუ ფაროსანას მოვერიეთ, სამ-ოთხ წელიწადში თხილის დიდ მოსავალს მივიღებთ. საოჯახო მეურნეობას ახალგაზრდა ცოლ-ქმარი უძღვება, ეზოში ორი სახლი დგას, ისინი ცალკე ცხოვრობენ, მოსავალს ვიყოფთ, გავაშენე მანდარინის, კივის, იაპონური ხურმის ბაღები, გვყავს ქათამი, გოჭი, საკალანდო ღორი, ძროხა, მამას ცოლიკაურის ჯიშის ვაზი ჰქონდა დარგული. ჩასვლა მიხარია, სისუფთავე და წესრიგი მხვდება. ასე რომ, როგორც გურულები ვამბობთ, კობიძეების კერა არ ქრება და ბუხრიდან კვამლი ამოდის... 69 წლის ვარ, სამშენებლო ფირმას შვილებს ჩავაბარებ, მე და ეთერი ერკეთში წავალთ და იქ ვიცხოვრებთ, ჩემი მეუღლე აღმოსავლეთიდან არის, მოგეხსენებათ, დოვლათიანი მხარეა, სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ხირსში ხუთ ჰექტარზე ვენახი არის გაშენებული, 80 წლის რქაწითელს ნელ-ნელა ვჭრი და ახალს ვრგავ. წელს თორმეტი ტონა ყურძენი მოვკრიფე, მოსავლის ნახევარი გვალვამ გააფუჭა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ სარწყავი სისტემა მოაწყო, 2018 წელს რთველზე ოცდაათ ტონა ყურძენს დავკრეფ, ახალი ნერგებიც გაიზრდება და ორმოცდაათ ტონა მოსავალს მივიღებ. კობიძეების გვარის გამგრძელებლები ავთო და ანდრეა გაიზრდებიან და მოუვლიან... ასე რომ, შვილებს და შვილიშვილებს დედულეთში და მამის ფუძეზე აქვთ კერძო ბიზნესი, ახლა მათ მარიფათზეა დამოკიდებული, თუ როგორ წარმართავენ!.. სამშენებლო დაკვეთების დროს გურიის რეგიონს ვირჩევ, გავარემონტეთ ჩოხატაურის №1 საჯარო სკოლა, რეესტრის შენობა, გადავხურეთ დაზიანებული სახლები, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დავაგეთ ქვაფენილები, გავარემონტეთ გუბერნიის შენობა, ბაზარი, შარშან სამოცდახუთი სახლი გადავხურეთ. 2017 წლის არჩევნებში ჩოხატაურში მმართველი პარტიის მერობის კანდიდატმა ირაკლი კუჭავამ გაიმარჯვა. ირაკლი კარგი მეურნე და გამოცდილი მენეჯერია. სოფელ სურებში სტიქიით დაზარალებულების სახლები გადავხურეთ, ყველა ოჯახში მივიდა, მთხოვა, – ავთო, საახალწლოდ სახლებში წყალი არ ჩაუვიდეთო. სამშენებლო მასალები ცხენებით ავიტანეთ, ბატონი ირაკლის თანადგომა დამატებითი სტიმული იყო. ოზურგეთში და ლანჩხუთში უფრო მეტი სამშენებლო დაკვეთებია, გურიის გუბერნიამ ჩოხატაურს სათანადო ყურადღება უნდა დაუთმოს. სამშენებლო სამუშაოებს ადგილზე ჩემი ძმა, ტარიელი ასრულებს, ობიექტებზე ძირითადად ჩოხატაურელები მყავს დასაქმებული. ახლაც ჩემი შვილების თანატოლები ერკეთიდან წამოვიყვანე, ორი-სამი თვე იმუშავებენ, ხელფას მიიღებენ და ოჯახში დაბრუნდებიან. მთავარია, სამუშაო ადგილები იქ შეიქმნას, მაგალითად, ნაბეღლავში გაიხსნა ულტრათანამედროვე ქარხანა, ააშენეს ახალი ჰესი. ორი წლის წინ გაიმართა ჩოხატაურელი ბიზნესმენების შეხვედრა, საინტერესო მოსაზრებები გამოთქვეს, ბატონ ირაკლის სურს, მსგავსი შეხვედრები გაგრძელდეს, მუნიციპალიტეტში რაც შეიძლება მეტი საწარმო უნდა გაიხსნას, განვითარდეს ბიზნესი და დასაქმდნენ ადგილობრივები... სამწუხაროდ, სოფლები დაცარიელებულია, ერკეთში მიმავალს სულ ჩაბნელებული სახლები მხვდება, გია ჯიქიამ, თამაზ ტუღუშმა, კიდევ სამმა თანასოფელმა იქ დაბრუნება გადავწყვიტეთ, ჩვენმა შვილებმაც უნდა მოგვბაძონ, გვყავს წარმატებული მეწარმე დათო კობიძე, ჩხავერის ვაზი გააშენა, სამ ტონა ყურძენს კრეფს, კობიძეების მარანი გურიაში ყველამ იცის...

ვალიდა კეკელიძე, ავთანდილი, ტარიელი, ზოია და ქეთევან კობიძეები

ეთერ ტაბატაძე: ჩემი მამამთილი სამ ტონა თაფლს იღებდა, შემდეგ ტარიელმა გააგრძელა, ფუტკრის 100 ოჯახი ჰყავდა, ნაგრავების შეწამვლის დროს დაეხოცა, 30 ოჯახი გადარჩა. წამალს ჰაერში აფრქვევდნენ, ხომ უნდა გააფრთხილო, მეფუტკრემ ამ დროს მწერი ჩაკეტოს, ან გაიყვანოს... ავთანდილი კარგი ადამიანი, მეუღლე და მამაა. იცით, ლექსი მივუძღვენი, – წაგვიკითხე...

ჩემს საყვარელ მეუღლეს ავთანდილ კობიძეს

ვბერდებით, მიქრიან წლები,
ვმდიდრდებით ერთად ყოფნის წლებით,
ჩვენი ნაოჭები, ჩვენი სიმდიდრეა,
ერთმანეთზე ზრუნვით და ფიქრით გაჩენილი,
იმ ქვეყნად წასვლა თუ ერთად არ გვიწერია,
მაშინ პირველობა ჩემთვის მირჩევნია,
რადგან უშენოდ ყოფნა მე არ შემიძლია,
ჩემო ხატულია!..

ავთანდილს ხატულიას ეძახდნენ, როცა დავქორწინდით, სტუმარი მოვიდა, კარებზე დააკაკუნა და იკითხა, – **ხატულია თუ არის სახლში?** ვერ მივხვდი, ვინ იყო ხატულია, ბოდიში მოიხადა და ავთანდილი ახსენა. მამაკაცისთვის უხერხული ზედმეტსახელი ოჯახის წევრებს არ მოგვწონდა, ხატულია უკვე ყველას დაავიწყდა – იცინის. ჩემი მამამთილი და მამა 7 იანვარს, შობის დღესასწაულზე დაიბადნენ, ასეთი განცდა მაქვს, თუ მის დაბადების დღეს ერკეთში შევხვდებით, ტარიელის სული იმქვეყნად მშვიდად იქნება. ვალიდა ხშირად გვეტყოდა, – **ნენა, ჩემი ხორცი და ძვალი არ იჭმება, თქვენზე ზრუნვის და პატივისცემის გარდა მეტი რა შემიძლიაო?!** ჩვენც ასე ვფიქრობთ, სანამ შევძლებთ, ყველას ყურადღებას მივაქცევთ, როცა ღონე გამოგველევა, მოსიყვარულე შვილები, რძლები და შვილიშვილები მოგვხედავენ, როგორც გურულები ამბობთ, – **ნაგრამის მატება არ მოაკლოს ღმერთმა ამ ლამაზ კუთხეს!**

ლელა სურმავა

კლინიკა მედალფას ჰოსპიტალური ქსელი

გიორგი ამბროლიანი და ანტონ ხუნდაძე

ავერსი ჰოლდინგის კომპანიები – ჰოსპიტალური ქსელი მედალფა და სადაზღვევო კომპანია ალფა ზურნავს თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობაზე, თბილისში და საქართველოს რამდენიმე რეგიონში პაციენტებს სთავაზობს როგორც ამბულატორიულ, ასევე სტაციონარულ მომსახურებას. ხელსაყრელი ადგილმდებარეობა, თანამედროვე აპარატურა და ინფრასტრუქტურა, სამედიცინო სერვისების ფართო სპექტრი – წარმატების ფორმულა სულ უფრო მასშტაბურ სახეს იღებს.

კლინიკის გენერალური დირექტორი გიორგი ამბროლიანი პროფესიით ექიმია, თერაპევტ-კარდიოლოგმა რეზიდენტურის კურსი ადმინისტრირების მიმართულებით გაიარა. წლების მანძილზე მედალფას ჰოსპიტალური ქსელის განვითარებაზე ზრუნავს.

– როდის დაარსდა მედალფა?

– მედალფას შექმნის ისტორია 2011 წელს ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმებთან არის დაკავშირებული. სახელმწიფო მოწყვლად ჯგუფებს, უმწეოებს, პედაგოგებს, სტუდენტებს აზღვევდა. პარალელურად კერძო სადაზღვევო კომპანიებს დაევალათ რეგიონებში საავადმყოფოების აშენება. შექმნეს შვილობილი კომპანიები, ვალდებულებად აიღეს ადმინისტრირება და ადგილობრივების დაზღვევის მართვა.

– რატომ გაჩნდა მშენებლობის საჭიროება? მუნიციპალიტეტებს ჰქონდათ საავადმყოფოები...

– სახელმწიფოს შეეძლო ძველი შენობები სადაზღვევო კომპანიებისთვის სიმბოლურ ფასად გადაეცა, თუმცა უმეტესობა ამორტიზებული იყო, სხვა პრობლემებმაც იჩინა თავი, მაგალითად, ჩოხატაურის და ლანჩხუთის საავადმყოფოების მართვის უფლება ებრაულ კომპანია **ადითს** ჰქონდა, ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა და სახელმწიფომ ჩამოართვა, დღემდე ყადაღა ადევს. ისტორიული შენობების რეაბილიტაცია უფრო იოლი იყო, ვიდრე ახლის აშენება, ადითს და სახელმწიფოს შევთავაზეთ, ჩვენთვის გადმოეცა, მაგრამ ვერ მოხერხდა. გადავწყვიტეთ ჩოხატაურში ახალი შენობის აგება. რაც შეეხება ოზურგეთს, ძველი საავადმყოფო კონსტრუქციულად, მოცულობით და გეოგრაფიული მდებარეობით მიუღებელი იყო, კარგი ადგილი შევარჩიეთ და ახალი ავაშენეთ. ჰოსპიტალური ქსელი პირველ ეტაპზე კასპის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში, შემდეგ ლანჩხუთსა და ჩოხატაურში შეიქმნა.

– რა სერვისებს სთავაზობთ პაციენტებს?

– ოჯახის ექიმი და ექიმი სპეციალისტები, კლინიკური ლაბორატორია, სტომატოლოგიური მომსახურება, ოფთალმოლოგიური კაბინეტი, ციფრული რენტგენოგრაფია, ულტრაბგერითი კვლევები. ჩოხატაურის საავადმყოფოს გაფართოება ჩვენი ინიციატივა იყო, თვრამეტი წლის მანძილზე არ ჰქონდათ სამშობიარო, ასევე პედიატრიული განყოფილება. მედალფას სამედიცინო ცენტრს უკვე აქვს რეანიმაციული, ქირურგიული და გადაუდებელი დახმარების განყოფილებები. ცენტრი 2017 წლის 10 თებერვალს გაიხსნა, სამუშაოები დღემდე გრძელდება, ადგილობრივების 90%-ს ვაკმაყოფილებთ, მათ არ უწევთ მიგრაცია, თბილისში თუ ქუთაისში ჩასვლა. ულტრათანამედროვე აპარატურით მიმდინარეობს კომპიუტერულ-ტომოგრაფიული დიაგნოსტიკა, მამოლოგია, – ოფთალმოლოგია, ფარისებრი ჯირკვლის უფასო გამოკვლევები, დედაქალაქიდან ყოველ თვე ჩაგვყავს კვალიფიციური ექიმები, ოპერაციები კლინიკებში უტარდებათ. სამედიცინო სერვისები უკვე სრულფასოვნად შეივსო.

– ჰოსპიტალურ ქსელში ადგილობრივი ექიმებია დასაქმებული?

– რა თქმა უნდა, პედიატრი ვახტანგ გაჩეჩილაძე არა მარტო ჩოხატაურში, გურიის რეგიონში ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტია, ის პედიატრიულ განყოფილებას ხელმძღვანელობს. თვალის ექიმი მარინა დოლიძე, ნერვოპათოლოგი ელისო სიხარულიძე, გინეკოლოგი თემურ ლორთქიფანიძე თერთმეტი წელი ჩოხატაურის სამშობიაროს ხელძღვანელი იყო, პედიატრები ქეთევან რამიშვილი, ოლიკო გიორგაძე, ნატო კიკვაძე, ნეონატოლოგი ქეთევან სიხარულიძე, ენდოკრინოლოგები თამთა დოლიძე, ლამზირა ცინცაძე, ქირურგები ცისანა გოგოლაძე და ნიკა დუმბაძე, კანის დერმატო-ვენეროლოგი მარინა ჯინჭარაძე, ყელ-ყურის ექიმი კახა ბერიძე, რენდგენოლოგი ცირა ბერიძე, რეანიმატოლოგები გია ცინცაძე და ნინო პაიჭაძე, ექიმი-ინფექციონისტი მარინა სიხარულიძე, თერაპევტი, ოჯახის ექიმი თამარ ცინცაძე, ექიმი-ლაბორანტი ეკა ღლონტი. ანგიოლოგი ომარ ირემაძე, უროლოგი თამაზ ირემაძე და ტრავმატოლოგი გიორგი ყაველაშვილი ბათუმიდან დაგვყავს, კლინიკის ექიმი-ოფთალმოლოგი კახა თავართქილაძე, ფაკოს თანამედროვე აპარატურით თბილისში, კასპში, ლანჩხუთში, ჩოხატაურში და ოზურგეთში ატარებს თვალის უნაკერო ოპერაციებს. ჩოხატაურის ცენტრის დირექტორი ანტონ ხუნდაძე 2017 წლის საუკეთესო მენეჯერად დასახელდა. ქვეყანაში ექიმების რაოდენობა თანდათან მცირდება, სფერო ახალგაზრდებით უნდა შეივსოს, თუ სამუშაოდ თავიანთ მუნიციპალიტეტებში დაბრუნდებიან, სტუდენტებს რეზიდენტურა დავუფინანსებთ, ხუთი წელი ჩვენს კლინიკაში დავასაქმებთ, კარგ ანაზღაურებას მიიღებენ და სამედიცინო პრაქტიკას შეიძენენ. მედალფას კარი ახალგაზრდებისთვის ღიაა, ჩოხატაურელი ვალერი დოლიძე რეზიდენტურის კურსს გადის, შემდეგ ჩვენთან იმუშავებს.

– კლინიკის კვალიფიციური მედპერსონალით დაკომპლექტება რთული პროცესია...

– ლანჩხუთის რეანიმაციულ და ქირურგიულ განყოფილებებში დასავლეთ საქართველოში საუკეთესო კადრები

ჩოხატაურის სამედიცინო ცენტრის გახსნა

ჩოხატაურის სამედიცინო ცენტრის გახსნა

გვყავს. სამედიცინო პრაქტიკაში არაორდინალური შემთხვევებიც გვქონდა, – თერთმეტი წლის მოზარდს დენმა დაარტყა, თირკმელი დაუზიანა, ექიმებმა ოცდახუთი წუთის ინტერვალში შეძლეს მობილიზება, რთული ოპერაცია ჩაუტარდა, თირკმელი და ელენთა ამოკვეთეს, ბავშვი გადარჩა და თავს კარგად გრძნობს. მეორე შემთხვევა – პაციენტს გულში შემავალი ჭრილობა დანით მიაყენეს, ჩვენმა მედპერსონამა გადაარჩინა.

– ექიმის პროფესია მუდმივ განვითარებას საჭიროებს...

– გეთანხმები, გურიიდან და კასპიდან რამდენიმე სპეციალისტი ჩამოვიყვანეთ, უროლოგიის, ლაპარასკოპიის და თორაკოქირურგიის მიმართულებით კვალიფიციური კადრების დეფიციტია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში რეზიდენტურა ლიმიტირებული იყო, დაგვეხმარა ჯანდაცვის სამინისტრო, ექიმებს გადამზადების საშუალება მიეცათ.

– მნიშვნელოვანია სამედიცინო ცენტრების თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა.

– სამედიცინო აპარატურას მუდმივად ვაახლებთ, ოზურგეთში გვაქვს *ტოშიბას* ფირმის მაღალტექნოლოგიური აპარატურა, სულ მალე ბოლო მოდელის ექოსკოპიურ აპარატურასმ შევიძენთ. ლანჩხუთში არის *ჯენერალ ელექტრიქსის* ექოსკოპიური ულტრაბგერითი კვლევის აპარატი, *ტოშიბას* ფირმის ციფრული რენდგენი, ოზურგეთში *შიმაძეს* მოდელი.

– კლინიკების საქმიანობას ყოველთვის ადგილზე აკვირდებით, გამორჩეული ყურადღება თქვენი ხასიათიდან მომდინარეობს?

– საავადმყოფო ცოცხალი ორგანიზმია, უნდა დააკვირდე ორგანიზაციულ და სტურუქტურულ პროცესებს, მედიკამენტების პოსტების განლაგებას, სამუშაო რეჟიმს დისტანციურად ვერ მართავ, ყოველ კვირას მაქვს შემოვლა, რეგიონებში ჩასვლა გადაწყვეტილებების მიღებას მიადვილებს. ჰოსპიტალური ქსელის მართვა რთული, მაგრამ საინტერესო პროცესია...

– რატომ უნდა მოვიდნენ პაციენტები კლინიკა მედალფაში, სამედიცინო მომსახურება არის ხელმისაწვდომი?

– კომფორტული გარემო, კვალიფიციური მედპერსონალი, ხელსაყრელი ადგილმდებარეობა, რაც მთავარია, გვაქვს ამბიცია, ვიყოთ საუკეთესოები. რაც შეეხება მომსახურების ღირებულებას, 2017 წელს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში შევიდა ცვლილებები, პაციენტების გადახდის წილი გაიზარდა, სრულად ან თანაგადახდით აფინანსებს. რა თქმა უნდა, გურია არ არის მდიდარი რეგიონი, ადგილობრივებს თანაგადახდის საშუალებაც არ აქვთ, დაფინანსების უმეტესი წილი საყოველთაო ჯანდაცვაზე მოდის. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიას აქვს სპეციალური პროგრამა, გეგმიური ოპერაციების დროს ეხმარება სოციალურად შეჭირვებულებს.

– რა გეგმები გაქვთ?

– ჩვენი ინიციატივით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, დაბა მახინჯაურში გაიხსნა ახალი სამედიცინო ცენტრი, სულ მალე ბათუმის კიდევ ერთ უბანში ბონში გვექნება. ლანჩხუთში 55-60 საწოლამდე გაიზრდება, ჩოხატაურში გვაქვს 24, ოზურგეთში 13 საწოლიანი. ჰოსპიტალურ ქსელში სიახლეების დანერგვა უწყვეტად მიმდინარეობს. სიამაყით აღვნიშნავ, **კომპანია ავერს,** მედალფას დაარსების დღიდან მიღებული დივიდენდი უკან არ წაუღანია, ისევ ქსელის, განვითარებაში ბრუნავს. დამფუძნებელი, კლინიკის დირექტორი და მენეჯერები ხშირად ვიკრიბებით, ასე რომ, იდეების ერთად განვიხილავთ. ყველა იდეის მთავარი გენერატორი **ავერსი ჰოლდინგი და მისი დამფუძნებელი პაატა კურტანიძე.**

ლელა სურმავა

ჩოხატაურის სამედიცინო ცენტრის მედპერსონალი

თერმული დაზიანებების დროს რეკონსტრუქციულ-აღდგენითი პლასტიკური ქირურგიის ფუძემდებელი და რაციონალიზატორ-გამომგონებელი


ბესიკ იაშვილი

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მედიკო-ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოსა და მსოფლიოს პლასტიკოს ქირურგთა ასოციაციისა და ქირურგთა ინტერნაციონალური კოლეჯის წევრი. 70-იან წლებში საქართველოში შექმნა კომბუსტიოლოგიური დარგი, აღზარდა კვალიფიციური კადრები და დაარსა დამწვრობის ცენტრი. მისი ინიციატივით და აქტიურობით გრიგოლ მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე დაარსდა პირველი სპეციალიზებული დამწვრობის 30 საწოლიანი განყოფილება, რომელსაც რესპუბლიკური დამწვრობის ცენტრის სტატუსი მიენიჭა. მიღწეული შედეგით არ დაკმაყოფილდა და დარგის განვითარება შემართებით განაგრძო. მიზნად დაისახა მასშტაბური, პრაქტიკული და სამეცნიერო ცენტრის შექმნა. მთავრობის ხელშეწყობით სულ მალე აშენდა დამოუკიდებელი, თერმულ დაზიანებათა და აღდგენითი პლასტიკური ქირურგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტის შენობა. 1984 წლიდან იქ გააგრძელა თავისი შემოქმედებითი, პრაქტიკული და სამეცნიერო საქმიანობა. სამედიცინო დანესებულება საკავშირო მასშტაბით ყურადღების ცენტრში მოექცა. საკავშირო ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებით დაინიშნა №3 პრობლემის (სამხედრო მნიშვნელობის ტრავმები) წევრად, თორმეტი წლის განმავლობაში მონაწილეობდა პრობლემური თემების მეცნიერულ კვლევებში.

ბესიკ იაშვილმა 1994-2007 წლებში თერმულ დაზიანებათა და აღდგენითი პლატიკური ქირურგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის ბაზაზე ან გარდაცვლილ პროფესორ ალეკო სიხარულიძესთან ერთად დაარსა შპს დერმატოკოსმეტოლოგიისა და პლასტიკური ქირურგიის სამედიცინო ინსტიტუტი, 1997-2007 წლებში სასწავლებლის რექტორის თანამდებობა ეკავა. 1997 წელს დამწვრობის ცენტრის ბაზაზე თავის მოსწავლეებთან და კოლეგებთან პაატა ჯანაშიასა და ლაშა იაშვილთან ერთად დააფუძნა შპს იაშვილი-ჯანაშიას ესთეტიკური პლასტიკის ქირურგიული ცენტრი.

ბესიკ იაშვილმა პლასტიკურ-აღდგენით ქირურგიაში მაღალკვალიფიციური ექიმების მეოთხე თაობა აღზარდა, დღემდე ხელმძღვანელობს, უწევს კონსულტაციებს, ჩართული არის ქირურგიულ საქმიანობაში. საექიმო ტრადიციებს წარმატებით აგრძელებს თავისი მოსწავლე და კოლეგა გუგა ქაშიბაძე.

თბილისის საპატიო მოქალაქეს ვერის უბანში, შანიძის 18-ში ვესტუმრე...

– ბატონო ბესიკ, რა სირთულეები ახლავს დამწვრობით გამოწვეულ დაავადებებს?

– თერმული ტრავმის სიმძიმეს განსაზღვრავს დამწვარი ზედაპირის სიღრმე და ფართობი. დაზიანების დროს განვითარებული დამწვრობითი დაავადება რთულ პათოფიზიოლოგიურ პროცესებთან არის დაკავშირებული, პათოგენეზში შერწყმულია ჰემოსტაზურ, იმუნოლოგიურ, ჰორმონალურ, რეოლოგიურ, ნივთიერებათა ცვლის, ტოქსიკურ, ინფექციურ და სხვა პროცესებთან. მნიშვნელოვანია, ავადმყოფის ასაკი და დაზიანების ლოკალიზება. დამწვრობითი დაავადების კომპლექსური თერაპია საწყის პერიოდში ითხოვს ინტენსიური და ქირურგიული მკურნალობის სწორად წარმართვას და დიფერენცირებულ მიდგომას. საჭიროა გავითვალისწინოთ დამწვრობითი დაავადების თხუთმეტი ძირითადი კომპონენტი;

ჰემოდინამიკის, სუნთქვის, დიურეზის ძირითადი კლინიკური და ბიოქიმიური მონაცემების, ჰემოსტაზის მონიტორინგი.

დამწვრობითი შოკის საწინააღდეგო დროული და ადექვატური მკურნალობა.

ანალგეზიისა და ფსიქოემოციონალური სიმშვიდის უზრუნველყოფა.

ჰემოსტაზის გადაუდებელი და გახანგრძლივებული პროცესების ადაპტაციის შენარჩუნება.

ჰემოდინამიკის დარღვევების პროფილაქტიკა და კორექცია, ინოტროპული მხარდაჭერა.

მიკროცირკულაციისა და ჰემოსტაზური ჰომეოსტაზის პროფილაქტიკა და კორექცია, ჟანგბადოვანი ცვლის შენარჩუნება.

– მედიცინა მუდმივად ვითარდება, როგორია თანამედროვე ხედვა?

– თანამედროვე ხედვა გულისხმობს, მკვდარი ქსოვილების ადრეულ ამოკვეთას და მოშორებას, რაც ავადმყოფს გამოჯანმრთელებისა და გადარჩენის შანსს აძლევს. ჭრილობაში და ზოგად სისტემურ ორგანიზმში მიმდინარე პათოლოგიური პროცესები, ინდივიდუალური მონაცემების გათვალისწინებით, ერთ მთლიან კომპლექსში უნდა განვიხილოთ. მთავარია, კანის საფარველის დროული აღდგენა. სხვადასხვა ორგანოებში და სისტემებში მიმდინარე პროცესები იწვევს დაავადებებს. არცერთი ტრავმა არ წარმოქმნის ისეთ პოლიორგანულ გართულებებს, როგორსაც თერმული ტრავმა.

– რომელი გართულება მიგაჩნიათ ყველაზე მძიმედ?

– დამწვრობის ცენტრმა ორმოცდაშვიდი წლის განმავლობაში დიდი გამოცდილება დააგროვა. პროგნოზული თვალსაზრისით, საშიშ გართულებად ითვლება გენერალიზებული ინფექციისა და სეფსისის განვითარება, შედედებისა და მოკროცირკულაციის მოშლილობებით გამოწვეული დისტანციური ნეკროზების წარმოქმნა კუჭ-ნაწლავის

ტრაქტში, მრავლობითი ნეკროზული წყლულებისა და სისხლმდენი ეროზიების, ფილტვებში ალვეოლების თრომბოზის სახით, მეორადი ნეკროზების განვითარება თერმული დაზიანების ლოკალური არეებიდან დისტანციურად მდებარე არეებში.

– რა იწვევს გენერალიზებული ინფექციის განვითარებას?

– გენერალიზებული ინფექციის განვითარების მიზეზი და მისი წარმოქმნის პათომექანიზმი სხვადასხვა ფაქტორებთან არის დაკავშირებული – დაზიანების ხარისხი, სიმძიმე, არაკვალიფიციური, სპეციალიზებული დახმარება, ბაქტერიული ფლორის ეგზოგენური და ენდოგენური ზემოქმედება, იმუნური სისტემის მდგომარეობა, თანმხლები დაავადების არსებობა, დამწვრობით გამოწვეული სისტემური და პოლიორგანული გართულებები, ინფექციის განვითარებას ზოგჯერ თან ახლავს მეორადი ნეკროზების წარმოქმნა ჭრილობებში, ან დისტანციურად. მეორადი და დისტანციური ნეკროზები შედედებასა და სისხლის მიმოქცევის მოშლილობასთან არის დაკავშირებული.



ბ. იამვილის სახელობის თერმულ დაზიანებათა და პლასტიკური ქირურგიის ცენტრის თანამშრომლები

– დამწვრობის რამდენი ხარისხი არსებობს?

– დამწვრობა წარმოდგენილია I, II, III და IV ხარისხის დაზიანებებით, მას მოსდევს მთლიანი დანახშირება. დაზიანების სიღრმე და სიმძიმე დაკავშირებული არის სხვადასხვა ფაქტორებზე – ადუღებული სითხეები, გავარვარებული საგნები, ელექტროკონტაქტური დამწვრობები, მოყინვა, გადაცივება და სხვა. თერმულ მოვლენებში იგულისხმება სხივური დამწვრობები და სამხედრო მნიშვნელობის ტრავმები. მთავარი ყურადღება უნდა დავუთმოთ გამომწვევი ფაქტორების ზემოქმედებას, ანუ ექსპოზიციას და მომხდარი ტრავმის მექანიზმს. დახურულ სივრცეში მომხდარი აფეთქება და ხანძარი დამატებით იწვევს სასუნთქი გზების დამწვრობას. თერმულ აფეთქებებს შესაძლოა მოჰყვეს სხვადასხვა სახით გამოვლენილი ბარო ტრავმა და თან ახლდეს შინაგანი ორგანოების დაზიანება.

– თქვენ აღნიშნეთ, დამწვრობით გამოწვეული დაზიანებები დიფერენცირებულია. ძირითადად რომელ ფორმებს გამოჰყოფთ?

– სათანადო ყურადღებას საჭიროებს ქსოვილების ღრმა დაზიანება, დიაგნოსტირება დაკავშირებულია ექიმის გამოცდილებასა და ტრავმის მიღების მექანიზმზე. ტრავმის საწყის პერიოდში, არასწორი დიაგნოსტირების დროს, შეიძლება სამედიცინო შეცდომა დაუშვან. ზოგჯერ შესაძლოა დაზიანება ზედაპირულად მიიჩნიონ, თუმცა ქსოვილების ღრმა დაზიანება იყოს, რაც იწვევს სხვადასხვა დარღვევებსა და მოშლილობებს, მათი გამოსწორება რთული და ნაკლებად პროგნოზირებადი არის. რთულ დაზიანებად ითვლება მაღალი ძაბვის კონტაქტით გამოწვეული დამვწრობები. ადამიანის ორგანიზმში დენის გავლის და გავრცელების შესაძლო გზები ქმნის მარყუჟებს, რომლის მიხედვით განისაზღვრება დენის მოქმედების ფორმა და სიმძიმე. დენის გამტარად ითვლება სახსრები და ქსოვილთა კუნთოვანი მასა, სისხლის მომარაგების ქსელით. დენის მარყუჟის შექმნის ლოკალიზაციაზე არის დამოკიდებული ავადმყოფის გადარჩენა, ასევე გამოწვეული დარღვევების პროგნოზირება.

– თერმული დაზიანებები და მასთან დაკავშირებული აღდგენითი ქირურგია ექიმის შემოქმედებით მიდგომას საჭიროებს...

– მოიცავს, როგორც მწვავე პლასტიკის სხვადასხვა მეთოდებს, ასევე რეკონსტრუქციულ-აღდგენითი ქირურგიის ფართო არეალს. დამწვრობის შემდგომ მრავალმხრივი, ფუქციური დარღვევები და ესთეტიკური მოშლილობები მოითხოვს პლასტიკოსი ქირურგის მაღალი დონის შემოქმედებით პროფესიონალიზმს და გამოცდილებას. არასწორი და დაგვიანებული მკურნალობის შედეგად განვითარდება დარღვევები, ძირითადად წვრილსახსროვან და მსხვილსახსროვან არეებში წარმოქმნილი ნაწიბურებით. დამწვრობითი ჭრილობის მკურნალობის დროს დაშვებული შეცდომა ზოგჯერ გამოუსწორებელი და სავალალო შედეგით მთავრდება. გახშირებულია მცირეწლოვანი ბავშვების დამწვროებები, ამიტომ მშობლებმა მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინონ. ღრმა დამწვრობის დროს ავადმყოფმა დროულად მიმართოს სპეციალიზებულ დაწესებულებას და მიიღოს კვალიფიციური ექიმის დახმარება. კომბუსტიოლოგია არის სპეციფიკური დარგი, დამწვრობითი დაავადება საჭიროებს მაღალ პროფესიონალურ მიდგომას ინტენსიური ტერაპიისა და ანესთეზია-რეანიმაციული სამსახურის მონაწილეობით. 1984 წელს ჩემი ინიციატივით საბჭოთა კავშირის მასშტაბით პირველად საქართველოს დამწვრობის ცენტრში დაარსდა სპეციალიზებული მიმართულების რეანიმაციისა და ინტენსიური თერაპიის განყოფილება. ჩვენს შემდეგ შეიქმნა რუსეთის დიდ ქალაქებში. ასე რომ, კომბუსტიოლოგიამ მეცნიერული კვლევების, გამოგონებებისა და პროფესიონალი კადრების აღზრდის თვალსაზრისით ნაყოფიერი გზა გაიარა. ყველა წამოწყების სათავეში მყოფს, დარგის წარმატებები და კვალიფიციური კადრების აღზრდა სიამაყით მივსებს გულს.

– ბატონო ბესიკ, მკითხველისთვის საინტერესოა, რა პირველადი დახმარება უნდა აღმოუჩინოს თერმული ტრავმით დაზიანებულს?

– ტრავმის გამომწვევი მიზეზები სწრაფად უნდა მოაშოროს, დამწვარი ტანისამოსი არ გახადოს, ფაქიზად შეაჭრას. დაზიანებულ უბნებში გამოიყენოს ცივი წყლის საფენები ან 5-10 წუთის განმავლობაში გამდინარე წყალი. შემდეგ შემოახვიოს სუფთა დოლბანდი, ან გაუთოებული ზეწარი, წაუსვას აფთიაქში შეძენილი დამწვრობის საწინააღმდეგო საცხი, დაუშვებელია ცხიმზე დამზადებული მალამოების გამოყენება, რადგან ხელს უშლის პროფესიულ ჩარევას. სხვადასხვა საშუალებებით მკურნალობის დროს ავადმყოფს დათვურ სამსახურს ვუწევთ, რაც პროფესიული ჩარევის დროს იჩენს თავს. დამწვარი პაციენტი დროულად უნდა მიიყვანოს ექიმთან, რაც უფრო სწრაფად მიიღებს კვალიფიციურ დახმარებას შესაძლო გართულებებს იოლად აიცილებს.

ლელა სურმავა

პაციენტი 3 წლის. ცხელი წყლით მიყენებული III-ა ხარისხის დამწვრობა. კონსერვატიული მკურნალობა დაიწყო დანაწიბურებითი პროცესიდან მეთერთმეტე დღეს.

ჩატარებულია კონსერვატიული მკურნალობის 4 კურსი.

ჩატარებულია აუტოდერმოტრანსპლანტაცია ზურგის და წელის არეში.



I-ი ხარისხის სოლარული დამწვრობა.

გამოჯანმრთელებული და ფუნქციური მოშლილობების გარეშე რეაბილიტირებული.

ზედაპირული დამწვრობა. II-ხარისხის ბუშტუკების წარმოქმნით.

III-ა და ნაწილობრივ III-ბ ხარისხის დამწვრობა ტერფის ვოლარულ ზედაპირზე გიგანტური ბუშტუკის სახით წარმოდგენილი.

ბიჭიკო ასკურავა _ მკურნალი, მზის შვილი, გურული...

თბილისი, ლესელიძის ქ. №25/ტელ.: 2999694, 2987995, 577411911, დავით ასკურავა: 593550030

www. facebook.com/askuravahealer



ბიჭიკო ასკურავა

კოლხთა მეფე აიეტის წარმომავლობის შესახებ ისტორია ბუნდოვანია, მაგრამ ლეგენდებისა და მითების ნაზავი გვამცნობს, რომ აიეტი მზის შვილი იყო.

თუ ასეა, მისი შვილები, ძველი იბერიელ – კოლხებიც მზის შთამომავლებად ითვლებიან.

მაგალითად, ბატონი ბათუ ასკურავა მიიჩევს, როგორც ერთმა მკვლევარმა უთხრა, ასკურავები მზის შვილთა შთამომავლები ყოფილან, სქუა – მეგრულად, ანუ ძველკოლხურად შვილს ნიშნავს, რა – მზის ღმერთის სახელი იყო უძველეს ეგვიპტეში, გადმოცემის თანახმად, ასკურავები ეგვიპტეში ფარაონების ქურუმები იყვნენო, – მიმტკიცებს ლეგენდის თუ გადმოცემის უტყუარობას ბატონი ბათუ.

ჯერჯერობით არავინ უწყის ამ გვარის წარმომავლობის შესახებ ამბავი ლეგენდაა თუ სინამდვილე, მაგრამ ის ნამდვილად არ არის ლეგენდა, რომ მსოფლიში აღიარებული, სახალხო მკურნალი, ბატონი ბიჭიკო ასკურავა, ყოველგვარი ქირურგიული ოპერაციების გარეშე, არჩენს მოტეხილობას, ნაღრძობს, მენისკს, ოსტეოქონდროზს, პერტესს, „პოდაგრას“ და ძვლების სხვა რთულ დაავადებებს, ისეთებს, რომელთან ბრძოლაშიც მსოფლიო კლასიკური მედიცინა, პრაქტიკულად, უძლურია.

– „კლასიკურ მედიცინას“ დიდი მიღწევები აქვს, – ამბობს ბატონი ბიჭიკო ასკურავა და დასძენს, მართლაც წინ წავიდა სამედიცინო მეცნიერება, დღეს უმაღლეს დონეზე დგას, მაგრამ საქმეს აფუჭებენ უცოდინარი სპეციალისტები და ძალად დაბრალებული ექიმები.

ცოტა ხნის წინ ორი წლის ბავშვს ლავიწის ძვალი ჰქონდა დაზიანებული, ნარკოზი გაუკეთეს და ოპერაცია ჩაუტარეს. ბავშვი გარდაიცვალა, მისმა გულმა ნარკოზს ვერ გაუძლო. ეს უცოდინარობის შედეგია. ორი წლის ბავშვის ძვლები ელასტიურია და ყოველდღიურად მზარდი, მისთვის ძვლები რომ გადაეჭიმათ და ისე გადაეხვიათ, ბავშვი გადარჩებოდა.

ჰერტესის დაავადება, რომელსაც ბატონი ბიჭიკო წარმატებით მკურნალობს, მსოფლიო მედიცინაში ერთ-ერთი ურთულესი სიმსივნური დაავადება გახლავთ, ჯერჯერობით განუკურნებელ დაავადებათა ნუსხაშია. რასაც ბატონი ბიჭიკო აკეთებს, ეს არის სენსაცია.

დღეს, ბატონ ბიჭიკოსთან უკვე თამამად მოდიან ცნობილი და გამოცდილი მედიკოსები, ტრავმატოლოგები, აზრებს უზიარებენ, რჩევებს ეკითხებიან...

ბიჭიკო ასაკურავა: კარგ ექიმად ის ითვლება, ას ავადმყოფში ორმოცდაათი თუ მაინც მოარჩინა, დანარჩენს კი მდგომარეობა არ გაურთულა.

ფულის გულისთვის არასდროს დამიწყია ავადმყოფის მკურნალობა, თუ დარწმუნებული არ ვიყავი, რომ მას მოვარჩენდი. ეს რომ ვუთხარი რამდენიმე ექიმს, დამცინეს, – ჩვენი ბიზნესი ეს არისო!.. მაგრამ დღეს პრობლემა სხვაგვარად დგას, მიწვევენ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, საქართველოში პაციენტები თითქმის არ მყავს, ხალხს საკვების ფული არ აქვს, სახელმწიფო დაზღვევის თანხით თუ

უმკურნალებს, ურჩევნია, ჯანმრთელობა ალალბედზე შეაგდოს, ვიდრე ჩემთან მოვიდეს და უტყუარ განკურნებას დაელოდოს.

ბათუ ასკურავა: მოგეხსენებათ, ბატონი ბიჭიკო ცნობილი ველომრბოლელი იყო. ახლა მისი შვილიშვილი დავით ასკურავა გახლავთ მსოფლიოს ელიტარულ ველომრბოლელთა შორის საპატიო ადგილზე. დავითი ბიჭიკო ასკურავას გარდაცვლილი ვაჟის ირაკლის შვილია. ის ეხმარება ბაბუს წამლის დამზადებაში და მკურნალის მემკვიდრედ ითვლება.

მსოფლიოს კლინიკების ხელმძღვანელები ბატონ ბიჭიკოს სთხოვდნენ, მათთან გადასულიყო სამუშაოდ, მაგრამ ის საქართველოს არასდროს მოშორებია უმძიმეს წლებშიც კი...

ბატონ ბიჭიკოს სამედიცინო განათლება ისრაელის უმაღლეს სამედიცინო სასწავლებელში აქვს მიღებული, თუმცა მამა-პაპის მიერ გადმოცემულ ცოდნასა და მკურნალობის მეთოდებს თავის პრაქტიკაში უფრო ეფექტურად მიიჩნევს.

როგორც მითხრა, უამრავი ცნობილი და არაცნობილი ადამიანი ჰყავს განკურნებული. აწ გარდაცვლილ ქართლოს კასრაძეს, მისთვის უჩვეულო ენამოსწრებულობით, საუკეთესო ლექსი მიუძღვნია ბატონი ბიჭიკოსთვის და იმის გამო, რომ დასტაქარი უიმედო პაციენტებს უმცირეს დროში კურნავდა, ქართლოს კასრაძეს საქართველოს „განკურნებაც“ უთხოვია ბატონ ბიჭიკოსთვის...

ჯადოქარო დასტაქარო,
ყველას სანატრელო,
იქნება გაამთლიანო
ჩვენი საქართველო.

გადმოცემის მიხედვით, კოლხეთში არსებობდა ჰეკატეს ბაღი, სადაც მედიცინის დამფუძნებელი, აიეტის ასული მედეა სამკურნალო მცენარეებს აგროვებდა.

ასკურავების მართლაც უნიკალური მალამო, შესაძლოა, სწორედ, მედეას მკურნალობის პირდაპირი მეთოდი იყოს, მით უფრო, რომ ასკურავები ძველი კოლხების შთამომავლები და მკვიდრები არიან. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიანში დაბადებული, ახლა უკვე საქვეყნოდ აღიარებული მკურნალი ბიჭიკო ასკურავა ძვალ-სახსროვანი დაავადებების მკურნალობაში სასწაულებს ახდენს-მეთქი, რომ ვთქვა, ბევრი დამეთანხმება და ამ შეფასებაში კი, არ ვიქნები გადაჭარბებული.

ირინდა კალანდაძე
საერთო გაზეთი

სახალხო გაზეთის რედაქტორი გია ლომაძე და ბიჭიკო ასკურავა

ანეკდოტები

☺ ☺ ☺

გურული მოულოდნელად სახლში ბრუნდება და კარადის ჭრაჭუნს გაიგებს... ებდღვნება კარადას.

– ქალო, ვინაა აგი კაცი?! – კარადიდან გამოათრია გურულმა ვიღაცა.

– პროკოფიეა ჩვენი.

ჟეჟეს პროკოფიე. მეორე დღესაც იგივე განმეორდა, ისევ სცემა საწყალი პროკოფიე და ასე გაგრძელდა ერთი კვირა. ერთი კვირის შემდეგ გააღო გურულმა კარადის კარი და იქ ვიღაც ზორბა ტანის დაკუნთული ტიპი ხვდება...

– ქალო! – გასძახა შეშინებულმა გურულმა ცოლს, – სადაა ჩვენი პროკოფიე?

☺ ☺ ☺

კაცი უყურებს ოლიმპიადაზე გენო პეტრიაშვილის ბრძოლას. ლუდი და სიგარეტი მოიმზადა და მოკალათდა სავარძელში, ტელევიზორის წინ. დაიწყო ბრძოლა და გენომ 30 წამში მოიგო ორთაბრძოლა.

გაბრაზდა კაცი, ფეხზე წამოხტა და დაიყვირა:

– რა არის ახლა ეს?! ლუდის გახსნაც კი ვერ მოვასწარი.

ცოლმა სამზარეულოდან გამოყო თავი:

– ჰა, რავარია უცბად რომ მთავრდება?!

☺ ☺ ☺

– ნაცნობებმა გურულს უთხრეს:

– აღფრთოვანებული ვართ თქვენი გრძნობებითო, თქვენ და თქვენი ცოლი 20 წელია ერთად ხართ და სეირნობისას მაინც ხელჩაკიდებული დადიხართ crying smile.

– რას ჩივით ძამა თქვენ!, აბა ხელი რომ გუუშვა ხელათ იყიდის რაცხას...

☺ ☺ ☺

გურული ქალი შევიდა სასოსისეში და რას ხედავს ბუფეჩიკი ჩაყრის მოჩვარულ სოსისებს ადუღებულ წყალში და ამოყრის დაპუტკუნებულებს ვეღარ მეითმინა და ქე უთხრა:

– მაი წყალი ან მომყიდე, თვარადა ჩემ ყაზილარს მევიყვან და ერთხელ ჩააყოფიე შიდ...

☺ ☺ ☺

მატარებელი ოზურგეთი თბილისი შემოგლიჯინდება პირველ რეიცაზე! ყაზირლებიანო ქალებო, ახიბაკდით, დახიბაკდით, მუუარეთ თქვენს ყაზირალებს, პწკალაზე ასლისას ერთმანეთს უჭოპიტეთ, გუშხამდელივით ბდღნაი და წეწვა-გლეჯვა არ ასტეხოთ.

☺ ☺ ☺

მსაჯს, რომელიც ხშირად აჯარიმებდა მოთამაშეებს, ერთმა გურულმა უთხრა: შენ, ძამა, ცხვირით ვერ სუნთქავ თუ რაფერ წარამარა უსტვენ მაგ სასტვენს?

☺ ☺ ☺

კახელი ქათამი გურულ ქათამს:

– შენ რა ქათამი ხარ, შენი მოცუცქნული კვერცხი სამი კაპიკი ღირს, ჩემი – ხუთი!

– რა გითხრა, ნენა იცი? ახლა რაცხა 2 კაპიკის გულიზა ტრ....ზე ვერ გევიხევი მე!..

☺ ☺ ☺

– გურულ ქალს ვერასდროს გააბრაზებ.

– რატო ?

– იმიტო რო გურული ქალი ერთი ნაბიჯითაა წინ.

ეგ როგორო ალბათ გაინტერესებთ ?

როგორ და გურული ქალები პირდაპირ გაბრაზებულები იბადებიენ.

☺ ☺ ☺

გურულების დიალოგი საკანში:

– აუჰ, მთელი ტანი მეფხანება!

– რამდენი გაქ მისჯილი?!

– შვიდი წელი!

– ჰოდა, რა გაქ მეტი საქმე? დაჯექი და იფხანე, ძამა!

☺ ☺ ☺

გურულ ქალს ეუბნებიან:

– ნაბეღლავი დალიე, არ გინდა?

– არა, მაი გაზიანია, მბერავს

და მერე ჩემი ქმარი ეჭვიანობს:

☺ ☺ ☺

კახელი სტუმრად არის გურიაში, სუფრიდან ადგება და მასპინძელს ეკითხება:

– ჯო, აქ ტუალეტი სადა გაქვთ?

– ეზოს ბოლოში, ძამა...

ეზო საკმაოდ გრძელია, წავა ეს კახელი, მაგრამ გზა ეშორა, იქვე ღობეს მიადგება და აჟუჟუნებს.

ჩამოუვლის ყაზილარი:

– გამარჯობა, ბიძია.

კახელი არ პასუხობს.

– გამარჯობა, ბიძია შენი.

კახელი ისევ არ პასუხობს.

– გამარჯობა, ბიძია...

– ჯო, ვერა ხედავ „კუტუ“ მიჭირავს ხელში, დამანებე თავი და გაიარე რა�ა...

– ხელში გიჭირავს, ბიძია, პირში ხომ არა, მითხარი ზდილობიანად გამარჯობა და გევიარ, აბა რას ვიზამ!

☺ ☺ ☺

გურულის დაჟინებული ცქერით შეწუხდა ულამაზესი ქალბატონი და საყვედურობს:

– რა არის, ბატონო, ლამისაა გამხადოთ მზერით!!!

– ოხ, რას ბრძანებთ, ქალბატონო, თქვენ უკვე იცვამთ და მე პაპიროსს ვეწევი უკვე.

☺ ☺ ☺

გურულმა თქვა:

– იმფერი გლახა დროია, სიკვდილს მოგანდომებს, მარა რათ გინდა? მაგასაც ვერ ვშობი... ჯოჯოხეთის მეშინია და სამოთხის კიდე მრცხვენია!!!

ბვიდ ლლინდის ნახატი

ავთანდილ ქობიძის ოჯახი

Homeopathic and Georgian Traditional Medicine Clinic

"FAMILY DOCTOR"

ჰომეოპათიური და ქართული ტრადიციული მედიცინის კლინიკა

„ოჯახის მკურნალი"

ISSN 2346-7606

კლინიკის დირექტორი: ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი თორნიკე ალაშვილი. კომპლექსური მკურნალობა ხერხემლის პრობლემების, ღვიძლის, ბრ. ასთმის, ფსორიაზის, აუტიზმის.

ალინიკა ოჯახის მკურნალი-ს მისამართი:
ქალაქი თბილისი, რუსთაველის გამზირი №28 ალექსანდრე ჭავჭავაძის №2ა
ტელ: (+995) 2 98 64 86; 5 99 55 99 61
www. Curamediana.Ge